# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი 15 დეკემბერი 1998 №229 (764) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა კარგი იყო მაშინ, ერთად ვიყავით როცა — ქეცბაია „სარბიელის" პრიზით

## ვითას ჩემპიონატში დაბრუნება სურს

## ეს დებულების დარღვევაა

### ამბობს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი

**ამას წინათ „ვითას" პრეზიდენტმა თემურ დათიკაშვილმა კალათბურთის ფედერაციას ხმამაღლა განუცხადა, რომ მისი კლუბი ნებაყოფლობით ტოვებს მერვე ჩემპიონატს და ფედერაციის პრეზიდენტ გოგი ქათამაძისგან თანხმობა მოითხოვა. ბუნებრივია, დათიკაშვილს სურვილი დაუკმაყოფილეს და თითქოს ყველაფერიც აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ...**

ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონის განდგომა ქართული საკალათბურთო სამყაროსთვის არცთუ ადვილი მოსანელებელი აღმოჩნდა და კულუარებში „ვითას" შესაძლო დაბრუნებაზეც ალაპარაკდნენ. ამან პირველად კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის უკანასკნელ სხდომაზე გაიჟღერა, რაც უსაფუძვლო ნამდვილად არ აღმოჩნდა. და აი, საკალათბურთო კაბადონზე ახალი სახელიც გამოჩნდა. გია გაგნიძე — სწორედ იგი იქნება ამიერიდან „ვითას" პრეზიდენტი, რაც თავად ბატონმა გიამაც სატელეფონო საუბრისას დაგვიდასტურა:

— დიახ, ასეთი გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივიღე. კლუბის ხელმძღვანელობას რამდენჯერმე ვესაუბრე და თანახმა ვარ, ამიერიდან „ვითას" საქმეებს გავუძღვე.

**— ამის შესახებ ფედერაციას თუ აცნობეთ?**

— ახლა პირადი საქმეების გამო ქუთაისში ვიმყოფები და იქ მისვლა ვერ შევძელი. თუმცა გუნდის მწვრთნელ ზურაბ ტომარაძეს ფედერაციაში განცხადების მიტანა ვთხოვე.

**— თუ ყველაფერი დადებითად გადაწყდა და თქვენი თხოვნა დააკმაყოფილეს, რა სახელით განაგრძობს გუნდი გამოსვლას?**

— სახელიც და მწვრთნელიც იგივე დარჩება. ეს უკვე გადაწყვეტილია, რაც მნიშვნელოვანწილად ჩემი და დათიკაშვილის ახლო ურთიერთობამ განაპირობა. გუნდს კვლავ „ვითა" ერქმევა და ამბიციაც ძველებური ექნება — ჩემპიონობა.

ახლად მოვლენილ პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს შევეხმიანეთ და კომენტარი ვთხოვეთ:

— „ასეთი განცხადება ფედერაციის სახელზე მართლაც შემოვიდა, თუმცა ეს მარტო ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ტომარაძეს ქათამაძესთან დაკავშირება ვურჩიე და სწორედ პრეზიდენტი გადაწყვეტს, როდის მოიწვიოს აღმასკომი, რომელიც „ვითას" საქმეს განიხილავს.

ისე, სიმართლე გითხრათ, მე „ვითას" ხელმეორედ დაშვების წინააღმდეგი ვარ. ამ შემთხვევაში ჩემპიონატის დებულება ირღვევა. დებულების 4.8 პუნქტის თანახმად გუნდი, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება ორ თამაშზე ან მიატოვებს ჩემპიონატს, იხსნება შეჯიბრებიდან, მისი შედეგები უქმდება, ჯარიმდება 500 ლარით და შემდეგი წლის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატზე არ დაიშვება. მაშ, რა გამოვა, ამ კანონებს ტყუილად ვწერთ? თუ ნაცარს ვაყრით ხალხს თვალებში? დანარჩენი გუნდებიც, ვითომ ჩემპიონის მხარეს რომ იჭერენ, ცალ-ცალკე ჩვენთან ჩივიან — დებულების მიხედვით იმოქმედეთო, გვეუბნებიან. მერე მოვლენ და ისევ ჩვენ გაგვამტყუნებენ. ისევ ჩვენ გავიჭყლიტებით, ყველაფერიც ჩვენ დაგვბრალდება."

გიორგი ბიძაშვილი

მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ინგლისურ „ნიუკასლის" სათადარიგოთა სკამზე მჯდომი თემურ ქეცბაია ეროვნულ გუნდში თამაშს უარობს მანამ, სანამ ნაკრებს ვლადიმერ გუცაევი წვრთნის. გუშინ, როცა „სარბიელი" ქეცბაიას ვითარებაში გასარკვევად დაუკავშირდა, ჩვენდა გასაკვირად ეს გვიპასუხა:

## ხომ დაღუპეთ ქართული ფეხბურთი...

— ასეთ დაფასებას და სითბოს, მართალი გითხრათ, არც ველოდი... ჩემი მეუღლე აღფრთოვანებული და გაოგნებულია იმით, თუ რაოდენ ძლიერად ვუყვარვარ ჩემს ხალხს...

ეს სიტყვები თემურ ქეცბაიამ 1997 წლის ივნისში უთხრა „სარბიელს", რესტორან „ევროპაში". მაშინ „სარბიელისვე" გამოკითხვით თემურ ქეცბაია საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა.

1997 წლის ივნისისთვის თემურ ქეცბაია ქართული ფეხბურთის რჩეული იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა...

— მეორედ აქ აღარ დარეკოთ! კარგია არა, ჩაწყობილი ინტერვიუები გუცაევთან... მეორედ აღარ დამირეკოთ! ხომ გაისწორეთ თქვენი, ხომ დაღუპეთ ქართული ფეხბურთი...

ეს სიტყვები თემურ ქეცბაიამ გუშინ, 1998 წლის 14 დეკემბერს უთხრა „სარბიელს". უფრო ადრე კი, რიგაში ლატვიასთან 0:1 წაგების მერე, „სარბიელის" კორესპონდენტს ასეც მიაძახა — თქვენ თუ არ გინდათ რომ ნაკრებში ვითამაშო, მე სულ არ მინდა...

არც მაშინ და არც გუშინ თემურ ქეცბაია აღარ იყო ქართული ფეხბურთის რჩეული.

გუშინ თემურ ქეცბაია არც ქართული ფეხბურთის ბედზე ფიქრობდა, არც ნაკრებისაზე, არც იმ ხალხზე, რომლის სიყვარულითაც ესოდენ ამაყობდა ერთ დროს და რომელსაც ასე ეწყინა და ეტკინა ლატვიაში და საბერძნეთში უსახური მარცხი.

„სარბიელის" პოზიციაც იმ გულნატკენი ხალხის პოზიციაა. „სარბიელის" აზრი იმ გულნატკენი ხალხის აზრს ემთხვევა.

ხალხისა, რომელსაც თემურ ქეცბაიაზე დიდი ფეხბურთელები უნახავს. იმ დიდ ფეხბურთელებს არ ჰქონიათ დიდი კონტრაქტები, მაგრამ დიდ ფეხბურთს კი თამაშობდნენ.

გაცილებით დიდს, ვიდრე ახლა თამაშობენ...

*სარბიელელები*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

## კანდელაკს იგანდუც შემოელახა

იგანდუ ბა იგანდუც ნაცემია. ვარიანელ მსოფლიოს ჩემპიონს გიორგი კანდელაკს პროფესიულ რინგზე თავის მეოთხე მატჩში ინგლისის ქალაქ ჩესტერში ფრანგი ზანგი პირველსავე რაუნდში შემოელახა. იგანდუს აქამდე 6 ბრძოლა გაემართა და ყველა მოეგო, ქართველ მოკრივესთან კი ვერას გახდა. გიორგი კანდელაკი ამ ბრძოლისთვის ინგლისში კარგა ხანს ემზადებოდა და შედეგიც სანაქებო მოიმკო. ეგ კი არა, წინა შეხვედრების ნოკაუტით მოგებამ კანდელაკს ისეთი მოკრივის სახელი დაუგდო, „დეილი ტელეგრაფს" ჩესტერული ჩხუბის წინ მასთან საუბრითაც შეუწუხებია თავი.

გიორგი გუშინ გვიან ღამით დაბრუნდა ინგლისიდან. „ფრანგთან კრივი არ გამჭირვებია, იოლად მოვიგე, მომდევნო ჩხუბი თებერვლის დამდეგსაა დაგეგმილი. მანამდე კი ლენოქს ლუისის მიწვევით ამერიკაში წავალ და მასთან ერთად მოვემზადები მეხუთე პროფესიული ბრძოლისთვის" — გვითხრა გიორგიმ.

## 8 ტური

12 დეკემბერი. შაბათი

**აზოტი 90:87 შევარდენი**

13 დეკემბერი. კვირა

**სდასუ 86:83 მაკაბი**

**დინამო 90:97 თსუ**

15 დეკემბერი. სამშაბათი, 14 საათი

**სტუ — დინამო**

*გამოტოვებული მატჩი*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 6 | 6 | 0 | 561:485 | 12 |
| თსუ | 7 | 5 | 2 | 630:586 | 12 |
| სტუ | 5 | 5 | 0 | 480:398 | 10 |
| დინამო | 5 | 3 | 2 | 434:424 | 8 |
| შევარდენი | 6 | 2 | 4 | 497:513 | 8 |
| სდასუ | 6 | 2 | 4 | 472:507 | 8 |
| კოლხა | 7 | 1 | 6 | 541:652 | 8 |
| მაკაბი | 6 | 0 | 6 | 481:531 | 6 |

იხილეთ მეათე-მეთერთმეტე გვერდები

*დინამო — თსუ.
17 წლის უნივერსიტეტელმა ნიკა ცქიტიშვილმა ეფექტურად ჩატენა.
ჩვენს კალათბურთს მისი და მისი კბილა ბიჭებისა ეიმედება*

# თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს, კარგად ვერ ითამაშებ

რᲝᲒᲝრ შეიძლება, ეს კაცი მთელს თაობას სანაგვეზე ისვრის. როგორ შეიძლება, საქართველოს ნაკრები ქინქლაძის გარეშე, კაცი „ზვეზდაა" — ცხარობდა ერთი ყოფილი ფეხბურთელი ესტონეთთან მოგების შემდეგ ვლადიმერ გუცაევზე ამაზე ყველას ერთი აზრი ვერ ექნება. ამაზე შეიძლება ვიდავოთ. როგორც „აიაქსი" შეიძლება ქინქლაძის გარეშე, ისე — საქართველოს ნაკრებიც. უბრალოდ, ეს რისკია და გამართლება მხოლოდ მაშინ ექნება, თუკი უქინქლაძეო ნაკრებს, სულ ცოტა, ქინქლაძიან ნაკრებზე უკეთესი შედეგი ექნება. ეს მწვრთნელის საქმეა. ყოფილან მწვრთნელები, თავად გუცაევს რომ არ იწვევდნენ ნაკრებში, მისი კლასი და ოსტატობა კი ეჭვქვეშ დასაყენებელი ნამდვილად არაა. შორს ნუ წავალთ, ერთი ხანობა ბაჯოს ადგილი არ მოიძებნა „სკუადრა აძურაში" — არადა, ბოლო ათწლეულში იტალიელებს რობერტოს დარი ფეხბურთელი არც ჰყოლიათ.

ყველაფერი მწვრთნელზეა. საკიმ უვიალო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალამდე მიიყვანა, მასთან ერთად, ეგებ, ჩემპიონიც გამხდარიყო, ეგებ მეოთხედფინალში გავარდნილიყო. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. მწვრთნელს არჩევანის უფლება არ უნდა წავართვათ, მას შედეგი უნდა მოვთხოვოთ.

საქმე ისაა, ჩვენ რისი პრეტენზია გვაქვს და რეალურად რისი უნდა გვქონდეს. გიჟის გარდა ვინ იტყვის, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდება. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ბენილუქსში უნდა ითამაშოს. ჩვენ ამის სურვილი გვაქვს და კიდევ იმის პრეტენზია, რომ საქართველო ფეხბურთში ლატვიას, ალბანეთს, სლოვენიას, თუნდაც ნორვეგიას და საბერძნეთს უნდა სჯობდეს. პრეტენზიას საფუძველი სჭირდება. ჩვენ ესეც მოგვსდევს. ლატვიას ქართველი კი არა, სულაც გერმანელი მწვრთნელი რომ ჰყავდეს, საქართველომ მასთან არ უნდა წააგოს. არც წააგებს, თუ ჩვენ გუნდი გვეყოლება, მაგრამ რომ არ გვყავს? ვინ უნდა შექმნას გუნდი — ცხადია, მწვრთნელმა. ჰოდა, მოდით, ჩვენი ნაკრების მწვრთნელზე ვთქვათ.

როგორ მოხვდა გუცაევი ნაკრებში? — ახალგაზრდულ გუნდში მიღწეული წარმატებებით. ახლა იმაშიც ეჭვი შეაქვთ, იყო კი მეორე ადგილი წარმატებაო.

ჩვენ ხომ უცნაური ხალხი ვართ. ბილბაოს „ატლეტიკთან" ორი მატჩის ჯამში დამარცხება ფეხბურთელებს ხალხის გახარება ჰგონიათ. იტალიასთან 0:1 წაგება გმირობის ტოლფას ანუ ისეთი წაგებად მიაჩნიათ მოგებას რომ სჯობდა.

დროებით თემას გადავუხვევ და ვიტყვი, თუკი ფეხბურთში მთავარი შედეგია, არ არსებობს მარცხი, გამარჯვებას რომ სჯობს. და თუ არა შედეგი, რაღაა უმთავრესი სპორტში? ვითომ სილამაზე? განა სტადიონი თეატრია. კი, ბატონო, კარგია ლამაზი კომბინაცია, გოლი, ანაც ლამაზ ნახტომში აღებული ბურთი, მაგრამ თუ ამ სილამაზეს გასახარი შედეგი არ უმაგრებს ზურგს, კაპიკია მშვენიერების ფასი.

გუცაევზე და ახალგაზრდულ ნაკრებზე ვამბობდით. ეს გუნდი იყო. გუნდი, რომელმაც საწყის ორ მარცხს წაუგებელი სერია მოაყოლა — ინგლისში, პოლონეთსა და მოლდოვაში ფრედ ითამაშა, შინ წაქცეულ მოლდოვასა და პოლონეთს კი იტალია მიაყოლა.

ითქვა, ინგლისს რომ იტალია სტუმრად არ ეძლია, მეორეზე ვერ გავიდოდითო. სწორიცაა, მაგრამ ასე ხომ ხშირად ხდება ფეხბურთში. ერთი გუნდი მეორეს რომ ამარცხებს, განა, მხოლოდ საკუთარ საქმეს აკეთებს ხშირად სხვისასაც. მაგრამ გუცაევის გუნდს ხომ სერია A-ს ახალგაზრდული ნაკრები არ დაემარცხებინა, ინგლისელთა დახმარება რაში წაგვადგებოდა. არადა, იტალიის დამარცხება დიდებული საქმე იყო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველომ თუნდაც 21 წლამდე დონეზე იტალიას აჯობა, არამედ იმიტომაც, რომ ეს გუნდური თამაშით შეძლო.

მაგრამ სხვა იყო გუცაევის ახალგაზრდული და სხვაა ეროვნული ნაკრები. არადა, გუცაევმა კარგად დაწყებული საქმე აქაც კარგადვე გააგრძელა — მალტის ტურნირი მოიგო. ეს იყო და ეს — მისმა გუნდმა ახლახანს რიგა-ათენის ტური ჩააგდო და მწვრთნელს ჩვეულებრივის გარდა, სხვცა არაერთი თავსატეხი გაუჩინა.

გუცაევმა ესტონეთთან სხვა გუნდით მოიგო. იმაზე ლაპარაკი, რომ ესტონეთი სუსტი გუნდია და მას „დინამო 2"-მაც მოუგო, არასწორად არა, მაგრამ უადგილოდ მეჩვენება.

თუ ესტონეთი ისეთი სუსტია, რომ მასთან საქართველოს თუნდაც მეორე ნაკრებს იოლად უნდა მოეგო, არც ლატვიაა ისეთი ძლიერი, საქართველოს ეროვნული ნაკრები, გინდა თუ არა, უნდა დაემარცხებინა. აქ სხვაობა წაგება-მოგებასა და მეტოქეთა გარდა, თავად ფეხბურთელებშია, სახელდობრ კი აი, რაში:

ესტონეთთან თამაშისას ადგილი რამდენჯერმე მოვინაცვლე. ღრიანცელში გაზრდილი მაყურებელთა გაუთავებელი ყაყანი თამაშის ყურებაში ხელს მიშლიდა. მაგრამ რასაც ერთი ადგილიდან გავექეცი, სხვაგანაც ის დამხვდა. იყო ერთი ლაპარაკი, კამათი, მტკიცება ძლიერი თუ კოჭლი არგუმენტებით.

— ამათი იმათთან შედარება შეიძლება?

— ამათი ჟინი და იმათი ერთია?

— ამათი კლასი და იმათი...

ერთი სიტყვით, ხალხი დრტვინავდა და მართალიც იყო, ალალიც იყო. თითოეულს საკუთარი პოზიციის სისწორისა სჯეროდა.

ახლა ერთიც ვთქვათ — რატომ დაიყო ქართული ფეხბურთი ასე. ვინ დაარქვა „იმათ" „ისინი" და „ამათ" — „ესენი". ყველანი ხომ ერთნი უნდა იყვნენ, გუნდად უნდა იყვნენ. მაგრამ ასე არ არის. ვინ არის დამნაშავე — ისინი თუ ესენი? ან ყველა, ან არავინ.

გუცაევიც ვერ გამოდგა კარგი დიპლომატი, ვერ გამოდგა ძლიერი თავკაცი. კარგად ჩანს, რომ ბევრი გუცაევს არ ემორჩილება, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ამბობს. არ ამბობს, მინდორზეც გამოდის, მაგრამ არ თამაშობს. ეს კი მხოლოდ ურჩობა კი არა, დანაშაულია. თანაც არა მწვრთნელის, არამედ საკუთარი ხალხის წინაშე.

არც ერთ ფეხბურთელს, ვისაც გუცაევთან ან მის გუნდში თამაში არ სურს, არ უთქვამს, რომ მას სამწვრთნელო ცოდნა-გამოცდილებას უწუნებს.

ლაპარაკი ტაქტიკაზე ან წვრთნის სხვა მეთოდებზე როდია. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს. არადა, უკეთესი იქნებოდა, ასე იყოს, რადგან, როგორც მწვრთნელს, გუცაევსაც საკმაოდ დაეწუნება. თუნდაც იმიტომ, რომ წელიწადია, გუნდს კომბინაცია, ანაც სტანდარტული სიტუაცია ვერ დაამუშავებინა. მაგრამ ასეთ სიტუაციაში ეს რომ ვერ შეძლო, გასაკვირი როდია, მაგრამ არც გასამართლებელია.

გუცაევის ნაკლი ისიცაა, რომ გამბედაობა აკლია. თუ ასე არაა, მაშინ მან უნდა შეძლოს ბევრისთვის იმის დანახვება, რომ, ის, ვინც პატივს არ სცემს მწვრთნელს, ნაკრებს, ქვეყანას, პირველ რიგში საკუთარ თავს არ სცემს პატივს.

ვლადიმერ გუცაევმა, თუ ასე ჩათვლის საჭიროდ, უნდა გარისკოს სლოვენიასთან „უიმათოდ" თამაში. ეს უფრო გამართლებული რისკი იქნება, რადგან ამ შემთხვევაში ნაკრებს მოგების უმცირესი შანსი დარჩება. სხვაგვარად კი არაფერი გამოვა, რადგან ის, ვინც ხელებჩამოშვებული იდგა ლატვია-საბერძნეთში, დიდ ბრძოლას არც სლოვენიელებს გაუმართავს.

ქართველ ფეხბურთელებს შეუძლიათ ზაზა ჯანაშიას პასი დაამადლონ. მერე გვიკვირს, ჯანაშიას ნაკრებში თამაში რად არ სურსო. ის, წლებია, გუნდში თამაშს დაჩვევია — მოსკოვის „ლოკომოტივზე" გუნდური გუნდი რუსეთში ბევრი როდია.

ასეა, რუსები ხან ჯანაშიას აწვდიან პასს, ხან არც ის უკავებს თანაგუნდელებს ბურთს და... „ლოკომოტივი" იდეალი როდია, უბრალოდ გუნდური თამაშის უპირატესობის მაგალითია. ამის ხარჯზე რუსს ქართული ინდივიდუალიზმის დამარცხება შეუძლია, სხვაგვარად ვერას გახდება. და რა უნდა აკეთონ ქართველებმა წარმატების მისაღწევად? ბურთიანი შოთა მაინც და მაინც აჩის არ უნდა ეძებდეს, ქეცბაია — ჯანაშიას. ისინი ისე უნდა ირჩევდნენ იერიშის გაგრძელებას, როგორც ამას შექმნილი სიტუაცია, კონკრეტული მაგალითი ითხოვს.

ღმერთო ჩემო, რას ვამტკიცებთ. განა, ამაზე დავა-კამათი შეიძლება? ზოგი ამბობს (მათ შორის ჯანაშიაც), ასეთი რამ არ ხდებაო. მაგრამ ერთია სიტყვა და მეორე საქმე.

ამას ხომ ვერ დამალავ, ამას ყველა ხედავს და ხვდება, რომ ნაკრები ბანაკებად, ანაც ერთ ბანაკად და მის მიღმა დარჩენილებადაა დაყოფილი. და ჩვენი მიზანი არ უნდა იყოს იმის გარკვევა, ვინ კარგი ბიჭია და ვინ ცუდი. ჩვენ, ფეხბურთზე მწერალთ, თუ გულშემატკივართ, ის უნდა გვაინტერესებდეს, ვინ უკეთ თამაშობს. და სად უნდა ვნახოთ ეს ცხადად, თუ არა ნაკრებში?

სხვისი არ ვიცი და მე ბოლო წელიწადნახევარში „აიაქსისთვის" გატანილ შოთას 50-მდე გოლს ნაკრებში გატანილი ერთი მერჩივნა. სისულელეაო, თქვას, იქნებ, ვინმემ — „აიაქსში" რომ არ გაეტანა, ნაკრებში ვერ გაიტანდაო. არის ამაში ლოგიკა, მაგრამ სწორედ ერთის მეტი მართლა რომ არ გაუტანია?

კიევში ჩამოსულმა შოთამ არ ითამაშა — საზარდულმა შემაწუხაო. სამი დღით ადრე შოთა 90 წუთს იყო ჰოლანდიის სუპერფინალში მოედანზე — საზარდული მაშინაც აწუხებდა.

ერთ-ორს, ვისთანაც მეთქმოდა, სანაძლეო შევთავაზე — შოთა ორ დღეში ჰოლანდიის ჩემპიონატის მატჩში ითამაშებს-მეთქი. მას პირადად არა, მაგრამ მაინც კარგად ვიცნობ. ამანაც შემათამამა. არ ამყვნენ. ისე, ყველაფერი კარგი აგიხდეთ, შოთამ მორიგ „მაასტრიხტთან" 73 წუთს გაძლო, რომ ეთქვათ, იქაც 17-ს გაძლებდა. გაძლო და გოლიც გაიტანა — საზარდული მაშინაც აწუხებდა.

კიევში კი არ ითამაშა — ტრავმა მაქვსო. რა არის ეს? ეს ნიშნავს, რომ შოთა კლუბის პატრიოტია, ნაკრებისა კი არა. და განა მარტო შოთა, მსგავსი რამ მოიმოქმედა რიგა-ათენის ტურისას ზაზა ჯანაშიამ. და ჩვენ ახლა მოვდგეთ და ვარკვიოთ, ვის უფრო უყვარს საქართველო? ჩვენ ხომ ვიცით, რომ არც ერთია ილია ჭავჭავაძე და არც მეორე დიმიტრი ყიფიანი. მაშ ერთი მეორისგან რით უნდა გავარჩიოთ, შოთა ზაზას, ან პირიქით, რის გამო უნდა ვამჯობინოთ. მე თუ მკითხავთ, იმის მიხედვით, ვინ უფრო მეტს გაიტანს ჩვენი ნაკრებისთვის. ჩვენ მათ პატრიოტობა კი არა, საკუთარი საქმის კეთება და საქმის სიყვარული უნდა მოვთხოვოთ. ასეა, რადგან ნაკრებისა და ქვეყნის პატრიოტობა შემადგენლობაში საკუთარი გვარის დაფიქსირებით კი არა, გაკეთებულით უნდა ისაზღვრებოდეს. იმ ნიჭის რეალიზაციით, რითაც ჩვენი გაუბედურებული ხალხის გახარება შეუძლიათ. ფეხბურთელის პატრიოტობა უფრო ზუსტად რაში გამოიხატება? მეკარე კარს იცავდეს, მცველი მის მისადგომებს, ნახევარმცველი პასს არ აყოვნებდეს და თავდამსხმელი — ზუსტ დარტყმას.

აბა, სხვაგვარ პატრიოტობას ფეხბურთელს კი არა, ჩვენს მთავრობას ვერ მოვთხოვთ, ანუ იმ მინისტრებს, ვინც ავტომანქანაში 70 ათასის გადახდას არ იშურებენ, შეჭირვებულ ხალხს კი ხელფასპენსიებს თვეობით უგვიანებენ.

ჩვენ ყველაფერში იდეალის დასახვა გვჩვევია. ეს ცუდი როდია, მაგრამ არჩევანში არ უნდა შეცდე. არადა, ხალხიც ცდება, თანაც ისევე ხშირად, როგორც არ ცდება.

თუ საქმე იმაზე მიდგა, ვინაა პატრიოტი, ესეც ვთქვათ. პატრიოტობა მაღაზია „პატრიოტის" ნაწარმის ყიდვა როდია. პატრიოტობა საკუთარი ხალხის სიყვარულია.

პატრიოტი ქართველი ფეხბურთელი კი, სხვებმა მომიტევონ, და, პირველ რიგში, მიხეილ ფოცხვერიაა. ის, ვისაც საქართველო ბავშობის მერე არ ენახა, ის, ვისაც უკრაინელები თუ რუსები კალთებს ახევდნენ, მაგრამ სისხლის ყივილმა საქართველოს ნაკრებში თამაში გადააწყვეტინა. სხვაზე მეტად პატრიოტი ისაა, ვინც ცდუნებას არ აჰყოლია. და არა მხოლოდ ის, ვისაც დიდი ქვეყნის ნაკრებში თამაში არ „ემუქრებოდა", რაკილა ჩვენს მიწაზე დაიბადა და აქვე გაიზარდა.

მაგრამ ჩვენ თუ რამე გვინდა, ერთმანეთს, პატრიოტობაზე მეტად თამაშში, საქმის სიყვარულში უნდა გავეჯიბროთ. ესეც პატრიოტობა იქნება, საკუთარი საქმისა. მას კი, ვისაც საქმეზე მეტად ფული შეჰყვარებია, ამის უფლება დავუტოვოთ, მაგრამ ერთი მოვთხოვოთ: ვისაც საქართველოს ნაკრებში თამაში არ სურს, თვალს ნუ ატყუებს. ნაკრებს თავი გაანებოს და ამისთვის უფრო ნაკლებად გაიკიცხება, ვიდრე ეროვნული მაისურით თამაშისას ქვეყნის შერცხვენისთვის.

**ვახტანგ ბზიკაძე**



შოთა არველაძე „ამსტელს" ნამდვილ ქართულ ლუდ „ყაზბეგს" ამჯობინებს.
ნამდვილი ქართველობა ნაკრებში გატანილი გოლით ქართველი ხალხის გახარებაა

# შეყილაძეს ფეხი გაუშეშეს



გელა შეყილაძე

საქართველოს ნაკრების მცველი გელა შეყილაძე კვლავ დაშავდა. გეხსომებათ, შეყილაძე ერთ ხანს ტრავმირებული იყო, მაგრამ გამოჯანმრთელდა და ბელგიის ჩემპიონატის ბოლო მატჩებშიც მონაწილეობდა.

შაბათს კი, როდესაც შეყილაძის „ლიერსი" სტუმრად „გენტს" ეთამაშებოდა (ლიერსი 0:1 დამარცხდა), გელამ კვლავ ტრავმა მიიღო. საქმეში უკეთ გასარკვევად შეყილაძეს ბელგიაში შევეხმიანეთ. სამწუხაროდ, თავად გელასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, მისმა მეუღლემ კი ეს გვითხრა, გელამ „გენტთან" თამაშისას, მეორე ტაიმში, ფეხის თითზე სერიოზული ტრავმა მიიღო, იგი ახლა საავადმყოფოშია, ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს და როდის მომჯობინდება არ იციანო.

იმედი ვიქონიოთ, რომ გელა მალე მომჯობინდება და „ლიერსსა" და საქართველოს ნაკრებს დროულად დაუბრუნდება.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი?

ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელები და გულშემატკივრები სალორიაზე გასამართი დღევანდელი კრების მოლოდინში არიან. კლუბის მწვრთნელებმა და ახალმა ხელმძღვანელებმა ის საბოლოო შემადგენლობა უნდა დაასახელონ, რომელიც უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში გაივლის მოსამზადებელ პერიოდს და მეორე წრეში ჩემპიონატს განაახლებს.

„ტორპედოში" ერთ-ორ გამოცდილ ახალწვეულსაც ვიხილავთ. თუმცა გუნდის მესვეურებმა აქცენტი ადგილობრივ საფეხბურთო სკოლებში აღზრდილ ახალბედა ფეხბურთელებზე გადაიტანეს. ასეთები კი ქუთაისში, საბედნიეროდ, სანთლით საძებნი არ არიან. „ტორპედო-2"-დან პირველ გუნდში გადაყვანილ თავდამსხმელ იმედაძის ნიჭზე არაერთხელ ითქვა. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ იმერული კლუბის ხელმძღვანელები. იმედაძის დარად, „ტორპედოში" დამკვიდრება ერთი ფარმკლუბელი მალხაზ ასათიანი. ისიც თავდამსხმელია, თუმცა გამთამაშებლისათვის დამახასიათებელი კარგი მონაცემებიც აქვს.

ასათიანი ჩვენი ქვეყნის 18-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთ კანდიდატადაც ითვლება. შეგახსენებთ, რომ იგი 1996 წლის კოკა-კოლას თასის ტრადიციული გათამაშების საუკეთესო გოლეადორად მოგვევლინა და იმ ტურნირში „ტორპედო-2"-ის გამარჯვებაში ლომის წილი დადო.

„სარბიელისთვის" ცნობილი გახდა, რომ ამ ფეხბურთელით სამტრედიის „იბერიას" მესვეურებიც არიან დაინტერესებული, თუმცა, როგორც „ტორპედოს" პრეზიდენტმა მიხეილ ქორქიამ აღნიშნა, მალხაზის მომავალი ქუთაისის პირველ გუნდს დაუკავშირდება.

**ხვიჩა სანიკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

# ყველანი შეტევაზე!

XVII ტური

**ბლექბერნი 0:0 ნიუკასლი**

ბლექბერნი: ფეტისი, კენა, ენჩოსი, დეილი, დევიდსონი, ჯონსონი, შერვუდი, მაკკინლი, უილკოქსი, დეივისი, ბლეიქი
ნიუკასლი: ჰარპერი, შარვე, ჰოუი, ჰიუზი (დაბიზასი 65), ბარტონი, სოლანო, ჰამანი, სპიდი, გლასი (გეორგიადისი 84), ანდერსონი (ქეცბაია 65), ფერგიუსონი
გაფრთხილება: დეივისი, სპიდი
მსაჯი: ჰარისი

**დერბი 2:2 ჩელსი**

1:0 კარბონარი (26), 1:1 ფლო (55), 1:2 პოიეტი (59), 2:2 სტარიჯი (90)
დერბი: პოომი, კარბონარი (სტარიჯი 79), პაუელი, დორიგო, ვანჩოპე, დელაპი, ბოჰინენი (შნური 79), ლაურსენი, პრაიორი, ერანიო, ბაიანო (ჰარპერი 79)
ჩელსი: დე გუი, ლებეფი, გოლდბეკი (პეტრესკუ 46), პოიეტი, უაიზი, დიუბერი, ლე სო, ფლო, ლამბურდი, ძოლა (ნიქოლზი 89), მორისი (ბაბაიარო 89)
გაფრთხილება: პაუელი, კარბონარი, ვანჩოპე, ფლო
მსაჯი: ჯონსი

**ევერტონი 1:0 საუთჰემპტონი**

1:0 ბაკაიოკო (31)
ევერტონი: მირე, კლილენდი, ბოლი, ანსუორსი, კოლინზი, ჰაჩისონი, გრანტი (ბარმბი 87), მადარი (დაკურტი 75), ბაკაიოკო, დანი, ბილიჩი
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, ლე ტისიე, ოუკლი, ჰიუზი, ოსტენსტადი, ბიტი (ბრედლი 87), ჰილი, მონკი, კეჩლოული (რიპლი 83)
გაფრთხილება: ანსუორსი, ბოლი, კეჩლოული, ჰიუზი
მსაჯი: უილკი

**ლესტერი 3:1 ნოტინგემი**

0:1 ვან ჰოიდონკი (14), 1:1 ჰესკი (43), 2:1 ელიოტი (55პ), 3:1 გაპი (75)
ლესტერი: კელერი, კამარკი, ალსორნი, ელიოტი, უოლში (ფენტონი 75), იზეტი, ლენონი, ზაგორაკისი (სევიჯი 69), იმპეი, ჰესკი (პარკერი 87), გაპი
ნოტინგემი: ბიზანტი, როჯერსი, ჩეტლი, ჰილდე (ფრიდმანი 74), სტოუნი, ჯემილი, ჯონსონი, ბარტ-უილიამსი, მატსონი, ჰერვუდი (შიპერლი 81), ვან ჰოიდონკი
გაფრთხილება: სტოუნი, ჰერვუდი, ჯონსონი, მატსონი
გაძევება: ვან ჰოიდონკი (58)
მსაჯი: რილი

**შეფილდი 3:0 ჩარლტონი**

1:0 ბუსი (13), 2:0 კარბონე (64), 3:0 რუდი (77)
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, იონკი, უოქერი, კარბონე, ბუსი, ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი (სტეფანოვიჩი 78), ალექსანდერსონი (ბრისკო 58), სონერი
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფირნი (ბარნსი 71), რუფუსი, იუდსი, ნიუტონი (კ. ჯონსი 71), კინსელა, ჰანტი (მენდონკა 78), რობინსონი, ს. ჯონსი
გაფრთხილება: კარბონე, სონერი, სტეფანოვიჩი
მსაჯი: გალაჰერი

**მიდლსბრო 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 დინი (40)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, პალისტერი, მასტო, გესქოინი, დინი, თაუნსენდი, რიკარდი (ბეკი 74), სტოკდეილი (სტამპი 85), კუპერი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, ფერდინანდი, პირსი, ლომასი, ლამპარდი, სინკლერი, კელერი (მონკური 46), ჰარტსონი, რაიტი, ლაზარიდისი (ომოიმნი 76)
გაფრთხილება: პალისტერი, პოტსი, პირსი, ლამპარდი
მსაჯი: ბერგი

**ასტონ ვილა 3:2 არსენალი**

0:1, 0:2 ბერხკამპი (14, 45), 1:2 ჯოაკიმი (62), 2:2, 3:2 დაბლინი (65, 83)
ასტონ ვილა: ოუქსი, უოტსონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბერი (კოლიმორი 54), რაიტი, ტეილორი, ჰენდრი, ტომპსონი, ჯოაკიმი (გრეისონი 86), დაბლინი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ბოულდი, კიოუნი, ვივასი, ლიუნგბერგი (გრიმანდი 68), ვიეირა, პარლოუ (ბოა მორტე 89), ოვერმარსი, ანელკა, ბერხკამპი
გაფრთხილება: ტომპსონი, რაიტი, საუთგეიტი, ბერხკამპი, ლიუნგბერგი, დიქსონი
მსაჯი: ლოჯი

**უიმბლდონი 1:0 ლივერპული**

1:0 ერლი (48)
უიმბდონი: სალივანი, კანინჰემი, პერი, ბლექველი, თეთჩერი, ერლი, გეილი (რობერტსი 77), ერდლი, ლიბერნი (ეკოკუ 61), ჰიუზი, იუელი
ლივერპული: ჯეიმსი, სტონტონი, ბები, ფაულერი (რიდლე 61), ოუენი, რედნაპი, ჰეგემი, ბერგერი, ინსი, ბიორნებიუ, კარაგერი
გაფრთხილება: ინსი
მსაჯი: უილარდი

**ტოტენჰემი 2:2 მანჩესტერი**

0:1, 0:2 სოლსკიაერი (11, 18), 1:2, 2:2 კემპბელი (70, 90)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ნილსენი, ფოქსი (ალენი 82), ანდერტონი, ფერდინანდი, არმსტრონგი, ჟინოლა, სინტონი, კემპბელი, იანგი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, სტამი, ბექემი, ბათი, შერინგემი (კოული 74), გიგზი (ბლომკვისტი 87), ფ. ნევილი, კინი, სოლსკიაერი (ბერგი 46)
გაფრთხილება: სინტონი, ფერდინანდი, ბათი, შერინგემი, გ. ნევილი, ფ. ნევილი, ბექემი, იონსენი
გაძევება: გ. ნევილი (39)
მსაჯი: რენი

**ლიდსი 2:0 ქოვენთრი**

1:0 ჰოფკინი (40), 2:0 ბოუერი (90)
ლიდსი: მარტინი, ვუდგეიტი, რადებე (ჰალე 61), ჰოფკინი, ბეტი (მაკფილი 72), ბოუერი, კიუელი, არტე, სმიტი, ჰასელბაინკი
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, უილიამსი, შოუ, სოლტვედტი, ველანი, მაკალისტერი, ბოატენგი (ჰალი 77), კლემენტი (ჯეკსონი 53), ფროგეტი, ედვორსი
გაფრთხილება: ბეტი, ჰასელბაინკი, ჰოფკინი, სოლტვედტი, შოუ
მსაჯი: პოლი

„ასტონ ვილამ" ლიდერობით სიამოვნება „მანჩესტერ იუნაიტედს" მხოლოდ ერთი დღე აცალა — შაბათს ფერგიუსონის ბიჭებმა ფრედ 2:2 ითამაშეს „ტოტენჰემთან", გათამაშების ცხრილს თავში მოექცნენ და კვირის შეხვედრის, „ასტონ ვილა" — „არსენალის" შედეგს დაუწყეს ლოდინი. არ გაუმართლათ.

ლიდერებმა ორი სრულიად სხვადასხვაგვარი მატჩი ჩაატარეს. „უაით ჰართ ლეინზე" რომ გაიმართა, იმით დავიწყოთ.

ამბიციამოჭარბებული „ტოტენჰემი" უდაოდ ძლიერ „მანჩესტერთან" უკვე მე-18 წუთზე 0:2-ს აგებდა. ორივე გოლი წლეულს ცუდად მოთამაშე ყმაწვილმა ნორვეგიელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა გაიტანა.

ამ ამბავმა მასპინძელთა გამოცდილი დამრიგებელი ჯორჯ გრემი მეტად შეაფიქრიანა. ჰოდა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო — ყველანი შეტევაზე! „ყველანიც", ბუნებრივია, დაემორჩილნენ ბრძენი თავკაცის ბრძანებას და შმაიხელის კართან ისეთი შტურმი მოაწყვეს, რომ გარი ნევილმა ვერ გაუძლო, ზედიზედ ორჯერ მიიღო ყვითელი ბარათი და 39-ე წუთზე დროზე ადრე გაეშურა გასახდელისკენ.

მეორე ტაიმში ათკაციან „მანჩესტერს" კიდევ უფრო გაუჭირდა. არა, ამჯერად აღარავინ გაუგდიათ, უარესი მოხდა.

ბრგე ზანგი სოლ კემპბელი კარგი მცველი რომ არის, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ თავდასხმაშიც თუ ასეთი ყოჩაღი იყო, ალბათ, ცოტამ თუ უწყოდა. სწორედ ინგლისის ნაკრების უკანახაზელმა „მოახდინა უარესი", სტუმრებს ორჯერ გაუტანა და მშობლიურ მანჩესტერში ქულის ამარა გაუშვა.

ამიტომაც იყო, ფერგიუსონი და კომპანია ბირმინგემულ მატჩს გაფაციცებით რომ ელოდა, თორემ გამარჯვების შემთხვევაში (ამისთვის მათ რამდენიმე წამი დააკლდათ) ისინი დღეს პირველები იქნებოდნენ. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, არ გაუმართლათ. და აი, რატომ.

ისევე როგორც ლონდონში, ბირმინგემშიც პირველი ტაიმი სტუმრებმა, „არსენალის" ფეხბურთელებმა 2:0 მოიგეს და აქაც ორივე ერთმა კაცმა გაიტანა — ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა, რომელსაც მანამდე ოთხი შეხვედრა ჰქონდა გამოტოვებული.

აქაც ჩაფიქრდა მასპინძელთა თავკაცი, ამ შემთხვევაში ჯონ გრეგორი და ზუსტად ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, როგორიც წინა დღეს გრემმა — ყველანი შეტევაზე!

დაიწყო მეორე ნახევარი. ორი ფორვარდით მოთამაშე ბირმინგემელებს ერთიც შეემატათ — მცველი გარეტ ბერი სტენ კოლიმორმა შეცვალა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო.

სასწაულისკენ პირველი ნაბიჯი ჯულიან ჯოაკიმმა გადადგა, მეორე და მესამე კი დიონ დაბლინმა, კაცმა, რომელმაც უკვე 12 ბურთი გაიტანა და მოასწრო „ასტონ ვილას" ისტორიაში დამკვიდრება.

— შესვენებაზე რომ დავფიქრდი და ჩემპიონისთვის ორი ბურთის გაქვითვა ვინატრე, ჩემი ბავშვობა გამახსენდა, როცა წარმოუდგენელ რალაცეებზე ვოცნებობდი. ძნელი მისახვედრი არ არის, რა გრძნობა დამეუფლა, როდესაც მსაჯის საფინალო სასტვენი მომესმა და ტაბლოს გავხედე — პატარა ბიჭივით ხარობდა მატჩის შემდეგ ჯონ გრეგორი, თუმცა მერე ემოციები მოთოკა და ზოგად საპრემიერლიგო საკითხებსაც შეეხო.

— ზედიზედ სამი მატჩი გავმართეთ ინგლისის უძლიერეს კლუბებთან და ვფიქრობ, ამ ბრძოლებიდან ღირსეულად გამოვედით. დღესდღეობით რასაც ვხედავ, ჩემპიონობის შანსი რეალურად ოთხიოდე გუნდს აქვს. ერთ-ერთი „ასტონ ვილაა" და ამით ბედნიერი ვარ.

სრულიად განსხვავებულ ხასიათზე იმყოფებოდა ლონდონელთა ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი, რაც ნაღდად არ არის გასაკვირი.

— ვერ გამიგია, როგორ მოვახერხეთ ამ მატჩის წაგება. ამის ძალით გაკეთებაც კი ურთულეს საქმედ მიმაჩნია. ბირმინგემელთა გამარჯვებას არ ვაკნინებ, მაგრამ დღეს მათ კი არ მოიგეს, „არსენალმა" წააგო — ტრადიციულად წყნარი ვენგერი ძალიან გაბრაზებული ჩანდა.

აღშფოთებული იყო ვენგერის თანამემამულე ჟერარ ულიეც. მისმა „ლივერპულმა" სულ აიღო ნამუსზე ხელი და მორიგი მარცხი განიცადა.

კვირას „სელჰარსტ პარკზე" „უიმბლდონის" კარის დარაჯ ნილ სალივანის ბენეფისი შედგა. გარდა იმისა, რომ მან უამრავჯერ იხსნა თავისიანები, მეთერთმეტე წუთზე თერთმეტმეტრიანიც მოიგერია — მაიკლ ოუენს აჯობა.

მატჩის განახლებიდან სამ წუთში რობი ერლიმ შეხვედრის ერთადერთი გოლი რომ გაიტანა და მასპინძლები დააწინაურა, ალბათ, ულიემაც გაიფიქრა, „ყველანი შეტევაზეო", მაგრამ, ეტყობა, ეს აზრი ფეხბურთელებს ვერ გადასცა, რადგან მეორე ტაიმში „მერსისაიდელები" ისე ირჯებოდნენ, გეგონება, დიდი ანგარიშით იგებენ და ჯროზე უნდათ გასახდელში გაღწევა, რათა კარგად მოილხინონო.

ასეა თუ ისე, „ლივერპულმა" წააგო და კიდევ ერთხელ (ალბათ, არა უკანასკნელად) დასწყვიტა გული ქომაგთა მრავალრიცხოვან არმიას.

არ წაუგია, მაგრამ ნაწყენი დარჩა „ჩელსი". სხვაგვარად ვერც იქნებოდა — ლონდონელები სტუმრად ბოლო წუთამდე უგებდნენ „დერბი ქაუნთის" ნორვეგიელი ტორე ანდრე ფლოს და ურუგვაელი გუსტავო პოიეტის გოლების წყალობით, მაგრამ დროზე ადრე მოეშვნენ და, როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, დაისაჯნენ კიდეც — პირველი გოლის ავტორის, არგენტინელი მცველის ჰორასიო კარბონარის ნაცვლად მინდორზე შესულმა დინ სტარიჯმა 90-ე წუთზე „ჩელსის" მეორე ადგილზე გადაბრძანების ოცნება წყალში მოისროლა.

— „ასტონ ვილასთან" გაგვიმართლა, დღეს კი პირიქით. რას იზამ, ფეხბურთი ასეთი თამაშია. ახლა რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ დღევანდელი უიღბლობა — ლონდონელთა იტალიელი მოთამაშე მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი მაინც იმედიანად არის.

როგორც იქნა, „ჩელსის" ყოფილმა თავკაცმა რუდ გულიტმა თემურ ქეცბაიას თამაშის საშუალება მისცა. ცხრილის ქვედა ნაწილის ბინადართა ბრძოლა (თუ ამას ბრძოლა შეიძლება ვუწოდოთ), ძალიან უინტერესო გამოდგა. ვერც „ბლექბერნმა" და ვერც „ნიუკასლმა" სტადიონზე მისულ 30 ათასამდე ფანს გული ვერ გაუხარა. ეს უფრო ქეცბაიას გუნდს ეხება, რომელსაც „ივუდ პარკის" იმ ნაწილზე გადასვლაც კი უჭირდა, სადაც მეტოქის კარი მდებარეობდა.

რაც შეეხება კრიზისიდან ნელ-ნელა გამომავალ „ბლექბერნს", იგი გამარჯვებას იმსახურებდა. რადგან ჯერ კევინ დეივისმა გაუშვა მეტად ხელსაყრელი მომენტი, შემდეგ კი მასპინძელთა მცველმა ჯეფ კენამ პენალტიდან დარტყმული ბურთი ძელს გაარტყა.

დროა, გულიტმაც მოუწოდოს თავის შეგირდებს — ყველანი შეტევაზე!

**დავით კოვზირიძე**



REUTERS ბირმინგემიდან

ასტონ ვილა — არსენალი. ლონდონელმა დენის ბერხკამპმა (მარჯვნივ) გარეტ ბერის დაასწრო და მასპინძლებს გაუტანა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 17 | 9 | 6 | 2 | 27:17 | +10 | 33 | 9 | 6 | 2 | 1 | 17:11 | +6 | 20 | 8 | 3 | 4 | 1 | 10:6 | +4 | 13 |
| 2 | მანჩესტერი | 16 | 8 | 6 | 2 | 33:19 | +14 | 30 | 8 | 6 | 2 | 0 | 21:8 | +13 | 20 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:11 | +1 | 10 |
| 3 | ლიდსი | 17 | 7 | 8 | 2 | 28:14 | +14 | 29 | 9 | 6 | 2 | 1 | 16:3 | +13 | 20 | 8 | 1 | 6 | 1 | 12:11 | +1 | 9 |
| 4 | ჩელსი | 16 | 7 | 8 | 1 | 26:16 | +10 | 29 | 8 | 5 | 3 | 0 | 13:5 | +8 | 18 | 8 | 2 | 5 | 1 | 13:11 | +2 | 11 |
| 5 | მიდლსბრო | 17 | 6 | 9 | 2 | 27:19 | +8 | 27 | 9 | 4 | 5 | 0 | 15:7 | +8 | 17 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:12 | 0 | 10 |
| 6 | არსენალი | 17 | 6 | 8 | 3 | 17:10 | +7 | 26 | 8 | 4 | 4 | 0 | 11:3 | +8 | 16 | 9 | 2 | 4 | 3 | 6:7 | -1 | 10 |
| 7 | ვესტ ჰემი | 17 | 7 | 5 | 5 | 20:21 | -1 | 26 | 8 | 4 | 3 | 1 | 12:9 | +3 | 15 | 9 | 3 | 2 | 4 | 8:12 | -4 | 11 |
| 8 | უიმბლდონი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:26 | -4 | 26 | 9 | 5 | 3 | 1 | 14:9 | +5 | 18 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:17 | -9 | 8 |
| 9 | ლესტერი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:19 | +2 | 24 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:9 | +5 | 17 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:10 | -3 | 7 |
| 10 | დერბი | 17 | 5 | 8 | 4 | 17:16 | +1 | 23 | 9 | 2 | 5 | 2 | 8:8 | 0 | 11 | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | +1 | 12 |
| 11 | ტოტენჰემი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:26 | -3 | 23 | 9 | 4 | 3 | 2 | 15:15 | 0 | 15 | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | -3 | 8 |
| 12 | ლივერპული | 17 | 6 | 4 | 7 | 27:22 | +5 | 22 | 8 | 3 | 3 | 2 | 15:10 | +5 | 12 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:12 | 0 | 10 |
| 13 | შეფილდი | 17 | 6 | 4 | 7 | 20:17 | +3 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 13:5 | +8 | 17 | 8 | 1 | 2 | 5 | 7:12 | -5 | 5 |
| 14 | ევერტონი | 17 | 5 | 7 | 5 | 11:15 | -4 | 22 | 9 | 2 | 5 | 2 | 3:5 | -2 | 11 | 8 | 3 | 2 | 3 | 8:10 | -2 | 8 |
| 15 | ნიუკასლი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:21 | 0 | 21 | 8 | 4 | 2 | 2 | 13:10 | +3 | 14 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:11 | -3 | 7 |
| 16 | ჩარლტონი | 17 | 3 | 7 | 7 | 22:27 | -5 | 16 | 7 | 2 | 3 | 2 | 13:8 | +5 | 9 | 10 | 1 | 4 | 5 | 9:19 | -10 | 7 |
| 17 | ქოვენთრი | 17 | 4 | 3 | 10 | 14:25 | -11 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 5:15 | -10 | 4 |
| 18 | ბლექბერნი | 17 | 3 | 4 | 10 | 15:24 | -9 | 13 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 0 | 8 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:14 | -9 | 2 |
| 19 | ნოტინგემი | 17 | 2 | 5 | 10 | 15:30 | -15 | 11 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 7 | 9 | 1 | 1 | 7 | 9:21 | -12 | 4 |
| 20 | საუთჰემპტონი | 17 | 2 | 4 | 11 | 12:34 | -22 | 10 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:17 | -8 | 5 | 9 | 1 | 2 | 6 | 3:17 | -14 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 12 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 8 |

XVIII ტური

19 დეკემბერი

ჩელსი - ტოტენჰემი
ქოვენთრი - დერბი
ლივერპული - შეფილდი
მანჩესტერი - მიდლსბრო
ნიუკასლი - ლესტერი
ნოტინგემი - ბლექბერნი
საუთჰემპტონი - უიმბლდონი
ვესტ ჰემი - ევერტონი

20 დეკემბერი

არსენალი - ლიდსი

21 დეკემბერი

ჩარლტონი - ასტონ ვილა

## პირველი დივიზიონი

XXIII ტური

**პორტსმუთი 0:1 გრიმსბი**

0:1 გროვესი (67)

**ბრისტოლი 1:1 კრისტალ პალასი**

0:1 ბელი (24ს.კ.), 1:1 აკინბიუი (25)

**ჰადერსფილდი 0:3 ვესტ ბრომვიჩი**

0:1, 0:2 ქუინი (74, 79), 0:3 ჰიუზი (80)

**იფსვიჩი 0:2 ბარნსლი**

0:1 მაკლეირი (69), 0:2 ტერნერი (90)

**ოქსფორდი 1:7 ბირმინგემი**

0:1, 0:2 როუვეტი (16, 31), 0:3, 0:4 ფურლ[illegible]ი (17, 43), 0:5 გრაინგერი (55), 0[illegible] დლოვუ (72), 0:7 ჰიუზი (89), 1:7 დასი (90)

**ქუინზ პარკი 0:1 ქრიუ**

0:1 რაიტი (26)

**სანდერლენდი 2:0 პორტ ვეილი**

1:0 სმიტი (24), 2:0 ბატლერი (44)

**სვინდონი 1:4 ბრედფორდი**

1:0 ონორა (3), 1:1 ბლეიკი (20), 1:2, 1:3 მილსი (48, 61), 1:4 ბლეიკი (83)

**ტრანმერი 1:1 ბოლტონი**

0:1 ტეილორი (11), 1:1 ირონსი (90)

**უოტფორდი 4:2 სტოკპორტი**

1:0 იონსონი (8), 2:0 რაიტი (17), 3:0, 4:0 ნოელ-უილიამსი (65, 87), 4:1 ანჯელი (90), 4:2 კონელი (90)

**ვულვერჰემპტონი 2:2 ნორვიჩი**

0:1 ადამსი (31პ), 0:2 რობერტსი (60), 1:2, 2:2 კინი (84, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 22 | 14 | 7 | 1 | 51:15 | 49 |
| იფსვიჩი | 23 | 12 | 6 | 5 | 31:14 | 42 |
| უოტფორდი | 23 | 11 | 7 | 5 | 41:33 | 40 |
| ბირმინგემი | 23 | 11 | 5 | 7 | 37:24 | 38 |
| ბრედფორდი | 22 | 11 | 4 | 7 | 40:26 | 37 |
| ნორვიჩი | 22 | 10 | 7 | 5 | 37:29 | 37 |
| ბოლტონი | 22 | 9 | 9 | 4 | 41:31 | 36 |
| ჰადერსფილდი | 23 | 10 | 5 | 8 | 33:39 | 35 |
| გრიმსბი | 23 | 10 | 5 | 8 | 28:26 | 35 |
| ვესტ ბრომვიჩი | 23 | 10 | 4 | 9 | 43:38 | 34 |
| შეფილდი | 23 | 9 | 7 | 7 | 36:38 | 34 |
| ვულვზი | 23 | 9 | 7 | 7 | 33:24 | 34 |
| ბარნსლი | 23 | 7 | 9 | 7 | 34:30 | 30 |
| კრ. პალასი | 21 | 8 | 5 | 8 | 32:36 | 29 |
| ბერი | 23 | 7 | 7 | 9 | 20:27 | 28 |
| სტოკპორტი | 23 | 5 | 11 | 7 | 28:31 | 26 |
| ქუინზ პარკი | 23 | 7 | 4 | 12 | 25:33 | 25 |
| პორტსმუთი | 23 | 6 | 6 | 11 | 31:36 | 24 |
| სვინდონი | 23 | 6 | 6 | 11 | 31:39 | 24 |
| ტრანმერი | 23 | 4 | 12 | 7 | 29:35 | 24 |
| ოქსფორდი | 23 | 6 | 5 | 12 | 26:43 | 23 |
| პორტ ვეილი | 23 | 6 | 4 | 13 | 26:45 | 22 |
| ბრისტოლი | 23 | 4 | 8 | 11 | 33:50 | 20 |
| ქრიუ | 23 | 3 | 6 | 14 | 23:47 | 15 |

## გერმანია

### XVII ტური

**ფრაიბურგი 1:0 ნიურნბერგი**

1:0 კობიაშვილი (36)

ფრაიბურგი: გოლცი, დიარა, კორელი, შ. მიულერი, კოლი (პავლინი 86), კობიაშვილი, ფრონცეკი, ბაია, გიუნეში (შუმანი 85), იაშვილი, სელიმი (ვასმერი 85)

ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ლიოში, შტორცენჰოფეკერი, რანერი (გერბერი 46), ვისინგერი, ცელნერი (მარტინი 71), ციმერი (კურტი 63), ნიკლი, ბიურგერი, კუკა, ჩირიჩი

გაფრთხილება: კობიაშვილი, კოლი, მარტინი, რანერი, შტორცენჰოფეკერი, ციმერი, გერბერი

გაძევება: გერბერი (78)

მსაჯი: იანსენი

**ბაიერნი 2:0 ლევერკუზენი**

1:0 ტარნატი (20), 2:0 ელბერი (30)

ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი (შტრუნცი 71), ლინკე, ლისარასუ, იერემისი, ტარნატი (ფინკი 75), ეფენბერგი, ბასლერი, იანკერი (ციკლერი 71), ელბერი

ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი (ნ. კოვაჩი 46), რ. კოვაჩი, ნოვოტნი, რამელო, ჰაპე, ემერსონი, რეები, ზე რობერტო, მაიერი (რაიხენბერგერი 82), კირსტენი (რინკი 82)

გაფრთხილება: ბაბელი, ნოვოტნი, რამელო, ზე რობერტო, ჟივკოვიჩი

გაძევება: რ. კოვაჩი (76)

მსაჯი: ბერგი

**ლაუტერნი 2:1 აინტრახტი**

1:0 ბალაკი (4), 1:1 სტოიაკი (74), 2:1 რამზი (90)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, ჰრუტკა, ბალაკი, რამზი, ხრისტოვი, რიდლი, ჟუნიორი (როოსი 70), რაიხი (რიშე 76), როსლერი, მარშალი

აინტრახტი: ნიკოლოვი, პედერსენი, ხუბჩევი, ბინდევალდი, ბრინკმანი, იანხენი (კუჩერა 77), ვებერი, უ. შნაიდერი (სტოიაკი 70), სობოჩიკი, ბ. შნაიდერი, ფიორტოფტი (ვესტერტალერი 46)

გაფრთხილება: რიდლი, ბ. შნაიდერი, იანსენი

მსაჯი: ბუხჰარტი

**შალკე 2:2 მიუნხენი**

0:1 შროტი (45), 0:2 ჩერნი (49), 1:2 კმეჩი (73), 2:2 კურცი (89ს.კ.)

შალკე: რეკი, ვან ჰოგდალემი, აიგენრაუხი, ა. მიულერი (ვილმოტსი 54), კმეჩი, ნემეცი, ვან კერკჰოვენი, გუსენსი (ლატალი 63), მულდერი, მაქსი, აიკელკამპი (ანდერბრიუგე 72)

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გრაილიხი, ვანენბურგი, კურცი, ზელიჩი, სტევიჩი, რიხტერი (ჯორჯესი 68), მალცი, ოუაკილი (დინზეი 61), ჩერნი, შროტი

გაფრთხილება: აიკელკამპი, ნემეცი, სტევიჩი, ვანენბურგი

მსაჯი: შტაინბორნი

**დორტმუნდი 1:1 გლადბახი**

1:0 ვ. ბუტი (18), 1:1 პოლსტერი (24)

პოლსტერმა ვერ გამოიყენა პენალტი (24)

ჰესლერმა ვერ გამოიყენა პენალტი (76)

დორტმუნდი: კლოსი, ნიეგუსი, ჟულიო სეზარი (ჰესლერი 46), როიტერი, ფროინდი, რიკენი, დედე, ვ. ბუტი (ჰერლიხი 84), მიოლერი, სალუ, შაპუიზა (ბარბარესი 46)

მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, კლინკერტი (ფელდჰოფი 90), ასანინი, სობიჩიკი, ჰაუსვაილერი, ვიტეჩეკი (მ. შნაიდერი 28), ვინჰოფი (ჰაგნერი 54), კეტელაერი, პფლიპსენი, პოლსტერი

გაფრთხილება: ფროინდი, კლოსი, ანდერსონი, ჰაგნერი, ჰაუსვაილერი, სოპიჩი

გაძევება: სოპიჩი (88)

მსაჯი: ცერი

**ვოლფსბურგი 4:2 დუისბურგი**

1:0 დამაიერი (40), 2:0 აკონორი (48), 2:1 ნოვაკი (57ს.კ.), 3:1 იუსკოვიაკი (69), 3:2 შპისი (75), 4:2 იუსკოვიაკი (90)

ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, ტომსენი, კრიგერი, გრაინერი, ნოვაკი, დამაიერი, კაპეტანოვიჩი (შტამანი 68), აკონორი (ბრაიტენრაიტერი 86), პრეგერი (კოვაჩევიჩი 82), იუსკოვიაკი

# კობიაშვილმაც დაიწყო

დუისბურგი: სტაუჩე, ჰაიტო, ემერლინგი (ანდერსენი 81), ვოლერტი, ჰირში (კომლიენოვიჩი 71), ნოინი, ჰოერსენი (ვოლტერსი 46), ტიოფტინგი, ოსტჰოფი, შპისი, ბაიერლე

გაფრთხილება: კაპეტანოვიჩი, ჰაიტო, ჰირში, ნოინი

მსაჯი: კრუგი

**ვერდერი 2:2 შტუტგარტი**

0:1 შნაიდერი (2), 1:1 ტრარესი (62), 2:1 ბოდე (65), 2:2 ბობიჩი (70)

ვერდერი: ფ. როსტი, მაქსიმოვი (როემბიაკი 46), ვოიტალა, ბენკენი, ვიკი (ვიდნერი 37), აილტსი, ტრარესი, ჰერცოგი, ფლო, ბოდე

შტუტგარტი: ვოლფარტი, ბერთოლდი, ვერლაატი, კელერი, ტ. შნაიდერი (ენდრესი 68), სოლდო, კარნელი, ტიამი (ტ. როსტი 86), ცაიერი (ლისტეში 68), ბობიჩი, აკპობორი

გაფრთხილება: ვოიტალა, ენდრესი, სოლდო, ტიამი, ცაიერი

მსაჯი: მერკი

**ჰამბურგი 0:4 ჰერტა**

0:1 რაისი (22), 0:2 ვოში (50), 0:3 ტრეჩოკი (79), 0:4 პრეეტცი (84)

ჰამბურგი: ბ. ბუტი, პანადიჩი, ფოგელი, ჰერჩი, გროთი, ჰოოგმა, დემბინსკი, გრავესენი (ფ. ერნსტი 46), ჰოლერბახი (კირიაკოვი 53), დალინი (გრუბაჩი 59), იებოა

ჰერტა: კირალი, ვან ბურიკი, რეკდალი, სვერისონი, ვაიტი (დარდაი 68), ტრეჩოკი, ვოში (ნოიენდორფი 83), შმიდტი, ჰარტმანი, პრეეტცი, რაისი (მაასი 61)

გაფრთხილება: ჰოლერბახი, ტრეჩოკი, ვაიტი, ვოში

მსაჯი: ვებერი

**ჰანზა 3:0 ბოხუმი**

1:0 ნოივილი (21), 2:0 მაიაკი (78), 3:0 ნოივილი (86)

ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ცალმანი, ლანგე, ვიბრანი, იასერი, ბრაიტკროიცი (ელერსი 85), მაიაკი, რამდანე (ფუქსი 83), ნოივილი

ბოხუმი: ტ. ერნსტი, რაისი, ფარენჰორსტი, შრაიბერი, სუნდერმანი, შინდცილორცი, პეტროვიჩი (ბემბენი 45), იონი (გიულუნოღლუ 76), ბასტურკი (ბუკლი 57), დრინჩიჩი, კუნცი

გაფრთხილება: მაიაკი, რამდანე, რემერი, ვაილანდტი, ბასტურკი, რაისი, ერნსტი

გაძევება: ფარენჰორსტი

მსაჯი: ვაკი

პირველი წრის ბოლო ტურში ცენტრალურად უდავოდ „ბაიერნი" — „ლევერკუზნის" მატჩი ითვლებოდა. ეს შეხვედრა „ოლიმპიაშტადიონზე" კვირას გაიმართა. ქართველი გულშემატკივრისათვის უფრო საინტერესო თამაში კი შაბათს შედგა. „ფრაიბურგმა" „ნიურნბერგს" უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა. გადამწყვეტი გოლი კვლავ ქართველმა ლეგიონერმა გაიტანა. თავი ამჯერად ლევან კობიაშვილმა გამოიჩინა. ეს გოლი კობიაშვილისთვის ბუნდესლიგაში პირველი გახლდათ.

მატჩი თავიდანვე მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. მე-11 წუთზე ალექსანდრე იაშვილს მიეცა „ფრაიბურგის" დაწინაურების კარგი შესაძლებლობა, მაგრამ სტუმართა მეკარე ჰილფიკერმა იმარჯვა. ცოტა ხნის შემდეგ სელიმის დარტყმაც ჰილფიკერმა მოიგერია. 36-ე წუთზე იაშვილისა და კობიაშვილის კომბინაცია სტუმრებმა საჯარიმოს მისადგომებთან წესების დარღვევით ჩაშალეს. დაახლოებით 20 მეტრიდან კობიაშვილის უძლიერესად დარტყმულს მეკარემ ამჯერად ველარაფერი მოუხერხა. ბურთი ძელს მოხვდა და ბადეში გაეხვია. სტუმრები მთელი თამაშის განმავლობაში ერთადერთხელ დაემუქრნენ „ფრაიბურგის" კარს. მეორე ტაიმში ჩირიჩის მოჭრილი დარტყმა გოლცმა ჩინებულად მოიგერია. მატჩის ბოლოს იაშვილმა საჯარიმოში ორი მეტოქე მოატყუა და კარგადაც დაარტყა, „ნიურნბერგი" კვლავ ჰილფიკერმა იხსნა.

„დღეს ჩვენ სამი კი არა, ექვსი ქულა მოვიპოვეთ, რადგან „ნიურნბერგი" ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაში. გამარჯვებას უპირველეს ყოვლისა დისციპლინის წყალობით მივაღწიეთ. მეტოქეს გატანის ერთი შანსი მივეცით და, საბედნიეროდ, ვერ გამოიყენეს" — მიუხედავად მეათე ადგილზე მყარად დამკვიდრებისა, თავისი გუნდის შესაძლებლობები „ფრაიბურგის" თავკაცმა ფოლკერ ფინკემ რეალურად შეაფასა.

„ბაიერნი" „შემოდგომის ჩემპიონია". კვირას ბავარიელებმა ჩემპიონატის აწ უკვე ყოფილი ლიდერი „ლევერკუზენი" პირწმინდად დაჩაგრეს. ანგარიში სრულად არ ასახავს იმ უპირატესობას, რაც მიუნხენელებს ჰქონდათ. მატჩი და „ბაიერნის" შეტევები ერთად დაიწყო. ეს საწყისი 30 წუთის სტენოგრამიდანაც კარგად ჩანს: პირველივე წუთზე ეფენბერგმა დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ბურთს გზა მცველმა გადაუღობა. მე-3 წუთზე ბაბელმა იანკერთან გაითამაშა ბურთი და ძლიერად დაარტყა, თუმცა ოდნავ ააცილა. მალე ისევ ბაბელს მიეცა გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ კვლავ მიზანმა უმტყუნა. მე-9 წუთზე ბასლერმა ჯარიმიდან ბადე კი შეარხია, მაგრამ გარედან. 13-ე წუთზე ლევერკუზენელები პირველად გადასცდნენ ცენტრს — რამელოს შორიდან დარტყმული დიდი მანძილით ასცდა კანის კარს. მე-20 წუთზე უხეშად შეცდა ჟივკოვიჩი, რომელსაც იანკერმა ბურთი აართვა, საჯარიმოში შეიჭრა და კარის სიახლოვეს უმეთვალყურეოდ დატოვებულ ტარნატს გაატანინა. ათი წუთის შემდეგ ბასლერის ჩაწოდებული ბურთი ელბერმა შეუჩერებლად, ძლიერად დაარტყა და ლევერკუზენელები მეორედ დაალონა.



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ლევერკუზენი. რობერტ კოვაჩს (2) ჯოვანი ელბერის წაქცევა გაძევებად დაუჯდა

მეორე ტაიმში „ბაიერნი" ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდა, მაგრამ დროდადრო მწვავე კონტრშეტევებსაც ახორციელებდა. 56-ე წუთზე მასპინძლებს წესების დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს. ტარნატის შორიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი ერთ-ერთ ლევერკუზენელს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და კარში შეგორდა, მაგრამ თანამსაჯმა ელბერზე პასიური თამაშგარე დააფიქსირა. 66-ე წუთზე კირსტენის თავური ლინკეს ხელში მოხვდა. მსაჯმა ეს შემთხვევითობად ჩათვალა. მალე ბასლერის ძლიერად დარტყმული ძელმა მოიგერია. ცოტა ხანში სტუმრები ათი კაცით დარჩნენ. მეკარესთან პირისპირ გასული ელბერი რობერტ კოვაჩმა ხელით შეაჩერა და „ბოლო იმედის ჯარიმისთვის" გასახდელის გზასაც გაუყვა. თამაშის მიწურულს „ლევერკუზენი" კიდევ ერთხელ გადარჩა. შტრუნცის ჩაწოდებული ჯერ ჰაპეს მოხვდა, შემდეგ ხარიხას.

მატჩის შემდეგ „ბაიერნი" მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი, შედეგით კმაყოფილი გახლდათ: „კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ბუნდესლიგაში უძლიერესები ვართ. მეტოქე ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ. „შემოდგომის ჩემპიონი" უმეტესწილად საბოლოოდაც იმარჯვებს, იმედია, ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა". „ბაიერნმა" დამსახურებულად მოგვიგოო, ამის თქმისა მოახერხა ჰიტცფელდის ლევერკუზენელმა კოლეგამ კრისტოფ დაუმმა, რომელიც მატჩამდე მიუნხენელებს ემუქრებოდა კიდეც.

ახლა ბავარიელებმა ლევერკუზენელებზე სამი ქულით მეტი დააგროვეს და რეალური შანსი აქვთ, უპირატესობა ექვსამდე გაზარდონ. ხვალ „ბაიერნი" მიონხენგლადბახში „ბორუსიას" ეწვევა მეთორმეტე ტურის გამოტოვებული მატჩის გასამართად და, ალბათ, დაამარცხებს კიდეც. დღეს და ხვალ კიდევ ორი გამოტოვებული მატჩი ჩატარდება: დღეს „ფრაიბურგი" ბერლინში „ჰერტას" ესტუმრება, ხოლო ხვალ „კაიზერსლაუტერნი" — „დუისბურგს".

„დუისბურგამდე" კი ოტო რეჰაგელის შეგირდებმა ფრანკფურტის „აინტრახტს" უმასპინძლეს და გაჭირვებით 2:1 სძლიეს. არადა „ლაუტერნს" პირველივე ტაიმში შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა. უკვე მე-4 წუთზე ბალაკმა ჯერ ხუბჩევი გააბითურა, შემდეგ სტუმართა მაკედონიელი მეკარე ნიკოლოვი და ანგარიში გახსნა. მიუხედავად დაწინაურებისა, მასპინძლებს შეტევები არ შეუწყვეტიათ. ჟუნიორს, ხრისტოვს, რაიხსა და მარშალს გატანის უამრავი შანსი ჰქონდათ, მაგრამ სტუმართა კარი მოჯადოებულს ჰგავდა.

მეორე ტაიმის დებიუტში კვლავ მარშალს შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ ნიკოლოვი შეუვალი გახლდათ. 74-ე წუთზე სტუმართა პირველივე სახიფათო მომენტს გოლი მოჰყვა. „ლაუტერნის" მეკარე რაინკეს შეცდომით კარგად ისარგებლა სტოიაკმა და თავით ანგარიში გაათანაბრა. მატჩის ბოლო თხუთმეტი წუთი მასპინძელთა შტურმში წარიმართა. ხრისტოვს, რიშესა და რამზის სტადიონზე შეკრებილი 42 ათასამდე ქომაგის გახარებაში ნიკოლოვმა შეუშალა ხელი. თუმცა „ლაუტერნი" ღმერთმა არ გაწირა. 90-ე წუთზე ჰრუტკას ჩინებული პასის შემდეგ რამზიმ სტუმართა კარს ჯადო ახსნა.

საინტერესო გამოდგა „შალკე" — „მიუნხენის" შეხვედრა. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის. თუმცა, ჯერ პირველ ტაიმზე ვთქვათ, რომელიც მასპინძელთა მცირე უპირატესობით კი წარიმართა, მაგრამ გოლი მათ კარში გავიდა. 44-ე წუთზე მიუნხენელთა სწრაფი კონტრშეტევა შროტმა დააგვირგვინა. მეორე ტაიმის მეოთხე წუთზევე სტუმრებმა კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. აიგენრაუხის შეცდომა ჩერნიმ გამოიყენა და მატჩის ბედიც თითქოს გადაწყვიტა, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა „შალკეს" მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი და სათადარიგოებს შორის მყოფი მარკ ვილმოტსი. 54-ე წუთზე მინდორზე ტრავმირებული ვილმოტსის გამოსვლა და მასპინძელთა გააქტიურება ერთი იყო. 73-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული კმეჩმა მიწაზე დაუშვებლად ცხრიანში გაახვია. ორიოდე წუთის შემდეგ ვილმოტსმა დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ მიზანმა ოდნავ უმტყუნა. 89-ე წუთზე ვილმოტსმა რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა, საჯარიმოში შეიჭრა და კარის გასწვრივ ჩააწოდა. ბურთი კურცს მოხვდა და კარში შეგორდა.

პატარა სენსაცია მოხდა დორტმუნდში, სადაც იქაურმა „ბორუსიამ" ჩემპიონატის აუტსაიდერ „გლადბახს" ვერ მოუგო. ბუტის მიერ მე-18 წუთზე გატანილი გოლი, სტუმრებმა 24-ეზე გაქვითეს — პოლსტერის პენალტი კლოსმა კი მოიგერია, მაგრამ ბურთთან პირველი ისევ ავსტრიელი გაჩნდა და წაქცეული მეკარისთვის გატანა აღარ გასჭირვებია. 76-ე წუთზე „დორტმუნდს" გამარჯვების ურეალურესი შანსი მიეცა, მაგრამ ჰესლერის დარტყმული პენალტი მანამდეც დიდებულად მოთამაშე ენკემ აიღო.

წინა ტურში ლევერკუზენში განცდილი მარცხის შემდეგ გაიმარჯვა „ვოლფსბურგმა", რომელმაც შინ „დუისბურგი" დაამარცხა 4:2.

სტუმრად სამი ქულის მოპოვება ამ ტურში მხოლოდ ბერლინის „ჰერტამ" შეძლო. ბერლინელები პარასკევს „ჰამბურგს" ეწვივნენ და ნამდვილი კოშმარიც მოუწყეს. რაისის 22-ე წუთზე დაწყებული საქმე პრეეტცმა 84-ე წუთზე დაასრულა. ამ ორ გოლს შორის ორიც ვოშმა და ტრეჩოკმა გაიტანეს და მატჩიც საბოლოოდ 4:0 მოიგო „ჰერტამ".

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 16 | 12 | 2 | 2 | 38:13 | +25 | 38 | 9 | 8 | 1 | 0 | 29:8 | +21 | 25 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | +4 | 13 |
| 2 | ლევერკუზენი | 17 | 10 | 5 | 2 | 39:17 | +22 | 35 | 9 | 5 | 3 | 1 | 18:7 | +11 | 18 | 8 | 5 | 2 | 1 | 21:10 | +13 | 17 |
| 3 | ლაუტერნი | 16 | 10 | 3 | 3 | 27:24 | +3 | 33 | 9 | 7 | 1 | 1 | 20:12 | +8 | 22 | 7 | 3 | 2 | 2 | 7:12 | -5 | 11 |
| 4 | მიუნხენ 1860 | 17 | 9 | 4 | 4 | 31:23 | +8 | 31 | 8 | 5 | 1 | 2 | 14:8 | +6 | 16 | 9 | 4 | 3 | 2 | 17:15 | +2 | 17 |
| 5 | ვოლფსბურგი | 17 | 7 | 6 | 4 | 34:25 | +9 | 27 | 8 | 5 | 2 | 2 | 22:11 | +11 | 17 | 8 | 2 | 4 | 2 | 12:14 | -2 | 10 |
| 6 | დორტმუნდი | 17 | 7 | 5 | 5 | 25:18 | +7 | 26 | 9 | 7 | 1 | 1 | 18:5 | +13 | 22 | 8 | 0 | 4 | 4 | 7:13 | -6 | 4 |
| 7 | ჰერტა | 16 | 8 | 2 | 6 | 24:17 | +7 | 26 | 7 | 6 | 0 | 1 | 14:3 | +11 | 18 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:14 | -4 | 8 |
| 8 | შტუტგარტი | 17 | 5 | 6 | 6 | 23:22 | +1 | 21 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:8 | +7 | 14 | 8 | 1 | 4 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 9 | ფრაიბურგი | 16 | 5 | 6 | 5 | 20:21 | -1 | 21 | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | -1 | 10 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 0 | 11 |
| 10 | ჰამბურგი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:23 | -2 | 21 | 8 | 4 | 3 | 2 | 13:10 | +3 | 15 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:13 | -5 | 6 |
| 11 | ვერდერი | 17 | 5 | 5 | 7 | 25:24 | +1 | 20 | 9 | 1 | 4 | 4 | 14:15 | -1 | 7 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | +2 | 13 |
| 12 | შალკე 04 | 17 | 4 | 6 | 7 | 19:29 | -10 | 18 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | -1 | 9 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:18 | -9 | 9 |
| 13 | ბოხუმი | 17 | 5 | 3 | 9 | 21:32 | -11 | 18 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 2 | 1 | 6 | 10:20 | -10 | 7 |
| 14 | აინტრახტი | 17 | 4 | 4 | 9 | 21:29 | -8 | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 13:14 | -1 | 10 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:15 | -7 | 6 |
| 15 | ჰანზა | 17 | 3 | 6 | 8 | 25:33 | -8 | 15 | 9 | 3 | 4 | 2 | 17:13 | +4 | 13 | 8 | 0 | 2 | 6 | 8:20 | -12 | 2 |
| 16 | ნიურნბერგი | 17 | 2 | 9 | 6 | 20:31 | -11 | 15 | 8 | 0 | 7 | 1 | 10:14 | -4 | 7 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | -7 | 8 |
| 17 | დუისბურგი | 16 | 3 | 6 | 7 | 17:28 | -11 | 15 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:5 | +5 | 10 | 9 | 0 | 2 | 7 | 7:23 | -16 | 2 |
| 18 | გლადბახი | 16 | 2 | 4 | 10 | 20:41 | -21 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 11:16 | -5 | 7 | 9 | 0 | 3 | 6 | 9:25 | -16 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი) | 11 |
| ელბერი (ბაიერნი) | 10 |
| ვინკლერი (მიუნხენი) | 9 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 9 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 9 |
| პოლსტერი (გლადბახი) | 9 |
| პრეეტცი (ჰერტა) | 9 |

**XVIII ტური**

19 დეკემბერი

აინტრახტი - დუისბურგი
დორტმუნდი - შტუტგარტი
ბაიერნი - ვოლფსბურგი
ჰანზა - ლევერკუზენი
ფრაიბურგი - ბოხუმი
ჰამბურგი - ნიურნბერგი
შალკე - გლადბახი
ლაუტერნი - მიუნხენი
ვერდერი - ჰერტა

## მეორე ბუნდესლიგა

### XVIII ტური

**დიუსელდორფი 2:2 ფორტუნა**

0:1 სუტერლე (113), 1:1, 2:1 დობროვოლსკი (17, 49), 2:2 გრლიჩი (64)

**კიკერსი 1:0 კოტბუსი**

1:0 მარიჩი (65)

**ფიურტი 3:1 მაინცი**

1:0 კლეე (31), 1:1 გრევოლჰიორსტერი (44), 2:1 სკარაბელა (63), 3:1 ვან ლენტი (81)

**კიოლნი 1:1 გიუტერსლო**

1:0 რიოსელი (45), 1:1 ხორობა (48)

**ვატენშაიდი 0:3 ულმი**

0:1 ზდრილიჩი (22), 0:2 ტრკულია (37), 0:3 გორა (83)

**არმინია — უნტერჰახინგი**

**ურდინგენი — ობერჰაუზენი**

**კარლსრუე — ჰანოვერი**

*დღეს გაიმართება*

**ბერლინი — ზანქტ პაული**

*ხვალ გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 18 | 10 | 7 | 1 | 40:22 | 37 |
| ფიურტი | 18 | 10 | 4 | 4 | 25:15 | 34 |
| უნტერჰახინგი | 17 | 10 | 3 | 4 | 23:12 | 33 |
| არმინია | 17 | 10 | 3 | 4 | 27:18 | 33 |
| ბერლინი | 17 | 10 | 2 | 5 | 28:20 | 32 |
| ფორტუნა | 18 | 8 | 5 | 5 | 30:25 | 29 |
| კარლსრუე | 17 | 9 | 1 | 7 | 29:24 | 28 |
| კიკერსი | 17 | 8 | 2 | 7 | 17:22 | 26 |
| კიოლნი | 18 | 6 | 6 | 6 | 23:28 | 24 |
| მაინცი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | 23 |
| ჰანოვერი | 16 | 6 | 3 | 7 | 22:20 | 21 |
| ობერჰაუზენი | 17 | 4 | 7 | 6 | 18:24 | 19 |
| დიუსელდორფი | 18 | 3 | 8 | 7 | 23:28 | 17 |
| კოტბუსი | 18 | 3 | 7 | 8 | 17:22 | 16 |
| ზანქტ პაული | 16 | 4 | 4 | 8 | 19:25 | 16 |
| გიუტერსლო | 18 | 3 | 5 | 10 | 23:34 | 14 |
| ვატენშაიდი | 18 | 2 | 7 | 9 | 10:21 | 13 |
| ურდინგენი | 16 | 2 | 5 | 9 | 16:26 | 11 |

# ღამის და ფეხბურთის ვნებანი

## იტალია

XIII ტური

### ბარი 2:1 ემპოლი

0:1 კარპარელი (16), 1:1 ინოჩენტი (24), 2:1 ძამბროტა (55)
ბარი: მანჩინი, ნექროიზი, გარსია, ინოჩენტი, მადსენი (კნუდსენი 65), ბრესანი, ანდერსონი, ოლივარესი (პარიზი 77), ძამბროტა, მასინგა, ოსმანოვსკი
ემპოლი: სერენი, ფუსკო, ბიანკონი, ბალდინი, ტონეტო, პანე, ლუჩენტი, მორონე, ბონომი (კიაპარა 60), კარპარელი (ზალაიეტი 67), დი ნაპოლი
გაფრთხილება: ფუსკო, კიაპარა, ოსმანოვსკი
მსაჯი: ჩეკარინი

### ბოლონია 1:1 სალერნიტანა

1:0 სინიორი (16), 1:1 პარამატი (31ს.კ.)
ბოლონია: ანტონიოლი, პარამატი, ბია, მანგონე, ტარანტინო, ბინოტო (ერიბერტო 69), ინგესონი, მაროკი (მაინი 69), ფონტოლანი (სიმუტენკოვი 78), ანდერსონი, სინიორი
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, ფუსკო, მონაკო, დელ გროსო, გატუზო, ბრედა, ვანუჩი, დი მიკელე (ტოსტო 77), კიანეზე (ფრეზი 79), დი ვაიო (ჯამპაოლო 97)
გაფრთხილება: პარამატი, გატუზო, მანგონე, დი ვაიო
გაძევება: ბოლიჩი (98)
მსაჯი: როდომონტი

### ფიორენტინა 1:0 იუვენტუსი

1:0 ბატისტუტა (59)
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ტორიჩელი, რეპკა, ჰაინრიხი, ოლივეირა, კოისი, რუი კოშტა (ამორი 98), ამორუზო, ედმუნდო, ბატისტუტა
იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, იულიანო (ბირინდელი 46), მონტერო, დი ლივიო (ფონსეკა 73), კონტე, დეშამი, დავიდსი, ზიდანი, ინძაგი, ამორუზო (ტუდორი 45)
გაფრთხილება: ჰაინრიხი, ედმუნდო, პადალინო, კონტე
გაძევება: მონტერო (42)
მსაჯი: ფარინა

### ლაციო 5:2 სამპდორია

1:0 მიხაილოვიჩი (29), 1:1 პალმიერი (37პ), 2:1, 3:1 მიხაილოვიჩი (44, 51), 3:2 პალმიერი (55პ), 4:2 სტანკოვიჩი (93), 5:2 სალასი (91)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, კონსეისაო (გოტარდი 83), სტანკოვიჩი, ალმეიდა, დე ლა პენია (ვენტურინი 67), მანჩინი, სალასი
სამპდორია: ფერონი, საკიჩი, ლასისი, გრანდონი, ბალერი, პეკია, ფიჩინი (იაკოპინო 64), ლაილი, ვერგასოლა (ჰუგო 81), სგრო, პალმიერი
გაფრთხილება: გრანდონი, ალმეიდა, სტანკოვიჩი, ბალერი
მსაჯი: კოლინა

### მილანი 1:0 ვიჩენცა

1:0 ვეა (84)
მილანი: როსი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ამბროზინი, ციგე, ლეონარდო (ბობანი 79), ბირჰოფი, ვეა
ვიჩენცა: ბრივიო, მეცანოტი, სტოვინი, დიჩარა, ბეგეტო, ოტერო, დი კარლო (ვივიანი 81), პალადინი, ამბროზეტი, ძაული, ლუიზო
გაფრთხილება: დი კარლო
გაძევება: ამბროზინი (72)
მსაჯი: ტომბოლინი

### პარმა 1:1 რომა

1:0 კრესპო (40), 1:1 გაუტიერი (62)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ბენარივო, ვერონი (ფიორე 75), კრესპო, კიეზა (ბალბო 67)
რომა: კიმენტი, კაფუ, პეტრუცი, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო (ტომიჩი 91), პაულუ სერჟიო (გაუტიერი 56), დელვეკიო, ტოტი
გაფრთხილება: ტურამი, პეტრუცი
მსაჯი: ბოჯი

### პერუჯა 2:1 კალიარი

1:0 რაპაიჩი (37), 1:1 ბერეტა (91), 2:1 მასპერო (92)
პერუჯა: პაგატო, ზე მარია, რიპა, რივასი, კოლონელო, პეტრაკი (სტრადა 54, მასპერო 70), ოლივე, ტედესკო (სოლანო 83), რაპაიჩი, ნაკატა, მელი
კალიარი: სკარპი, ძანონკელი, ვილა, გრასადონია, მაკელარი, ბერეტა, აბეიჟონი, დე პატრე, მაცეო (კავეცი 80), კალონი (ვაზარი 56), მბომა
გაფრთხილება: კოლონელო, მაკელარი, მასპერო
გაძევება: ძანონკელი (84)
მსაჯი: ბაცოლი

### ვენეცია 0:0 პიაჩენცა

ვენეცია: ტაიბი, ბრიოში, ბილიკა, ლუპი, ბალარინი, დე ფრანჩესკი (ტუტა 28), მიკელი, ვოლპი, პედონე, შვოკი (ზიგბო 73), ვალტოლინა (ბრეშიანი 55)
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი (ბუზო 33), დელი კარი, ვერხოვოდი, მანიგეტი (კაინი 80), ლამაში, საკეტი, მაცოლა, პიოვანი, რასტელი, ინძაგი (დიონიჯი 71)
გაფრთხილება: ლუკარელი, ვერხოვოდი, ბალარინი, მიკელი, ლუპი
მსაჯი: ტრეოსი

### უდინეზე 0:1 ინტერი

0:1 რონალდო (87)
უდინეზე: ტურჩი, გარგო (ბერტოტო 35), კალორი, პიერინი, ბაკინი, ჯანიკედა, აპია, იორგენსენი (ნავასი 81), ლოკატელი, პოჯი (სოსა 59), ამოროზო
ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, გალანტე (ვესტი 46), სილვესტრი, ძანეტი, ვინტერი, სიმეონე, კოე, რონალდო (პირლო 92), ჯორკაეფი (რ. ბაჯო 62)
გაფრთხილება: ბაკინი, პიერინი, კოე, ვესტი, კოლონეზე
მსაჯი: მესინა




პარმა — რომა. ბურთისთვის იბრძვიან პარმელი ბენარივო (მარცხნივ) და რომაელი პაულუ სერჟიო

„ძალიან სასიამოვნო შედეგია" — თქვა ჯოვანი ტრაპატონიმ, რომლის ხელმძღვანელობით „იუვენტუსმა" 1976-86 წლებში ექვსჯერ მოიპოვა იტალიის ჩემპიონის ტიტული. ამჯერად ტრაპატონიმ „ფიორენტინას" მწვრთნელის რანგში ყოფილ გუნდს სძლია — „ტურინელებმა ფრიად გაგვაწვალეს. მაშინაც კი, მოედანზე ათნი რომ დარჩნენ, მათი ძლევა ძალიან ძნელი იყო. საბოლოოდ, მართალია ერთი გოლი შევაგდეთ, მაგრამ მეორეს გატანის საშუალება მეტოქემ აღარ მოგვცა. ჩვენი გამარჯვება რიცხობრივი უპირატესობის შედეგი გახლდათ".

გოლი, რომელმაც ფლორენციის გუნდს მოაგებინა, მისმა არგენტინელმა ბომბარდირმა და ვარსკვლავმა გაბრიელ ბატისტუტამ გაიტანა. ახლა ბატისტუტა 13 გოლით სერია A-ს მეგოლეთა სიას ლიდერობს, თავად „ფიორენტინა" კი ოთხქულიანი უპირატესობით ცხრილის სათავეშია.

„ბატიგოლმა" 59-ე წუთზე ლუის ოლივეირას პასით თავური შეაგდო. არგენტინელ თავდამსხმელს ხელი „იუვენტუსის" მეკარის, ანჯელო პერუცისა და მცველის, იგორ ტუდორის შეუთანხმებელმა მოქმედებამ შეუწყო.

ახლა „ბებერი ქალბატონი" მეცხრე ადგილზეა და „ფიორენტინას" მთელი 10 ქულაით ჩამორჩება.

ფლორენციელთაგან გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობები ჰქონდათ იმავე ოლივეირას, იორგ ჰაინრიხს და ედმუნდოს, რომელმაც პირველ ტაიმში ხარიხას გაარტყა ბურთი. რაც შეეხება ბატისტუტას, იგი მთელი 90 წუთის განმავლობაში ტანჯავდა სტუმართა დაცვის ხაზს.

საგოლე მომენტი „ბებერ ქალბატონსაც" ჰქონდა: მეორე ტაიმში ფრანგმა ლეგიონერმა, მსოფლიოს ჩემპიონმა დიდიე დეშამპმა კარისკენ დაარტყა, ბურთი მასპინძელთა ნახევარმცველის, სანდრო კოისის გაშვერილ ფეხს და ძელს მოხვდა.

ზემოთ ფლორენციელთა რიცხობრივი უპირატესობა ვახსენეთ. დროის თვალსაზრისით ეს უპირატესობა მართლაც სერიოზული გამოდგა. სხვაა, როდესაც უპირატესობას ორი-სამი, თუნდაც ათი წუთით მოიპოვებ, 48 წუთიანი უპირატესობა კი სულ სხვა რამ გახლავთ — პირველი ტაიმის მიწურულს, 42-ე წუთზე; „იუვენტუსს" მოედნიდან ურუგვაელი მცველი პაოლო მონტერო გაუძევეს.

„ფიორენტინას" მდევარი „მილანი" გახლავთ, რომელმაც მეორე ადგილზე იმიტომ გადაინაცვლა, რომ ლიბერიელი ჟორჟ ვეას გოლით შინ „ვიჩენცა" დაამარცხა.

ლიბერიელის გოლმა თამაშის მიწურულს სულზე მიასწრო სანსიროელ შავწითლებს. ვეას ასისტენტობა ოლივერ ბირჰოფმა გაუწია, მან ჩააწოდა, ხოლო 1995 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა ვიჩენცელი მეკარის, პიერლუიჯი ბრივიოს კარი დალაშქრა.

ამ შეხვედრაში, ფლორენციელისგან განსხვავებით, ფეხბურთელის გაძევებამ გუნდს გამარჯვებაში ვერ შეუშალა ხელი. დიახ, სანამ გოლს გაიტანდნენ, მილანელები ათნი დარჩნენ თერთმეტის წინაამდეგ — მასიმო ამბროზინიმ, რომელსაც ერთი ყვითელი ბარათი უკვე ჰქონდა მიღებული, იფიქრა, მსაჯს მოვატყუებ, პენალტს დავანიშნინებო და მოწინაამდეგის საჯარიმოში სიცრუე იკადრა. მსაჯი დაკვირვებული კაცი აღმოჩნდა, თერთმეტმეტრიანის დანიშვნის ნაცვლად მეორე ყვითელი ალუმართა მატყუარას.

შავ-წითელთა ბანაკში ერთი სიახლეცაა, ფრანგი ფეხბურთელი, იბრაჰიმ ბა ინგლისში გადაბარგებას აპირებს, „ნიუკასლში" მიდის. როგორც ამბობენ, 25 წლის ფეხბურთელის სატრანსფერო თანხა 6,5 მილიონი დოლარი იქნება. ბა ის კაცია, ვინც „მილანში" „ბორდოდან" 1997-98 წლების სეზონში გადავიდა და მოედანზე რა მოგახსენოთ და იტალიელ ქალებში სახელი დაიგდო. გასული წლის გამოკითხვის თანახმად იტალიელ ქალთა არცთუ მცირე ნაწილს ამ ზანგის ახალგაზრდასთან ღამის გატარება სწყურია.

მაგრამ, როგორც ჩანს, სანამ ბა ღამეებს ათენებდა, დანიელი თომას ჰელვეგი ენერგიას მინდორზე ხარჯავდა. ამის შემყურე „მილანის" მწვრთნელმა, ალბერტო ძაკერონიმ უკიდურესად მამაკაცური გადაწყვეტილება მიიღო — ბა ინგლისის გზას გაუყენა და, თან 6,5 მილიონსაც გამოჰკრავს ხელს.

„როდესაც მოთამაშე გაშვებას მთხოვს, მისი ძალით გაჩერების უფლება არ მაქვს" — ასე განმარტა მდგომარეობა ძაკერონიმ, რომელმაც ჰელვეგი ოლივერ ბირჰოფთან ერთად თავისი ყოფილი გუნდიდან, „უდინეზედან" წაიყვანა მილანში.

სწორედ „უდინეზე" მასპინძლობდა მილანის მეორე, შავ-ლურჯ გუნდს, „ინტერს". „ინტერმა" რონალდოს გოლით გაიმარჯვა.

რონალდო ბასგან განსხვავებული კაცი რომაა და მხოლოდ რონალდინიას სჯერდება, ამიტომაც არ კარგავს ადგილს დიდი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მეტიც, ვარსკვლავია, წამყვანი ფეხბურთელი. გარდა ამისა, ბრაზილიელი თავკერძა ადამიანი არ გახლავთ. გვერდით სხვა ვარსკვლავის ყოფნას მშვიდად ხვდება და იმიტომაც შეირგო რობერტო ბაჯოს პასი შემდეგ ბურთს მარცხენა ფეხი დაჰკრა და ლუიჯი ტურჩის კარი დალაშქრა.

ამრიგად, „ინტერის" რუმინელმა მწვრთნელმა მირჩა ლუჩესკუმ წინამორბედის, ჯიჯი სიმონის სკამზე დაჯდომის შემდეგ შავ-ლურჯებს სერია A-ში პირველი თამაში მოაგებინა.

„ინტერს" ადრეც შეეძლო გოლის (გოლების) გატანა. ჯერ იყო და მარტინ იორგენსენმა და ჯონათან ბაკინიმ ვერ ისარგებლეს ხელსაყრელი მდგომარეობით, მერე კი პაოლო პოჯის გოლი მსაჯმა ოფსაიდის გამო არ ჩათვალა.

ლუჩესკუმ საქმის გამოსასწორებლად ტაქტიკურ ცვლილებებს მიმართა, ფაბიო გალანტეს მაგივრად მოედანზე ნიგერიელი ტარიბო ვესტი შეიყვანა, შემდეგ კი რობერტო ბაჯო დაამატა.

ვესტი, სწორედ ის ტარიბოა, ერთი კვირის წინ, „სალერნიტანასთან" თამაშის დროს, ლუჩესკუს თავისი ოფლიანი მაისური რომ ესროლა, აქაოდა შეცვლა როგორ გამიბედეო. მერე მწვრთნელს და ფეხბურთელს წყენა დაავიწყდათ.

ბაჯო კი ბაჯოა და აკი გაატანინა კიდეც რონალდოს გოლი.

„პარმასა" და „რომას" დაპირისპირება იმით იყო საინტერესო, რომ პირველს სერია A-ში ყველაზე ნაკლები გოლი ჰქონდა გაშვებული, მეორეს კი ყველაზე მეტი გატანილი. თამაში ფრედ დამთავრდა.

„რომას" მეკარემ, ანტონიო კიმენტიმ ენრიკო კიეზას დარტყმული რომ მოიგერია, ერნან კრესპომ დაამატა და მასპინძლები დააწინაურა. ეს ამბავი პირველ ტაიმში მოხდა, მეორეში კი რომაელებმა ჯერ ამაოდ მოითხოვეს ორი პენალტი ხოლო მერე სხვა გზას დაადგნენ — კარმინე გაუტიერის დარტყმით გაქვითეს ანგარიში.

**პაპუნა ძიძია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 13 | 9 | 1 | 3 | 24:12 | +12 | 28 | 7 | 7 | 0 | 0 | 16:2 | +14 | 21 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 7 |
| 2 | მილანი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:14 | +5 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:7 | +7 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 8 |
| 3 | რომა | 13 | 6 | 5 | 2 | 27:14 | +13 | 23 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:4 | +15 | 19 | 6 | 0 | 4 | 2 | 8:10 | -2 | 4 |
| 4 | პარმა | 13 | 6 | 5 | 2 | 18:6 | +12 | 23 | 7 | 5 | 2 | 0 | 14:2 | +12 | 17 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:4 | 0 | 6 |
| 5 | ინტერი | 13 | 6 | 3 | 4 | 22:19 | +3 | 21 | 6 | 4 | 0 | 2 | 13:9 | +4 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 9 |
| 6 | ლაციო | 13 | 5 | 5 | 3 | 24:17 | +7 | 20 | 6 | 3 | 3 | 0 | 15:7 | +8 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | -1 | 8 |
| 7 | ბოლონია | 13 | 4 | 6 | 3 | 16:11 | +5 | 18 | 7 | 2 | 4 | 1 | 10:7 | +3 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | +2 | 8 |
| 8 | ბარი | 13 | 3 | 9 | 1 | 14:12 | +2 | 18 | 7 | 2 | 5 | 0 | 5:3 | +2 | 11 | 6 | 1 | 4 | 1 | 9:9 | 0 | 7 |
| 9 | იუვენტუსი | 13 | 5 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 18 | 6 | 4 | 1 | 1 | 5:1 | +4 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | -6 | 5 |
| 10 | პერუჯა | 13 | 5 | 3 | 5 | 18:22 | -4 | 18 | 7 | 5 | 1 | 1 | 15:9 | +6 | 16 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:13 | -10 | 2 |
| 11 | უდინეზე | 13 | 4 | 4 | 5 | 15:21 | -6 | 16 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:7 | +3 | 12 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | -9 | 4 |
| 12 | კალიარი | 13 | 4 | 2 | 7 | 19:19 | 0 | 14 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:8 | +7 | 14 | 6 | 0 | 0 | 6 | 4:11 | -7 | 0 |
| 13 | პიაჩენცა | 13 | 3 | 4 | 6 | 15:16 | -1 | 13 | 6 | 3 | 3 | 0 | 12:5 | +7 | 12 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:11 | -8 | 1 |
| 14 | სამპდორია | 13 | 3 | 4 | 6 | 12:25 | -13 | 13 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | +3 | 11 | 7 | 0 | 2 | 5 | 5:21 | -16 | 2 |
| 15 | ემპოლი* | 13 | 3 | 5 | 5 | 9:15 | -6 | 12 | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | +3 | 11 | 7 | 0 | 3 | 4 | 3:12 | -9 | 3 |
| 16 | სალერნიტანა | 13 | 3 | 3 | 7 | 11:20 | -9 | 12 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | +3 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:15 | -12 | 1 |
| 17 | ვიჩენცა | 13 | 2 | 5 | 6 | 8:17 | -9 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 8 | 7 | 0 | 3 | 4 | 2:8 | -6 | 3 |
| 18 | ვენეცია | 13 | 2 | 4 | 7 | 5:14 | -9 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 2:4 | -2 | 6 | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 4 |

*ემპოლის 2 ქულა აქვს დაკლებული*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 13 |
| ამოროზო (უდინეზე) | 8 |
| დელვეკიო (რომა) | 8 |
| კრესპო (პარმა) | 8 |
| მუცი (კალიარი) | 7 |
| ტოტი (რომა) | 7 |

XIV ტური

20 დეკემბერი

კალიარი - ბოლონია
ემპოლი - პარმა
ინტერი - რომა
იუვენტუსი - სალერნიტანა
ლაციო - უდინეზე
პერუჯა - ფიორენტინა
პიაჩენცა - ბარი
სამპდორია - მილანი
ვიჩენცა - ვენეცია

## სერია B

XIV ტური

### ატალანტა 2:1 რეჯინა

0:1 პოსანძინი (2), 1:1, 2:1 კაჩა (9, 78)

### ხენა 1:1 ფ. ანდრია

0:1 რ (10), 1:1 ტეოდორანი (29)

### კიევო 1:4 ლუკეზე

0:1 ჯორჯონე (11), 1:1 პასონი (40პ), 1:2 ფოლია (42), 1:3, 1:4 ბიანკონე (90პ, 93)

### კოზენცა 1:1 ლეჩე

1:0 მონტალბანო (25), 1:1 ჯანინი (79)

### ჯენოა 1:1 რეჯანა

1:0 ვუკოია (66პ), 1:1 ლემე (93)

### მონცა 0:0 კრემონეზე

### ნაპოლი 2:4 რავენა

0:1 ბიცარი (55), 1:1 ტრეოცი (56), 1:2 ბილიოტი (75), 1:3 ბიცარი (79), 2:3 პეზარეზი (86), 2:4 რობერტსი (89)

### პესკარა 0:1 ტრევიზო

0:1 ბეგეტო (8)

### ტერნანა 1:2 ბრეშა

1:0 ტიბერი (10), 1:1 ფილიპინი (55), 1:2 უბნერი (70)

### ტორინო 3:1 ვერონა

0:1 გუიდონი (16), 1:1 ლენტინი (21), 2:1 ფერანტე (44პ), 3:1 ასტა (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 14 | 10 | 2 | 2 | 26:11 | 32 |
| ტრევიზო | 14 | 9 | 4 | 1 | 24:10 | 31 |
| ტორინო | 14 | 8 | 3 | 3 | 23:11 | 27 |
| პესკარა | 14 | 7 | 3 | 4 | 22:14 | 24 |
| რავენა | 14 | 6 | 5 | 3 | 20:18 | 23 |
| ატალანტა | 14 | 6 | 4 | 4 | 14:10 | 22 |
| ლეჩე | 14 | 6 | 4 | 4 | 14:11 | 22 |
| ბრეშა | 14 | 5 | 6 | 3 | 13:9 | 21 |
| რეჯინა | 14 | 5 | 5 | 4 | 15:13 | 20 |
| მონცა | 14 | 5 | 5 | 4 | 9:10 | 20 |
| ნაპოლი | 14 | 4 | 7 | 3 | 13:12 | 19 |
| ჯენოა | 14 | 4 | 4 | 6 | 15:18 | 16 |
| რეჯანა | 14 | 3 | 6 | 5 | 15:16 | 15 |
| ტერნანა | 14 | 3 | 6 | 5 | 13:18 | 15 |
| კრემონეზე | 14 | 3 | 5 | 6 | 14:21 | 14 |
| ლუკეზე | 14 | 2 | 7 | 5 | 12:13 | 13 |
| კოზენცა | 14 | 3 | 4 | 7 | 13:24 | 13 |
| კიევო | 14 | 3 | 8 | 8 | 8:18 | 12 |
| ჩეზენა | 14 | 1 | 5 | 8 | 9:19 | 8 |
| ფ. ანდრია | 14 | 1 | 4 | 9 | 6:22 | 7 |

# ვან გაალმა, დაწყნარდით!

## ესპანეთი

XIV ტური

### სარაგოსა 0:1 მალიორკა

0:1 მარსელინო (18)
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, პაბლო, კუარტერუ (იორდი 81), აგუადო, არაგონი (ვუტერი 46), ხოსე იგნასიო, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, ჯამელი, მარკო ვალესი (გ. ლოპესი 28)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა (პაუნოვიჩი 76), სტანკოვიჩი (ფერნანდო ნინიო 88), ლორენი, ენგონგა, დანი, ბიაჯინი (ფ. სოლერი 69)
გაფრთხილება: აგუადო, მილოშევიჩი, მარსელინო, სტანკოვიჩი
გაძევება: მილოშევიჩი
მსაჯი: პერეს ლასა

### სელტა 2:0 ესპანიოლი

1:0 პენევი (5), 2:0 მ. სალგადო (14)
სელტა: დუტრუელი, კასერესი, მ. სალგადო, ბერხესი, ჯოროვიჩი, მაზინიო, მოსტოვოი, კაირესი (მაკელელე 59), პენევი, რევივო (ხოსემა 46), სანჩესი (ტომასი 59)
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, ივან ელგერა, გალჩა (კიკე მარტინი 46), პაჩეტა, არტეაგა, მარტინ პოსე (ნან რიბერა 56), ესნაიდერი, ბენიტესი (სერხიო 46)
გაფრთხილება: პენევი, ხოსემა, კრისტობალი, არტეაგა, ბენიტესი
გაძევება: მ. სალგადო
მსაჯი: ესკინას ტორესი

### ვალენსია 1:0 სალამანკა

1:0 ანგულო (76)
ვალენსია: კანისარესი, როში, ჯუკიჩი, კარბონი, ანგლომა (პოპესკუ 60), შვარცი, მენდიეტა, ფარინოსი (ანგულო 60), მილა, კ. ლოპესი, ვლაოვიჩი (სორია 80)
სალამანკა: სტელეა, ლეო რამოსი, კორინო, ლანა, მუნტეანუ (კასარტელი 71), მარინესკუ, ტომასი (ტაირა 74), ედუ ალონსო, ჯოვანელა, კარდეტი, ველისკა
გაფრთხილება: მენდიეტა, კ. ლოპესი, ჯოვანელა, ველისკა
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### ბილბაო 2:1 დეპორტივო

0:1 პაულეტა (12), 1:1 ხ. ეჩებერია (30), 2:1 ურსაისი (60)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე (ხავი გონსალესი 46), ლარასაბალი, ლაკრუსი, ფერეირა (ლასა 55), ურუტია, გერერო, კარლოს გარსია, ალკისა, ხ. ეჩებერია, ურსაისი (ესკუერო 79)
დეპორტივო: სონგო, რომერო, არმანდო, ნაიბეტი, პაჯი (ტურუ ფლორესი 64), ჯალმინია (ზიანი 46), მაურო სილვა, ფრანი, კონსეისაო (მანუელ პაბლო 69), დონატო, პაულეტა
გაფრთხილება: რომერო, არმანდო
მსაჯი: კარმონა მენდესი

### ესტრემადურა 0:1 ოვიედო

0:1 დელი ვალდესი (32)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ბელენგუერი (ი. სოტო 74), კალა, ფელიქსი, ოსკარი, ხუანიტო (ლ. სოტო 63), პოლი, ტონი ველამასანი, დურე, გაბრიჩი, მანუელი (პედრო ხოსე 80)
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მორენო, ამიევა, ნადი (ბანგო 52), ესკურსა, პომპეი (რივასი 67), პაულო ბენტო, ონოპკო, ივან ანია, დელი ვალდესი (მიოლერი 78)
მსაჯი: პრადოს გარსია

### რასინგი 0:0 ტენერიფე

რასინგი: სებალოსი, მელბერგი, არსენო, სიეტესი, ტაისი, შუსტიკოვი (მორა 71), ვივარ დორადო, ვიქტორი (ბესჩასტნიხი 46), ჩემა, ისმაელი (ხელი 46), მუნიტისი
ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, ვიერკლო (მატა 74), იოკანოვიჩი, ემერსონი, დანი, სლოვაკი, რობაინა (კოდრო 65), ხონეი, ხუანელე, მაკაი (ფელიპე 82)
გაფრთხილება: არსენო, იოკანოვიჩი, ემერსონი, დანი, ხუანელე
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

### ბეტისი 0:0 ატლეტიკო

ბეტისი: პრატსი (ვალერიო 71), აიალა, ლუის ფერნანდესი, მერინო, ოტერო (ალექსისი 66), ოლიასი, იტო, ფერნანდო (ივან პერესი 51), ფინიდი, დენილსონი, ოლი
ატლეტიკო: მოლინა, სერენა, შამოტი, ტონი, სანტი, ვალერონი, მენა (ბეიბლი 57), ნიეგუსი (აგილერა 60), ლარდინი, კორეა (რობერტო 75), ხოსე მარი
გაფრთხილება: აიალა, ოლიასი, ფერნანდო, სერენა
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

### ვალიადოლიდი 3:0 ალავესი

1:0 ტურიელი (50), 2:0, 3:0 პეტერნაკი (69, 90)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, სანტამარია, პენია, ვისკაინო (ტურიელი 8), ტორეს გომესი, ეუსებიო, პეტერნაკი, ვიქტორი (კამინერო 76), კლიმოვიჩი (ალბერტო 45)
ალავესი: კიკე, კარმონა, ალბისტეგი, ბერუე, იბონ ბეგონია, კანაბალი, გერარდი, დესიო, ასკოიტია, მორალესი (რევილია 65), სივორი (განიანი 65)
გაფრთხილება: მარკოსი, სანტამარია, ვიქტორი, ბერუე, იბონ ბეგონია, მორალესი
მსაჯი: მედინა კანტალიეხო

### ბარსელონა 1:3 ვილიარეალი

0:1, 0:2 კრაიოვეანუ (12, 23), 0:3 გერარდო (76), 1:3 ჯოვანი (82)
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინო (ოკუნოვო 46), სერხი, რაიციგერი, ხავი, კოკუ (ანდერსონი 80), გვარდიოლა, ფიგუ, სელადესი (ჯოვანი 55), კლუივერტი, რივალდო
ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, დიასი (სერერი 88), გერარდო, კრაიოვეანუ (ალფარო 57), ალბერტო (იმანოლი 63), მოიზესი
გაფრთხილება: სერხი, კლუივერტი, პალოპი, პასკუალი
მსაჯი: დიას ვეგა

### რეალი 3:2 სოსიედადი

1:0 რობერტო კარლოსი (17), 1:1 კოვაჩევიჩი (51), 2:1 რაული (60), 2:2 კოვაჩევიჩი (65), 3:2 ზეედორფი (86)
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, პანუჩი, იარნი (შუკერი 51), ზეედორფი, რედონდო, რაული, მიატოვიჩი (გუტი 40), სავიო (ხაიმე 88)
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, პიკაბეა, ანტია, გომესი, დე პედრო (ადეპოჟუ 83), გრასია (იარეგი 69), კოვაჩევიჩი, იდიაკესი (ალდეონდო 59), სა პინტუ
გაფრთხილება: იერო, რედონდო, ანტია, გომესი
მსაჯი: ანსატეგი როჩა

სოსიედადელები სიტყვის ხალხი აღმოჩნდნენ — მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ესპანეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებმა დაღუპული გულშემატკივრის, აიტორ საბალეტას ხსოვნის უკვდავსაყოფად მაისურზე გარდაცვლილის გვარი დაიწერეს.

კვირას სამეფო კლუბს მგლოვიარე „სოსიედადი“ დაუპირისპირდა. შეხვედრის განმავლობაში იგრძნობოდა, რომ სტუმრებს მადრიდში რამდენიმე დღის წინ დაღუპული საბალეტას სიკვდილი ვერ მოენელებინათ. გარდაცვლილს მატჩის დაწყებამდე მთელმა სტადიონმა და ფეხბურთელებმა წუთიერი დუმილითაც მიაგეს პატივი. ასე რომ „რეალს“ დაღვრემილი „სოსიედადი“ ეთამაშებოდა, რომელსაც სიხარული არც შეხვედრის შემდეგ ეტყობოდა. ცხადია გასაგები მიზეზის გამო. „რეალთან“ სტუმრად „სოსიედადი“ მეორმოცედ დამარცხდა.

შეხვედრას რაც შეეხება, ლამაზი გამოდგა და ამავე დროს საკმაოდ დაძაბულიც. ორჯერ იგებდა გუს ჰიდინკის გუნდი და ორჯერ გაუყაიმა მეტოქემ. მასპინძელმა საბოლოოდ მაინც იმარჯვა. ჩემპიონატის ბოლო ხუთ მატჩში პირველად.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია არ გამართულა, თუმცა მასპინძელთა ორი გოლის ავტორები — ბრაზილიელი რობერტო კარლოსი და ჰოლანდიელი კლარენს ზეედორფი ჟურნალისტებთან შესახვედრად მაინც მივიდნენ. ცარიელი დარბაზის ხილვისას უკან არ გაბრუნებულან, მიკროფონს მიუახლოვდნენ და ლაზღანდარობდნენ.

როგორი უცნაური ქცევებიც ახასიათებს რობერტო კარლოსს, ისეთივე უცნაური გოლები გააქვს. ახლაც სრულიად შემთხვევით გაიტანა გოლი, ყველასთვის მოულოდნელად და, რაც მთავარია ისე, რომ თავადაც გაუკვირდა — მარცხენა ფლანგზე ერთ-ერთ სოსიედადელთან პაექრობისას ბურთის საჯარიმოში ჩაწოდება მოიწადინა და გოლი კი გაიტანა...

მეორე ტაიმამდე ბევრი არაფერი მომხდარა, შესვენების შემდეგ კი ოთხი გოლი გავიდა. მათ შორის სამი თვალის დახამხამებაში. ჯერ სტუმართა იუგოსლაველმა თავდამსხმელმა დარკო კოვაჩევიჩმა გაქვითა რობერტო კარლოსის გოლი, მერე რაულმა მეტოქეს შეცდომა არ აპატია და ისევ დააწინაურა „რეალი“, ხუთ წუთში კი იმავე კოვაჩევიჩმა ილგნერს მეორედ გაუტანა. სულ ბოლოს მასპინძლებმა მაინც იხარეს — კლარენს ზეედორფმა სოსიედადელები კიდევ უფრო დაამწუხრა — 3:2.



ბარსელონა — ვილიარეალი. საწყალი მასპინძლები

პირინეის ნახევარკუნძულზე მოღვაწე ჰოლანდიელ მწვრთნელთაგან ორს — გუს ჰიდინკს და ლუის ვან გაალს ამ ბოლო ხანებში ძალიან აკრიტიკებდნენ. თუმცა თუ ჰიდინკმა საკონტინენტთაშორისო თასის მოგებით და შედარებით უკეთესი თამაშით ოპონენტების გაჩუმება შეძლო, ვან გაალს პირიქით დაემართა. გარდა ამისა, „ბარსელონა“ ზედიზედ მეორედ დარჩა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს მიღმა, კატალონიელთა სიამაყემ ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურებში ფრე რაა, ისიც ვერ ითამაშა. ახლა უსახელო „ვილიარეალთან“ დამარცხდა. თან პრიმერა დივიზიონში ზედიზედ წაგებების სერია ოთხამდე გაზარდა. ასეთი პერიოდი კამპნოუელებს ბოლოს როდის ჰქონდათ, ძნელი მოსაგონებელია.

— მთავარია, არ ავღელდეთ და საკუთარი ძალა ვირწმუნოთ. შედეგებიც მაშინ მოვა, ახლა კი, როცა ყოველ მატჩს წაგებულის ფსიქოლოგიით ვხვდებით, წარმატების მიღწევა ძნელია — განაცხადა ლუის ვან გაალმა — რომ მეუბნებიან, გადადექიო, ეს ასე ადვილი რომ იყოს, აქამდე წავიდოდი. მწვრთნელის შეცვლა ასე იოლად არ ხდება. მე მჯერა და ვეცდები, გუნდს წარმატება მოვუტანო. ეს ჩემი ვალია.

იმ შედეგების მერე, რასაც „ბარსელონა“ ამ ბოლო ხანებში უჩვენებს, მწვრთნელის საუბარი ცოტა არ იყოს სასაცილოა. ამას ვან გაალი დაახლოებით ერთი თვის წინაც ამბობდა. არც მაშინ გაუმჯობესებულა რაიმე და არც ახლა. პრიმერა დივიზიონში, „ბარსელონა“ ასე ქვევით რა ხანია, არ დაშვებულა.

ცოტა უცნაური კია, მაგრამ „ვილიარეალმა“ შეხვედრის განმავლობაში სამჯერ შეუტია „ბარსელონას“ და სამჯერვე გოლის გატანა მოახერხა. რაზე მიუთითებს ეს? კატალონურ კლუბს დაცვა, როგორც ასეთი, არ ჰყავდა. დაცვითი თამაში ლურჯ-წითლებს არც არასდროს ახასიათებდათ, მაგრამ ეს მეტისმეტია. ისეთ მეტოქესთან, როგორც „ვილიარეალია“ სამ გოლს არ უნდა უშვებდეს. მეტიც — სამი გოლი თავად უნდა გაქონდეს. შეტევით „ბარსელონა“ უტევდა, მაგრამ პატრიკ კლუივერტს, სერხის და მაურისიო პელეგრინოს ისეთ მომენტებში არ უმართლებდათ, გასაკვირი იყო. გადაჭარბებული არც იმის თქმა იქნება, რომ მასპინძლებს ეს შეხვედრა დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ, მაგრამ ვერ შეძლეს. როგორც ამბობენ, უძლიერესმა მოიგო — მთელი მატჩის განმავლობაში სამჯერ შეტევას და სამჯერვე გოლის გატანასაც შნო უნდა. სტუმრებმა ეს შეძლეს.

წაგების შემდეგ, როგორც ხშირად მომხდარა, ყველაფერში მწვრთნელი დაადანაშაულეს, მაგრამ „ბარსელონას“ შემთხვევაში ლუის ვან გაალი განტევების ვაცად გამოყვანა არახალია. უცნაური ის იყო, რომ ქომაგები ახლა კლუბის პრეზიდენტ ხოსე ლუის ნუნიესს მისდგნენ. გულშემატკივრებმა არც აციეს, არც აცხელეს და ცბიერ პრეზიდენტს გადადგომა მოსთხოვეს. მართალი რომ ვთქვათ, ნუნიესს ამისთვის დიდი ყურადღება არც მიუქცევია.

ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ბარსელონა“ კვლავ აგებს; ჩემპიონთა თასის მფლობელმა „რეალმა“ როგორც იქნა, მოიგო, ესპანური ფეხბურთის გრანდების არასტაბილურობით კი ძალიან ისარგებლეს წამოჩიტულმა კლუბებმა და ლიდერობა უფრო და უფრო განამტკიცეს.

ესპანეთის სუპერთასის მფლობელმა „მალიორკამ“ ამჯერად „ესტადიო რომარედაზე“ მასპინძელი სარაგოსელები დაამარცხა — 1:0. ემოციური შეხვედრა იყო. მასპინძელთა იუგოსლაველმა თავდამსხმელმა სავო მილოშევიჩმა, რომელიც ინგლისურ „ასტონ ვილაში“ ბენდენით თამაშით იყო განთქმული, შეხვედრის მიწურულს ნერვები ვერ მოთოკა და გააგდეს. გაძევებულმა გამძევებელ პერეს ლასას გვარიანად აგინა.

მეორე ადგილზე გადაინაცვლა ვიგოს „სელტამ“, თუმცა მათი მეორეადგილოსნობა პირობითია. ისინი ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებენ კლაუდიო რანიერის „ვალენსიას“, რომელმაც ბოლო ხანს საგრძნობლად გამოასწორა თამაში. მატჩის შემდეგ ჟურნალისტებმა მასპინძელთა პრეზიდენტი პედრო კორტესი გამოიჭირეს, რომელმაც, გამარჯვებით აღფრთოვანებულმა, მეოთხე ხელისუფლებას განუცხადა, წლეულს აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთო.

სტაბილურობა დაეტყო გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონ ბილბაოს „ატლეტიკს“. ლუის ფერნანდესის ბიჭებმა ამჯერად ლაკორუნიელები დაამარცხეს — 2:1.

ლაშა გოდუაძე

#### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ურსაისი (ბილბაო) | 8 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 7 |
| მაკაი (ტენერიფე) | 7 |
| რაული (რეალი) | 7 |
| პეტერნაკი (ვალიადოლიდი) | 7 |
| ვიქტორ სანჩესი (რასინგი) | 7 |
| კრაიოვეანუ (ვილიარეალი) | 7 |

#### XV ტური
20 დეკემბერი

ვალიადოლიდი - ბარსელონა
ვილიარეალი - ბილბაო
დეპორტივო - ბეტისი
ატლეტიკო - სარაგოსა
მალიორკა - რასინგი
ტენერიფე - ესტრემადურა
ოვიედო - რეალი
სოსიედადი - სელტა
ესპანიოლი - ვალენსია
ალავესი - სალამანკა

## მეორე დივიზიონი

XVI ტური

### მალიორკა B 2:1 რეკრეატივო

1:0 ლუკე (80), 1:1 პოტენცონი (84ს.კ.), 2:1 ლუკე (89)

### ბარსელონა B 1:1 მალაგა

0:1 აგოსტინიო (40), 1:1 ბაბანგიდა (73)

### ლას პალმასი 1:0 მერიდა

1:0 ორლანდო (59)

### ლეიდა 2:1 ნუმანსია

1:0 ტამუდო (19), 1:1 ხავი მორენო (29), 2:1 ტამუდო (57)

### რაიო 1:4 სევილია

0:1 როკი (18), 1:1 მუნისი (49), 1:2 მოლნარი (53), 1:3 ცარტასი (61პ), 1:4 ხუან კარლოსი (90)

### ატლეტიკო B 2:1 ორენსე

1:0 ტევენე (14), 1:1 კურასი (45), 2:1 ტევენე (79)

### ლოგრონიესი 0:3 კომპოსტელა

0:1 ფაბიანო (27პ), 0:2, 0:3 მაურისიო (31, 54)

### სპორტინგი 0:0 ლეგანესი

### ეიბარი 0:1 ბადახოსი

0:1 კარლოს ტორესი (71)

### ტოლედო 1:4 ოსასუნა

0:1 სიგანდა (27), 0:2 ტრესიაკი (48), 0:3 ალფრედო (59), 1:3 აიტორი (64ს.კ.), 1:4 მარკოვიჩი (81პ)

### ალბასეტე 3:1 ერკულესი

1:0 იაჰაია (11), 2:0 არანალდე (32), 2:1 ესპეხო (38), 3:1 მელგარი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 16 | 10 | 4 | 2 | 31:12 | 34 |
| ლას პალმასი | 16 | 8 | 6 | 2 | 27:10 | 30 |
| ტოლედო | 16 | 8 | 6 | 2 | 23:15 | 30 |
| ოსასუნა | 16 | 8 | 4 | 4 | 18:12 | 28 |
| რაიო | 16 | 7 | 7 | 2 | 23:20 | 28 |
| სევილია | 16 | 7 | 6 | 3 | 22:15 | 27 |
| ლეიდა | 16 | 7 | 6 | 3 | 20:15 | 27 |
| ატლეტიკო B | 16 | 7 | 4 | 5 | 28:22 | 26 |
| მალაგა | 16 | 7 | 5 | 4 | 22:18 | 26 |
| კომპოსტელა | 16 | 6 | 6 | 4 | 24:18 | 24 |
| რეკრეატივო | 16 | 6 | 5 | 5 | 11:9 | 23 |
| მალიორკა B | 16 | 6 | 2 | 8 | 21:23 | 20 |
| ლოგრონიესი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:25 | 20 |
| ლეგანესი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:22 | 19 |
| მერიდა | 16 | 4 | 6 | 6 | 13:14 | 18 |
| ბადახოსი | 16 | 5 | 3 | 8 | 11:13 | 18 |
| ალბასეტე | 16 | 4 | 4 | 8 | 12:17 | 16 |
| სპორტინგი | 16 | 3 | 5 | 8 | 11:21 | 14 |
| ბარსელონა B | 16 | 3 | 4 | 9 | 19:30 | 13 |
| ერკულესი | 16 | 3 | 4 | 9 | 14:26 | 13 |
| ორენსე | 16 | 4 | 1 | 11 | 13:28 | 13 |
| ეიბარი | 16 | 3 | 2 | 11 | 12:26 | 11 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მალიორკა | 14 | 8 | 4 | 2 | 15:5 | +10 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 11:1 | +10 | 19 | 7 | 2 | 3 | 2 | 4:4 | 0 | 9 |
| 2 | სელტა | 14 | 6 | 7 | 1 | 25:14 | +11 | 25 | 7 | 4 | 3 | 0 | 14:5 | +9 | 15 | 7 | 2 | 4 | 1 | 11:9 | +2 | 10 |
| 3 | ვალენსია | 14 | 8 | 1 | 5 | 23:15 | +8 | 25 | 7 | 6 | 0 | 1 | 15:5 | +10 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | -2 | 7 |
| 4 | დეპორტივო | 14 | 6 | 5 | 3 | 18:14 | +4 | 23 | 7 | 5 | 2 | 0 | 13:5 | +8 | 17 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | -4 | 6 |
| 5 | ატლეტიკო | 14 | 6 | 4 | 4 | 22:14 | +8 | 22 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:3 | +15 | 17 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 5 |
| 6 | რეალი | 13 | 6 | 4 | 3 | 27:20 | +7 | 22 | 6 | 2 | 2 | 2 | 12:10 | +2 | 8 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:10 | +5 | 14 |
| 7 | ოვიედო | 14 | 6 | 3 | 5 | 17:17 | 0 | 21 | 7 | 3 | 1 | 2 | 7:4 | +3 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 10:13 | -3 | 8 |
| 8 | ბილბაო | 14 | 6 | 2 | 6 | 20:21 | -1 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 14:11 | +3 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | -4 | 7 |
| 9 | სარაგოსა | 14 | 6 | 2 | 6 | 18:19 | -1 | 20 | 7 | 3 | 0 | 4 | 10:13 | -3 | 9 | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | +2 | 11 |
| 10 | ბარსელონა | 14 | 5 | 4 | 5 | 22:18 | +4 | 19 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:9 | +4 | 11 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 0 | 8 |
| 11 | ვილიარეალი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | +2 | 19 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:9 | +6 | 14 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | -4 | 5 |
| 12 | სოსიედადი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:20 | -1 | 19 | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | +6 | 14 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:15 | -7 | 5 |
| 13 | ვალიადოლიდი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:17 | -2 | 18 | 7 | 5 | 0 | 2 | 11:5 | +6 | 16 | 7 | 0 | 3 | 4 | 4:12 | -8 | 3 |
| 14 | ბეტისი | 14 | 5 | 3 | 6 | 8:15 | -8 | 18 | 7 | 3 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 3:8 | -5 | 7 |
| 15 | რასინგი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:17 | -2 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:5 | +5 | 12 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 |
| 16 | სალამანკა | 13 | 4 | 3 | 6 | 12:20 | -8 | 15 | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | +4 | 14 | 6 | 0 | 1 | 5 | 2:14 | -12 | 1 |
| 17 | ესპანიოლი | 14 | 3 | 5 | 6 | 13:16 | -3 | 14 | 7 | 2 | 4 | 1 | 7:6 | +1 | 10 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:10 | -4 | 4 |
| 18 | ტენერიფე | 14 | 2 | 6 | 6 | 16:21 | -5 | 12 | 7 | 0 | 5 | 2 | 8:10 | -2 | 5 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 7 |
| 19 | ალავესი | 14 | 3 | 3 | 8 | 9:18 | -9 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 4:4 | 0 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 4 |
| 20 | ესტრემადურა | 14 | 3 | 2 | 9 | 8:23 | -15 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 3:9 | -6 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 4 |

# შოტლანდია

XVIII ტური

**აბერდინი 2:0 ჰართსი**

1:0 ვინტერსი (32), 2:0 ჯესი (37)

**დანდი იუნაიტედი 1:1 სელტიკი**

1:0 ზეტერლუნდი (49), 1:1 ლარსონი (85)

**დანფერმლაინი 1:1 მოზერველი**

0:1 სპენსერი (47), 1:1 სმიტი (79)

**რეინჯერსი 1:0 კილმარნოკი**

1:0 უოლესი (10)

**სენტ ჯონსტონი 1:1 დანდი**

0:1 ადამჩუკი (74), 1:1 ბოლანი (85)

ტურის ცენტრალური მატჩი გლაზგოში გაიმართა. იგი დაძაბული გამოდგა და როგორც მოსალოდნელი იყო, „რეინჯერსის“ გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი ადრე „ლიდსში“ მოთამაშე შავკანიანმა ინგლისელმა როდ უოლესმა მე-10 წუთზე ბერი ფერგიუსონის შესანიშნავი პასის შემდეგ გაიტანა. რამდენიმე წუთში ანგარიშის გაზრდა მსოფლიოს ჩემპიონ სტეფან გივარშს შეეძლო, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი კარს მცირე მანძილით ასცდა.

მე-18 წუთზე „კილმარნოკი“ იძულებული გახდა, ფეხბურთელი შეეცვალა — ფრანგმა ჟერომ ვარელმა მხარი დაიზიანა, თანაც სერიოზულად და საავადმყოფოში წაიყვანეს. სხვათა შორის, ვარელს მატჩის დასაწყისში სტადიონზე შეკრებილი 49 781 გულშემატკივრის დამწუხრების მშვენიერი შანსი მიეცა, როდესაც მასპინძელთა ფინელ მეკარე ანტი ნიემისთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ ივარგა.

მალე ვარელის გზას გლაზგოელთა მცველი არტურ ნუმანიც გაუყენეს, მან კოჭის მძიმე ტრავმა მიიღო. ასე რომ, ორივე გუნდმა პირველ ტაიმში ძირითადი მოთამაშეები მოისაკლისა.

შეხვედრის მეორე ნახევარი პირველისგან განსხვავებით, ნაკლებად თვალსაჩინო, თუმცა მეტად დაძაბული გამოდგა. „რეინჯერსი“ მცირე უპირატესობას ფლობდა, ბურთსაც უფრო აკონტროლებდა და გოლის გატანაც შეეძლო. „კილმარნოკი“ კი კონტრშეტევებზე ცდილობდა რაიმეს



REUTERS ბლოზბლოდან

რეინჯერსი — კილმარნოკი. მასპინძელი ანდრეი კანჩელსკისი მეტოქის მცველთა გარემოცვაში

გახერხებას, მაგრამ მეტად უჯიგროდ და როდესაც მსაჯის საფინალო სასტვენი გაისმა, ტაბლოზე 1:0 იყო გამოსახული.

— „პარმასთან“ მძიმე ბრძოლა გადავიტანეთ და დღეს ამიტომაც გაგვიჭირდა. მიუხედავად ამისა, მეტოქეს პირწმინდად ვაჯობეთ და დაგეგმილი სამი ქულაც დავისაკუთრეთ. მთავარი კი ამ შემთხვევაში სწორედ შედეგი გახლდათ — აღნიშნა მატჩის შემდეგ „რეინჯერსის“ ჰოლანდიელმა თავკაცმა დიკ ადვოკაატმა.

— ვარელის უდროოდ დაშავება ძალიან ძვირად დაგვიჯდა. ფაქტობრივად, მოწინაალმდეგეს ველარ ვუტევდით. ამასთან, გოლის გატანის შესაძლებლობებიც გავუშვით ხელიდან და დავმარცხდით კიდეც. „რეინჯერსის“ დონის გუნდი ასეთ შეცდომებს არავის აპატიებს — სტუმართა დამრიგებელი ბობი უილიამსონი უხასიათოდ იყო.

კვლავ წაიფორხილა ჩემპიონმა, ამჯერად „დანდი იუნაიტედთან“. „სელტიკი“ შეიძლებოდა დამარცხებულიყო კიდეც — მეორე ტაიმის დასაწყისში შვედმა ლარს ზეტერლუნდმა ანგარიში გახსნა. გლაზგოელებმა გათანაბრება მხოლოდ 85-ე წუთზე მოახერხეს. მათ მხსნელად კვლავ ზეტერლუნდის თანამემამულე ჰენრიკ ლარსონი მოევლინათ, რომელმაც, წლევანდელ ჩემპიონატში თავისი მე-11 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა სიასაც ძველებურად მარტო ლიდერობს.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 17 | 10 | 4 | 3 | 31:14 | 34 |
| კილმარნოკი | 18 | 8 | 7 | 3 | 25:11 | 31 |
| სელტიკი | 18 | 7 | 6 | 5 | 34:20 | 27 |
| სტ. ჯონსტონი | 18 | 6 | 8 | 4 | 21:24 | 26 |
| ჰართსი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:23 | 23 |
| დანდი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:21 | 20 |
| დანდი იუნ. | 18 | 4 | 7 | 7 | 18:20 | 19 |
| მოზერველი | 17 | 4 | 7 | 6 | 14:23 | 19 |
| აბერდინი | 18 | 4 | 5 | 9 | 17:28 | 17 |
| დანფერმლაინი | 18 | 2 | 10 | 6 | 15:25 | 16 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| ლარსონი | (სელტიკი) | 11 |
| უოლესი | (რეინჯერსი) | 10 |
| ჯესი | (აბერდინი) | 9 |

# პორტუგალია

XV ტური

**ფარენსე 1:0 ალვერკა**

1:0 კარლოს კოშტა (76)

**ბეირა მარი 1:1 ბოავიშტა**

1:0 ფაიე (16), 1:1 არაგაუ (90)

**ამადორა 1:1 სალგეიროში**

1:0 ჟილბერტუ (14პ), 1:1 ალმეიდა (68)

**რიუ ავე 1:0 უნიაუ**

1:0 გამა (18)

**კამპომაიორენსე 1:2 სეტუბალი**

0:1 კონდე (46), 0:2 ჰელიო სოუზა (76), 1:2 სუარეში (87)

**მარიტიმუ 1:0 გიმარაეში**

1:0 დიასი (79)

**სპორტინგი 4:1 ბრაგა**

0:1 როშა (38), 1:1, 2:1 დუშერი (41, 55), 3:1 იორდანოვი (72), 4:1 რუი ჟორჟე (90)

**შავეში — ბენფიკა**

*0:1-ზე თამაში შეწყდა*

**აკადემიკა — პორტუ**

*წუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 15 | 9 | 5 | 1 | 29:11 | 32 |
| ბოავიშტა | 15 | 9 | 5 | 1 | 24:11 | 32 |
| პორტუ | 14 | 10 | 2 | 2 | 32:13 | 32 |
| ამადორა | 15 | 8 | 4 | 3 | 19:15 | 28 |
| ბენფიკა | 14 | 8 | 3 | 3 | 28:11 | 27 |
| უნიაუ | 15 | 7 | 3 | 5 | 15:11 | 24 |
| სალგეიროში | 15 | 5 | 7 | 3 | 19:19 | 22 |
| რიუ ავე | 15 | 5 | 4 | 6 | 12:18 | 19 |
| სეტუბალი | 15 | 5 | 3 | 7 | 14:22 | 18 |
| გიმარაეში | 15 | 4 | 5 | 6 | 20:16 | 17 |
| ბრაგა | 15 | 4 | 5 | 6 | 21:29 | 17 |
| ფარენსე | 15 | 5 | 2 | 8 | 13:20 | 17 |
| ალვერკა | 15 | 2 | 8 | 5 | 11:18 | 14 |
| ბეირა მარი | 15 | 2 | 8 | 5 | 10:16 | 14 |
| შავეში | 14 | 3 | 3 | 8 | 15:25 | 12 |
| კამპომაიორენსე | 15 | 3 | 3 | 9 | 15:27 | 12 |
| მარიტიმუ | 15 | 2 | 6 | 7 | 13:18 | 12 |
| აკადემიკა | 14 | 2 | 4 | 8 | 16:26 | 10 |

# ჰოლანდია

XVIII ტური

**აიაქსი 0:0 ჰერენვენი**

აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა (მელხიოტი 77), ბლინდი, ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური, ვიჩხე, ვამბერტო, შოსი (რუდი 46), გრონკიაერი (ბაბანგიდა 73)

**გრააფსხაპი 0:1 ბრედა**

0:1 შროიდერი (25)

ბრედა: დე ვოგტი, ვერსტიგი, ვან ასი, ვან დე ლოი, გუდელი, ფესკენსი (მილიჩიჩი 59), შუკოვი, ნოპი (ტავარეში 71), ბოში, შროიდერი, არველაძე (ზეფილინიო 78)

**ეინდჰოვენი 3:3 როდა**

1:0 ვან ნისტელროი (10), 1:1 პიტერსი (31), 2:1 ვან ნისტელროი (46), 3:1 ნილისი (73), 3:2 ლავალი (86), 3:3 ნიგაარდი (87)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ნიკიფოროვი, დირქსი (სკერლა 46), შავიერი (ოიერი 63), ვან დერ ვერდენი (ლუციუსი 81), ვან დერ დოლენი, ივანი, ხოხლოვი, ფუქსი, ნილისი, ვან ნისტელროი

**სპარტა 4:2 ტვენტე**

0:1 ჰესელინკი (15), 1:1 მარილია (23), 2:1 ტამერი (52), 3:1 დენ დუნენი (76), 3:2 აჯუპოვი (89), 4:2 კრიიგსმანი (90)

**ალკმაარი 4:3 უტრეხტი**

0:1 დე იონგი (11), 1:1 ჰუიბერტსი (35), 1:2 მოლსი (52), 2:2 ჰუიბერტსი (63), 2:3 გრონენდიკი (71), 3:3, 4:3 ვან გალენი (79, 88)

**ვიტესი 1:1 ფეიენოორდი**

1:0 ამოა (85), 1:1 ვან გასტელი (90)

**ტილბურგი 1:0 ნაიმეგენი**

1:0 რამზი (90)

**მაასტრიხტი 3:3 სიტარდი**

0:1 ჰეერინგი (31), 1:1 ჰუბახი (35), 2:1 პერესი (42), 3:1 ლანძატი (47), 3:2 ჰამინგი (68), 3:3 კოოლი (70),

„აიაქსმა“ ახალ მწვრთნელ იან ვაუტერსის ხელმძღვანელობით პირველ მატჩში ვერ შეძლო „ჰერენვენის“ დამარცხება. ვაუტერსის დებიუტი ამსტერდამული კლუბის მწვრთნელის თანამდებობაზე მარცხიანი არ გამოდგა, მაგრამ არც მომგებიანი ყოფილა.

ამ ტურამდე ორიოდ დღით ადრე ამსტერდამული კლუბის ხელმძღვანელობამ დანიელ ოლსენთან გაყრა საჭიროდ ჩათვალა. „აიაქსის“ გამჩემპიონებელმა და თასის მომგებმა ოლსენმა ახალ სეზონში გუნდის ხეირიანად გაძღოლა ვერ შეძლო. „აიაქსი“ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა, ქვეყნის ჩემპიონატში ლიდერიდან ჩვეულებრივ მონაწილედ იქცა, ყველაფერ ამის შემდეგ კი მორტენ ოლსენის იან ვოუტერსით შეცვლა სავსებით ლოგიკური გახლდათ.

— მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნებული ვარ, „აიაქსი“ სეზონის ბოლოს ბევრს გააკვირვებს. მჯერა, შევწვდებით ჩემპიონობას, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ამჟამინდელი მდგომარეობით ეს თითქოს წარმოუდგენელია — პირველი მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია ვოუტერსმა იმედიანად დაიწყო.

„აიაქსის“ და „ჰერენვენის“ დაპირისპირების ისტორიის მანძილზე პირველად მოხდა, რომ „ჰერენვენმა“ ამსტერდამში ქულა მოიპოვა. მანამდე „აიაქსთან“ სათამაშოდ ჩასული პატარა „ჰერენვენი“ ყოველთვის აგებდა.

ამსტერდამელებს მეტოქის დამარცხება შეეძლოთ, მაგრამ მე-20 წუთზე ფრანკ დე ბურმა პენალტი ვერ გაიტანა, მხოლოდ კარის ძელი შეაზანზარა. მსაჯმა სტუმრები იმიტომ დააჯარიმა, რომ მიკ ჰუტინმა საჯარიმოში შეჭრილი იესპერ გრონკიაერი აკრძალული წესებით შეაჩერა.

მასპინძლებმა ბურთიც შეაგდეს, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა — დანის და გრონკიაერის გათამაშებული კომბინაცია გაუქმებული შედეგით დასრულდა.

თამაშგარეს გამო მოგება დაკარგა კიდევ ერთმა გუნდმა. არნემში „ვიტესი“ ჩემპიონატის ლიდერ „ფეიენოორდს“ მასპინძლობდა. დაძაბული შეხვედრის პირველ ტაიმში მასპინძელთა შოტლანდიელმა თავდამსხმელმა სკოტ ბუთმა გოლი გაუტანა, მაგრამ აქაც თამაშგარე აღნიშნეს.

მატჩის მიწურულს არნემელები ამოამ გაახარა. მისმა გოლმა თითქოს გადაწყვიტა კიდეც პრინციპული თამაშის ბედი, მაგრამ როტერდამელებმა შინ ქულა მაინც წაიღეს.

კაპიტნობა მეტად მძიმე ტვირთია, ამასთანავე საპასუხისმგებლო. „ფეიენოორდის“ კაპიტან ჟან პოლ ვან გასტელს ეს, ეტყობა, კარგად აქვს გათვითცნობიერებული — სწორად მან იხსნა ჩემპიონატის ლიდერი ბოლო წუთზე მარცხისაგან.

— რომ მოგვეგო, ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ ვერ მოვახერხეთ. გული მწყდება, გამარჯვება ბოლო წუთებზე რომ გავუშვით ხელიდან, მაგრამ არა უშავს, ჩემპიონატი გრძელდება. ჩვენ ყველაფერს შევძლებთ — მასპინძლთა ბერძენი თავდამსხმელი, გასული პირველობის ბომბარდირი ნიკოს მახლასი იმედიანადაა. ბომბარდირობას იგი ახლაც ახერხებს, მაგრამ ეინდჰოვენელ რუუდ ვან ნისტელროის მაინც ჩამორჩება.

„ფილიპსშტადიონზე“ (ეინდჰოვენელთა სარბიელია) დრამატული მატჩი შედგა. წლევანდელი ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ბომბარდირმა ვან ნისტელროიმ ორი გოლით თითქოს გაუნაღდა მასპინძელთ გამარჯვება, ერთიც მოგვიანებით ბელგიელმა ლუკ ნილისმა შეაგდო, მაგრამ ტრაგედია მასპინძელთათვის 86-ე და 87-ე წუთებზე დატრიალდა. კერკრადელებმა ორი გოლი გაიტანეს და ბობი რობსონის კლუბს ქულა წაჰგლიჯეს.

ტურის სხვა შეხვედრებს რაც შეეხება, აღსანიშნავია როტერდამის მეორე კლუბ „სპარტას“ პირველი საშინაო გამარჯვება. ამ სეზონში „სპარტას“ აქამდე შინ ვერ მოეგო.

სტუმრად მოიგო არჩილ არველაძის „ბრედამ“.

**ირაკლი ილაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 17 | 13 | 3 | 1 | 41:14 | 42 |
| ვიტესი | 18 | 11 | 3 | 4 | 36:23 | 36 |
| აიაქსი | 18 | 9 | 6 | 3 | 35:15 | 33 |
| ჰერენვენი | 17 | 9 | 5 | 3 | 27:18 | 32 |
| ტვენტე | 17 | 8 | 5 | 4 | 29:22 | 29 |
| როდა | 17 | 8 | 4 | 5 | 28:22 | 28 |
| ეინდჰოვენი | 18 | 7 | 7 | 4 | 44:34 | 28 |
| ალკმაარი | 18 | 6 | 9 | 3 | 27:25 | 27 |
| ნაიმეგენი | 17 | 7 | 5 | 5 | 27:23 | 26 |
| ტილბურგი | 18 | 7 | 4 | 7 | 31:34 | 25 |
| უტრეხტი | 18 | 6 | 4 | 8 | 31:34 | 22 |
| მაასტრიხტი | 18 | 5 | 4 | 9 | 22:31 | 19 |
| კამბური | 18 | 4 | 6 | 8 | 19:32 | 18 |
| გრააფსხაპი | 18 | 3 | 8 | 7 | 18:29 | 17 |
| სპარტა | 18 | 4 | 3 | 11 | 21:35 | 15 |
| სიტარდი | 18 | 3 | 5 | 10 | 19:35 | 14 |
| ბრედა | 16 | 3 | 4 | 9 | 19:27 | 13 |
| ვოლენდამი | 17 | 1 | 3 | 13 | 18:39 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი) | 16 |
| ნილისი (ეინდჰოვენი) | 12 |
| მახლასი (ვიტესი) | 12 |
| ვან უდტი (როდა) | 10 |
| ჰესელინკი (ტვენტე) | 10 |

# შვეიცარია

XXII ტური

**ლუცერნი 1:0 გრასჰოპერი**

1:0 მოზერი (38)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, მაცარელი (ბერნერი 75), გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, ტიკვა (სერმეტერი 63), ფოგელი, ტარარახე, კომიზეტი, მანინი (დე ნაპოლი 46), ყაველაშვილი

**ქსამაქსი 1:1 იანგ ბოისი**

1:0 ისაბელა (40), 1:1 სავუ (42)

**სენტ გალენი 0:1 ლოზანა**

0:1 შაჰგელდიანი (74)

**ციურიხი 1:0 არაუ**

1:0 ბამბა (90)

**სერვეტი 2:1 სიონი**

1:0 პიცინატი (17), 2:0 რეი (35პ), 2:1 ტოლოტი (72)

**ბაზელი 1:3 ლუგანო**

1:0 ჩოპი (45პ), 1:1, 1:2 ვეგმანი 72, 79), 1:3 ლომბარდო (80)

კვირას შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა. გაირკვა ის რვა გუნდი, რომლებიც გაზაფხულიდან ჩემპიონობისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ბოლო, ოცდამეორე ტურის წინ საკითხავი ისღა იყო, თუ ვინ მოიპოვებდა მერვე საგზურს. ამისათვის „ლუცერნი“ და „სიონი“ იბრძოდნენ, რომლებიც ბოლო ტურში ლიდერებს ხვდებოდნენ. „ლუცერნი“ ჩვენებურთა „გრასჰოპერს“ მასპინძლობდა, „სიონი“ კი „სერვეტს“ სტუმრობდა.

„ლუცერნთან“ შეხვედრაში „კალიების“ შემადგენლობაში კვლავ ერთი ქართველი — მიხეილ ყაველაშვილი თამაშობდა. სწორედ მას მიეცა გატანის ყველაზე კარგი შანსი, მაგრამ მიშას ახლოდან დარტყმულს მასპინძელთა კარის დარაჯმა გრევოიზერმა გადაულობა გზა. ეს მატჩის დასაწყისშივე, მე-9 წუთზე მოხდა. ამას „ლუცერნის“ საპასუხო შეტევა მოჰყვა — ვუკიჩმა ახლოდან ხარიხა შეაზანზარა. 38-ე წუთზე კუთხურიდან კიოგლის ჩაწოდებულ ბურთს მოზერმა ძლიერი დარტყმით ცუბერბიულერის კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად უინტერესო გამოდგა. დასაწყისშივე „გრასჰოპერმა“ კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნა, მაგრამ დე ნაპოლის დარტყმა ოდნავ ასცდა კარს. 62-ე წუთზე სკეფანოვიჩმა კარგად დაარტყა, მაგამ ცუბერბიულერმა იმარჯვა. მატჩის ბოლოს ისევ ყაველაშვილს შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა შორიდან ძლიერად დარტყმული ბურთი გრევოიზერმა კუთხურზე გადააგდო. საბოლოოდ, მოზერის ერთადერთი გოლის წყალობით მატჩი „ლუცერნმა“ 1:0 მოიგო და ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც იგი გააგრძელებს.

„ლუცერნს“ „გრასჰოპერისთვის“ რომც არ მოეგო, მერვე ადგილზე მაინც გავიდოდა. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც „სიონმა“ სტუმრად ლიდერ „სერვეტთან“ 2:1 წააგო. „სერვეტმა“ მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტა — მე-17 წუთზე პიცინატის გატანილ გოლს 35-ეზე რეიმ კიდევ ერთი დაუმატა. სტუმრებმა მეორე ტაიმში სხვაობის შემცირებაღა მოახერხეს: 72-ე წუთზე ტოლოტის დარტყმულმა მიზანს მიაღწია.

მეორე ეტაპი გაზაფხულზე განახლდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი რვა გუნდი ჩემპიონობისთვის გააგრძელებს ბრძოლას, დანარჩენი ოთხი კი — ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის. პირველ რვა გუნდს ქულები გაუნახევრდება. „ლუცერნსა“ და „სენტ გალენს“, რომლებსაც აქვთ 27—27 ქულა მეორე ეტაპზე ექნებათ 14—14 ქულა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 22 | 12 | 8 | 2 | 38:24 | 44 |
| გრასჰოპერი | 22 | 11 | 5 | 6 | 37:25 | 38 |
| ციურიხი | 22 | 10 | 8 | 4 | 33:21 | 38 |
| ლოზანა | 22 | 10 | 8 | 4 | 36:33 | 38 |
| ქსამაქსი | 22 | 7 | 11 | 4 | 30:23 | 32 |
| ბაზელი | 22 | 8 | 4 | 10 | 21:34 | 28 |
| ლუცერნი | 22 | 6 | 9 | 7 | 26:25 | 27 |
| სენტ გალენი | 22 | 7 | 6 | 9 | 31:31 | 27 |
| სიონი | 22 | 5 | 8 | 9 | 22:36 | 23 |
| ლუგანო | 22 | 5 | 7 | 10 | 35:43 | 22 |
| იანგ ბოისი | 22 | 4 | 7 | 11 | 33:34 | 19 |
| არაუ | 22 | 3 | 7 | 12 | 28:41 | 16 |

იყიდება ბინა საბურთალოზე შრომის სასახლესთან 1(5)
საერთო ფართობი 165 კვ.მ 3 სარდაფი, ბაღი, მუდმივი
წყალი, გაზი
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 38-70-44

## საფრანგეთი

XVIII ტური

**ბორდო 3:0 ლე ავრი**

1:0 ლასლანდი (7), 2:0 ბენარბია (14), 3:0 ლასლანდი (69)

**მარსელი 3:0 მეცი**

1:0 კამარა (29), 2:0 მორისი (45), 3:0 გურვენეკი (90)

**რენი 3:2 მონპელიე**

1:0 ნონდა (26), 1:1 ტიმოტე (43), 1:2 დელეი (76), 2:2 ბარდონი (89), 3:2 გუსე (89)

**ტულუზი 0:0 ლიონი**

**სტრასბური 2:2 ნანტი**

0:1 ფაბრი (8), 1:1 კონტე (35), 1:2 მონტერუბიო (55), 2:2 ბერტენი (89პ)

**ბასტია 2:0 პსჟ**

1:0, 2:0 ნე (3, 45)

**ლორიანი 1:1 ლანსი**

0:1 ფოე (17), 1:1 ლოკო (66)

**ნანსი 1:1 ოსერი**

1:0 მენირი (42), 1:1 ჟენშანი (89)

**სოშო — მონაკო**

გადაიდო

# მხარდამხარ



REUTERS

მარსელი — მეცი. ფრედერიკ ბრანდომ ფრანკ რიზეტო ჰაერშიც დაჩაგრა და მიწაზეც

„ბორდო" და „მარსელი" ერთმანეთს აღარ შორდებიან. მე-18 ტურში ორივემ ერთნაირი ანგარიშით (3:0) გაიმარჯვა და 41-41 ქულით ერთმანეთის მხარდამხარ კვლავაც გათამაშების „ორპიროვნულ" ლიდერებად რჩებიან. მათ უკან კი „რენია", რომელიც წინწასულებს მთელი ათი ქულით ჩამორჩება. ბრეტონელებმა ბოლო წუთებზე წაართვეს გამარჯვება „მონპელიეს", რამაც საშუალება მისცათ, „ლიონისთვის" სამი ქულით გაესწროთ. „ლიონი" კი „ტულუზთან" სტუმრად უგოლო ფრეს დასჯერდა. ევროპაზე გასასვლელი ადგილებისთვის ბრძოლაში „ბასტიამ" ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტი „პარი სენ ჟერმენი" დაამარცხა კორსიკაზე, „ლანსმა" კი „ლორიანთან" ვერაფერი გაწყო და ლიდერებს უკვე 17 ქულით ჩამორჩება. არადა, ჩემპიონებს, შეიძლება ითქვას, მოგება ხელიდან ძალისძალად გამოგლიჯეს — ტელევიზიით ისე ჩანდა, პატრის ლოკოს დარტყმის შემდეგ ბურთს სტუმართა კარის ხაზი არ გადაუკვეთავს. „მონაკომ" მეოთხე ადგილზე გადასვლის შანსი უამინდობის გამო დაკარგა. სოშოში მინდორი ისე იყო დატბორილი, რომ თამაშის ჩატარება შეუძლებელი გახლდათ. როდის გაიმართება „სოშო" — „მონაკო", მოგვიანებით გახდება ცნობილი. ახლა კი უფრო დაწვრილებით მეორე წრის პირველ ტურზე.

ჟირონდელები კვლავაც ამტკიცებენ, რომ მათი გუნდის წევრების უმეტესობა გადამღლელი სეზონის პირველი ნახევრის მერე ფიზიკურადაც და მორალურადაც გამოიფიტა. „ლე ავრთან" „ბორდოს" ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წევრი ამის გამო აკლდა — ჟემალი, ალიკარტი, დიაბატე, საველიჩი და ვილტორდი. მიუხედავად ამისა, „ბორდომ" მაინც დაამარცხა მეტოქე, თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით — გაანადგურა. თურმე ელი ბოპს სრულფასოვნად შეუძლია ძირითადების შეცვლა. დაცვის ცენტრში ფერიე-აფანუს დუეტი უშეცდომოდ ირჯებოდა, შეუდარებელი იყო ნახევარდაცვაც ბენარბიას თავკაცობით, თავდასხმაში კი ლასლანდთან შეწყვილებულმა დიავარამ ბევრი პრობლემა გაუჩინა მოწინააღმდეგე მცველებს. „გვეგონა, სათადარიგოთა სკამი ძალიან მოკლე გვქონდა, მაგრამ დღეს საწინააღმდეგო დამტკიცდა. მოხარული ვარ და ვფიქრობ, რომ გუნდს ჯოკერის დამატება ნამდვილად არ სჭირდება" — ჟირონდელთა კაპიტანმა მიშელ პავონმა კლუბის ხელმძღვანელებს საშობაო სატრანსფერო ბაზარზე უმოქმედობა „შესთავაზა".

„დალლილები ვართ, ამას გულახდილად ვაღიარებთ. დღეს გაგვიმართლა, რომ ანგარიში სწრაფად გავხსენით, რამაც მატჩის სწორად წარმართვაში ხელი შეგვიწყო" — თქვა იოან მიკუმ, თუმცა მიკუ ნაღდად აკნინებს თავის გუნდის თამაშს. იმ საღამოს მინდორზე ხომ ფაქტობრივად, ერთი გუნდი იყო. პირველი გოლი ლილიან ლასლანდმა შეაგდო ალი ბენარბიას უზადო პასის შემდეგ. რამდენიმე წუთში სტუმრებს მეორედ მოუხდათ საკუთარი ბადიდან ბურთის გამოტანა — იოან მიკუს პასი ექსმონაკოელმა ბენარბიამ ულამაზეს გოლად აქცია. ყველაფერი კი ლასლანდმა დააგვირგვინა, ამჯერად მას ასისტენტობა ჰოლანდიელმა კიკი მუსამპამ გაუწია. იოლი გამარჯვების მიუხედავად, მასპინძელთა გულშემატკივრები, გულდაწყვეტილი ტოვებდნენ „ლესკიურის" სტადიონს. ამის მიზეზი კი კაბა დიავარას განცხადება გახდა. ვილტორდის „დუბლიორს" შიგადაშიგ თამაში მობეზრდა და გადაწყვიტა, ღვინოებით განთქმული მხარე მიატოვოს. მას ესპანური „დეპორტივო ლა კორონია" ეპატიჟება და თან ძირითადში ადგილს აღუთქვამს. ასე რომ, საშობაოდ „ბორდოს" თავკაცებს მაინც მოუწევთ სატრანსფერო ბაზარზე საქმეების წარმართვა.

ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში „ბორდოს", ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი მოცილე ჰყავს — მარსელის „ოლიმპიკი". მარსელელებს ზედიზედ სამი თამაში იყო, ჩემპიონატში ვერ გაემარჯვათ და, სურდათ, ეს უიღბლობა შეეწყვიტათ. მათ თავიანთი საქმე მშვენივრად გააკეთეს და „ლანსთან" 14 ნოემბერს მოგების (1:0) შემდეგ პირველად მიითვალეს სამი ქულა. „ჩვენს შესაძლებლობებში ეჭვიც არ გვეპარებოდა, მაგრამ ამდენი ხნის წარუმატებლობა მაინც ნერვების მომშლელი იყო" — თქვა „მეცის" კარში გატანილი მეორე გოლის ავტორმა ფლორიან მორისმა. ანგარიში კი „ველოდრომის" ახალმა კერპმა ტიტი კამარამ გახსნა. იგი ლამაზად გასცდა ლოტარინგიელთა ორ მცველს და მარჯვენაც კარგად მოიქნია.

ბრუნო როდრიგესის გაძევების შემდეგ ათი მეცელი თითქოს დაცვაში „ჩაჯდა" და განადგურებისგან თავის დაღწევას შეეცადა, მაგრამ ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა. ვიცე-ჩემპიონებმა არც თავდასხმა დაივიწყეს და რომ არა მარსელელთა კარის დარაჯი სტეფან პორატო, შეიძლება ფრესთვისაც მიეღწიათ. „მონაკოში" ფაბიენ ბარტეზის ყოფილი შემცვლელი იმ დღეს მართლაც საუკეთესოდ გაისარჯა. მე-18 წუთზე მასთან პირისპირ გასულ გაიოს აუღო, მერე რამდენიმე ბურთი ცხრიანიდანაც „გამოიღო", მეორე გოლის მომტანი კომბინაცია კი სწორედ მისი დაწყებული იყო. მასპინძელთა მესამე გოლს კი „მარსელში" წლეულს გადასულმა ფეხბურთელებმა დაუდეს სათავე. ექსმეცელმა რობერ პირესმა საჯარიმოს წინა ხაზთან ექსნანტელ ჟოსლინ გურვენეკს დაუგორა და „მეცი" დიდი ანგარიშით დამარცხდა. საშობაო არდადეგებამდე ორი ტური დარჩა და „ბორდოც" და „მარსელიც" ექვს-ექვსი ქულის დაგროვებას იმედოვნებენ, ასე რომ, იანვრის ბოლოს მათი ბორდოში შეხვედრა შეიძლება ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩიც აღმოჩნდეს. „ბორდოში აუცილებლად მოსაგებად ჩავალთ, მანამდე კი ვეცდებით, მეტოქეზე მეტი ქულა ავიღოთ, თუმცა ეს მარტო ჩვენზე არაა დამოკიდებული" — უკვე მშობლიური ქალაქის გუნდთან თამაშზე ფიქრობს ექსბორდოელი, ექსმილანელი და ექსბარსელონელი მსოფლიოს ჩემპიონი კრისტოფ დიუგარი.

ხუთ თამაშში არ მოეგო მესამეადგილოსან „რენს". ბრეტონელებმა ნავსი „მონპელიესთან" გატეხეს, რომელსაც ათ გასვლით მატჩში ოდენ ორი ქულა აქვს მოპოვებული. „ფორტუნა აშკარად ჩვენსკენ იყო. მართალია, ძალიან კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ მთავარი გამარჯვებაა" — თქვა მასპინძელთა კაპიტანმა სტეფან გრეგუარმა. თავიდან სტუმრებმა შეუტიეს და კრისტოფ რევოსაც რამდენჯერმე ძნელი ბურთების მოგერიება მოუხდა. „რენს" პირველ ტაიმში თამაშის დაწყობა ძალიან გაუჭირდა და ბარდონის ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ ნონდას მიერ ანგარიშის გახსნა ცოტა ალოგიკურიც ჩანდა, მაგრამ ფეხბურთი ხომ სწორედ ამითაა მიმზიდველი. მერე „მონპელიემ" მთელ მოედანზე პრესინგს მიმართა და ტაიმის მიწურულს ამან შედეგიც გამოიღო. ანგარიში ტიმოტემ გაათანაბრა. მეორე ნახევარი ორივე გუნდმა შეტევებით დაიწყო, მაგრამ 50-ე წუთზე „მონპელიემ" თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ქსავიე გრაველენი მოისაკლისა. ექსმარსელელმა თანამსაჯი გამოლანძღა, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა. უმრავლესობაში დარჩენილმა რენელებმა მთელი ძალით შეუტიეს და დაისაჯნენ კიდეც. 76-ე წუთზე მაუვეს პასის შემდეგ დელეიმ სტუმრები დააწინაურა. გოლამდე წუთით ადრე კი „რენმა" წინ გასვლის შანსი გაუშვა ხელიდან. ბარდონმა თერთმეტმეტრიანი გააცუდა, თუმცა ბრეტონელთა თავდამსხმელმა შეცდომა 83-ე წუთზე გამოისყიდა. ვეიზერის ჩაწოდებული ჯარიმის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა. მატჩის მიწურულს კი გუსემ შეძლო გამარჯვებისა და სამი ქულის მომტანი გოლის გატანა. „ფეხბურთი ასეა, წავიფორხილეთ „ნანტთან", სამაგიეროდ, გაგვიმართლა „მონპელიესთან". ბოლო თხუთმეტ წუთს წაგების შიშმა შემიპყრო, მაგრამ გადავრჩით და სატურნირო ცხრილში პოზიციები გავიმყარეთ" — გახარებული იყო „რენის" მწვრთნელი პოლ ლე გუენი.

ფრემ შინ „ტულუზთან" და წაგებამ „ბასტიასთან" პსჟ-ს ძომაგებს მალე დაავიწყა მარსელში მოპოვებული ქულით განცდილი სიხარული. პირდაპირ საკვირველი რამ ხდება „პარი სენ ჟერმენში" — დედაქალაქელებს საკმაოდ გამოცდილი მწვრთნელიც ჰყავთ და საკმაოდ კარგი ფეხბურთელებიც, მაგრამ ეს „გუნდი" არ არის. კორსიკაზე პსჟ-მ უნიათოდ და ყოველგვარი ალმაფრენის გარეშე ითამაშა. მასპინძლები თავიდანვე გაფთრებით ეკვეთნენ სტუმრებს და უკვე მე-3 წუთზე ფრედერიკ ნემ გოლიც გაიტანა. ამის მერე ისინი თითქოს დაწყნარდნენ და პსჟ-მაც ტერიტორიული უპირატესობა იგდო ხელთ, თუმცა სახიფათოდ ერთხელაც ვერ შეუტია. მეტიც, ზუსტად შესვენების წინ, იმავე ნეს დარტყმის შემდეგ, პარიზელებმა მეორე გოლიც გაუშვეს. მეორე ტაიმი მეტად დუნედ წარიმართა და „ბასტიას" მეკარე ერიკ დიურანს, ფაქტობრივად, ერთხელაც არ დასჭირვებია თამაშში ჩართვა. ეს „პარი სენ ჟერმენის" მეექვსე მარცხი იყო წლევანდელ სეზონში და იგი თავის დაუძინებელ მტერს, „მარსელს" უკვე 17 ქულით ჩამორჩება. როგორც აღმოჩნდა, ალენ ჟირესის არტურ ჟორჟეთი შეცვლამ დედაქალაქელებს სასიკეთო ბევრი ვერაფერი მოუტანა და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება პორტუგალიელსაც მოუწიოს პოსტის დატოვებამ. თუმცა ეს მაინც ნაკლებად რეალურია, რადგან კლუბის ხელმძღვანელობამ, არა მგონია, კვლავ მიმართოს გადამჭრელ ზომებს. ჟორჟეს, ალბათ, მაინც მიეცემა შესაძლებლობა, თავისი ცოდნა პსჟ-ს მოახმაროს.

მომდევნო ტური 15 და 16 დეკემბერს გაიმართება.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 18 | 13 | 2 | 3 | 36:14 | 41 |
| მარსელი | 18 | 12 | 5 | 1 | 34:13 | 41 |
| რენი | 18 | 9 | 4 | 5 | 24:21 | 31 |
| ლიონი | 18 | 7 | 7 | 4 | 23:17 | 28 |
| მონაკო | 17 | 8 | 3 | 6 | 26:17 | 27 |
| ნანტი | 18 | 7 | 6 | 5 | 24:21 | 27 |
| ბასტია | 18 | 8 | 2 | 8 | 24:20 | 25 |
| პსჟ | 18 | 6 | 6 | 6 | 18:15 | 24 |
| ლანსი | 18 | 7 | 3 | 8 | 26:24 | 24 |
| მონპელიე | 18 | 7 | 3 | 8 | 32:31 | 24 |
| ოსერი | 18 | 6 | 6 | 6 | 21:22 | 24 |
| სტრასბური | 18 | 5 | 7 | 6 | 16:20 | 22 |
| ნანსი | 18 | 5 | 6 | 7 | 18:23 | 21 |
| მეცი | 18 | 4 | 7 | 7 | 14:22 | 19 |
| ლორიანი | 18 | 3 | 6 | 9 | 13:25 | 15 |
| ლე ავრი | 18 | 3 | 6 | 9 | 12:24 | 15 |
| ტულუზი | 18 | 2 | 8 | 8 | 11:25 | 14 |
| სოშო | 17 | 3 | 5 | 9 | 14:32 | 14 |

## ბელგია

XVIII ტური

**სტანდარდი 3:0 ოსტენდე**

1:0 პელერსი (4), 2:0 ლუკუნკუ (34), 3:0 ფოლია (61)

სტანდარდი: რუნიე, ბლეი (ტარაბიანი 80), ბილიჩი, პელერსი, გოდფრუა, ტიისი, ერნსტი, ფოლია, დე კონდე, ლუკუნკუ (მორნარი 66), მბო მპენზა (ემილ მპენზა 57)

**გენტი 1:0 ლიერსი**

1:0 ბარკა (77პ)

ლიერსი: მენცო, ლარემანსი, ჰოფკენსი, ვან მეირი, შეყილაძე (სერნეელსი 51), დაემსი, ლეენი, ზდებელი, სომერსი, ჰააგდორენი (ვან დე ვეიერი 70), ჰუისმანსი (კავენსი 63)

**ბრიუგე 0:0 აალსტი**

**გენკი 3:1 ლოკერენი**

1:0 ორიჯი (10), 1:1 ლისასი (29), 2:1, 3:1 ულარი (39, 70)

**მუსკრონი 5:1 სენტ ტრუიდენი**

0:1 რუდონია (3), 1:1 ფიერსი (39ს.კ.), 2:1 ვიდოვიჩი (52), 3:1 პიერი (65), 4:1 ლესიაკი (78), 5:1 ვანდოორენი (88)

**ვესტერლო 2:4 ეკერენი**

0:1 ჰერემანი (13), 0:2 სონკი (45), 1:2 იანსენი (47), 1:3, 1:4 ჰოფმანსი (49, 54), 2:4 იანსენი (55)

**კორტრაიკი 0:0 ჰარელბეკი**

**ბევერენი 0:0 ლომელი**

**შარლერუა — ანდერლეხტი**

გადაიდო

ბელგიის ჩემპიონატის მე-18 ტური, რომელიც ამ უქმეებზე გაიმართა, ჩვენებური გელა შეყილაძისთვის უიღბლო გამოდგა. ახალტრამვამოშუშებული გელა კვლავ დაიმტვრა და შესაცვლელი გახდა. მისმა „ლიერსმა" კი მარცხი იწვნია „გენტთან". საწყისი თხუთმეტი წუთი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა მათ სტენლი მენცოს კართან რეალური ხიფათის შექმნა ვერ შეძლეს. ნელ-ნელა თამაში გათანაბრდა და „ლიერსმაც" შეტევებისთვის მოიცალა. სტუმრები გაცილებით მწვავედ მოქმედებდნენ თავდასხმაში და რომ არა „გენტის" მეკარე ჰერპოელის ბრწყინვალე, უშეცდომო თამაში, ისინი შესვენებაზე სამბურთიანი უპირატესობითაც კი წავიდოდნენ. მეორე ტაიმში შეყილაძის თანაგუნდელებს უფრო მეტად თავდაცვაზე ფიქრი უხდებოდათ, მაგრამ ამას თავს კარგად ართმევდნენ და მათი წაგება, შეიძლება ითქვას, მთლიანად მატჩის არბიტრის სინდისზეა. შეხვედრის 77-ე წუთზე მსაჯმა გამოგონილი პენალტი დანიშნა სტუმართა კარში და ბარკამაც სამი ქულის მომტანი გოლი გაიტანა.

მეორე ქართველი ლეგიონერის ლაშა ჯაკობიას გუნდმა „სტანდარდმა" წარსულში ცნობილი მეკარის ჟან-მარი პფაფის გაწვრთნილ „ოსტენდეს" დიდი ანგარიშით (3:0) სძლია, თუმცა კვლავ ჯაკობიას გარეშე. მასპინძელთა ხორვატმა თავკაცმა ტომისლავ ივიჩმა, რომელსაც გულშემატკივრები შეტევის ხაზის გაძლიერებას სთხოვდნენ, ეტყობა, კრიტიკას ყური უგდო. ძირითადში მან სამი თავდასხმელი — გოდფრუა, დე კონდე და მბო მპენზა დააყენა. მართალია, გოლი არც ერთ მათგანს არ გაუტანია, მაგრამ მათგან გაწამებული „ოსტენდეს" დაცვასა და მეკარეს ჰელერსმა, ლუკუნკუმ და ფოლიამ აჯობეს. ამ გამარჯვებამ „სტანდარდი" მესამე ადგილამდე ალაზევა, თან მას ერთი თამაში გამოტოვებული აქვს. ასე რომ, ივიჩის გუნდი, სავსებით შესაძლებელია, ოქროს მედლებისთვის ბრძოლაშიც ჩაება „ბრიუგესა" და „გენკთან".

„ბრიუგემ" ცხრილის მეორე ნახევარში მყოფ „აალსტს" უმასპინძლა და ვერ მოუგო. ბრიუსელებები, ეტყობა, უეფას თასზე ფრანგულ „ლიონთან" განცდილმა მარცხმა ფსიქოლოგიურად დათრგუნა. „ბრიუგემ" ვერაფერი ღირებული ვერ გააკეთა და უგოლო ფრეს დასჯერდა.

დავით სიჭინავა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 18 | 12 | 4 | 2 | 34:16 | 40 |
| გენკი | 18 | 11 | 4 | 3 | 40:22 | 37 |
| სტანდარდი | 17 | 10 | 1 | 6 | 26:16 | 31 |
| ლოკერენი | 18 | 9 | 4 | 5 | 38:24 | 31 |
| მუსკრონი | 18 | 8 | 7 | 3 | 36:28 | 31 |
| გენტი | 18 | 8 | 6 | 4 | 30:32 | 30 |
| ანდერლეხტი | 17 | 7 | 5 | 5 | 30:25 | 26 |
| ვესტერლო | 18 | 8 | 2 | 8 | 39:33 | 26 |
| სტ. ტრუიდენი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:21 | 26 |
| ლიერსი | 17 | 8 | 1 | 8 | 30:28 | 25 |
| ეკერენი | 18 | 7 | 4 | 7 | 32:30 | 25 |
| აალსტი | 18 | 6 | 5 | 7 | 29:34 | 23 |
| ჰარელბეკი | 18 | 4 | 7 | 7 | 22:29 | 19 |
| შარლერუა | 17 | 3 | 7 | 7 | 23:25 | 16 |
| ბევერენი | 17 | 4 | 4 | 9 | 18:26 | 16 |
| ლომელი | 18 | 4 | 4 | 10 | 18:28 | 16 |
| ოსტენდე | 18 | 2 | 5 | 11 | 16:43 | 11 |
| კორტრაიკი | 18 | 1 | 5 | 12 | 23:48 | 8 |

## საბერძნეთი

მე-13 ტური. აეკი — პანათინაიკოსი 2:0, ქსანტი — ირაკლისი 0:0, პანიონისი — პრუდეფტიკი 0:0, ეთნიკოსი (ასტირი) — პანილიაკოსი 1:0, იონიკოსი — ვერია 1:0, არისი — პანელეფსინიაკოსი 0:0, პაოკი — ოფი 3:1, აპოლონი — კავალა 1:1, ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი (პირეოსი) გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 13 | 9 | 2 | 2 | 28:10 | 29 |
| ოლიმპიაკოსი | 12 | 9 | 1 | 2 | 33:10 | 28 |
| ქსანტი | 13 | 7 | 4 | 2 | 15:9 | 25 |
| პანათინაიკოსი | 13 | 8 | 1 | 4 | 24:18 | 25 |
| პაოკი | 13 | 8 | 2 | 3 | 22:15 | 23 |
| არისი | 13 | 6 | 3 | 4 | 17:18 | 21 |
| იონიკოსი | 13 | 6 | 2 | 5 | 23:16 | 20 |
| ოფი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:15 | 20 |
| ეთნიკოსი (ა) | 13 | 6 | 2 | 5 | 21:19 | 20 |
| ირაკლისი | 13 | 5 | 4 | 4 | 21:13 | 19 |
| პანიონისი | 13 | 5 | 2 | 6 | 27:19 | 17 |
| პანილიაკოსი | 13 | 5 | 1 | 7 | 17:21 | 16 |
| კავალა | 13 | 4 | 4 | 5 | 23:30 | 16 |
| პანელეფსინ. | 13 | 2 | 6 | 5 | 9:16 | 12 |
| პრუდეფტიკი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:21 | 10 |
| ვერია | 13 | 1 | 4 | 8 | 5:20 | 7 |
| აპოლონი | 13 | 1 | 4 | 8 | 15:35 | 7 |
| ეთნიკოსი (პ) | 12 | 0 | 4 | 8 | 3:27 | 4 |

პაოკს დაკლებული აქვს 3 ქულა.

## თურქეთი

მე-16 ტური. ფენერბაჰჩე — ისთანბული 2:0, ტრაბზონი — ანკარაგიუჯიუ 1:0, ადანა — ბურსა 4:1, სამსუნი — ალთაი 1:0, დარდანელი — ერზურუმი 0:0, ქარაბუქი — გაზიანთეფი 2:6, გენჩლერბირლიგი — ქოჯაელი 1:1, საქარია — ბეშიქთაში 0:2, გალათასარაი — ანთალია 3:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 15 | 11 | 4 | 0 | 32:11 | 37 |
| ფენერბაჰჩე | 16 | 11 | 2 | 3 | 42:12 | 35 |
| ტრაბზონი | 16 | 10 | 3 | 3 | 27:16 | 33 |
| გალათასარაი | 14 | 9 | 3 | 2 | 41:16 | 30 |
| ანთალია | 16 | 9 | 3 | 4 | 23:16 | 30 |
| გენჩლერბირ. | 16 | 7 | 4 | 5 | 25:21 | 25 |
| ქოჯაელი | 16 | 7 | 4 | 5 | 19:18 | 25 |
| ისთანბული | 16 | 7 | 3 | 6 | 25:23 | 24 |
| ბურსა | 16 | 7 | 3 | 6 | 29:31 | 24 |
| გაზიანთეფი | 16 | 6 | 5 | 5 | 23:21 | 23 |
| სამსუნი | 16 | 5 | 3 | 8 | 19:30 | 18 |
| ადანა | 16 | 5 | 2 | 9 | 16:23 | 17 |
| ერზურუმი | 16 | 4 | 5 | 7 | 18:36 | 17 |
| ანკარაგიუჯიუ | 15 | 5 | 1 | 9 | 18:22 | 16 |
| ალთაი | 16 | 4 | 3 | 9 | 22:32 | 15 |
| საქარია | 16 | 2 | 4 | 10 | 13:28 | 10 |
| დარდანელი | 16 | 1 | 6 | 9 | 8:24 | 9 |
| ქარაბუქი | 16 | 2 | 2 | 12 | 13:33 | 8 |

## ალბანეთი

მე-14 ტური. პარტიზანი — ბურელი 3:1, ტირანა — ბესა 2:0, ელბასანი — ვლაჟნია 1:1, ლუშნია — ტომორი 1:0, ფლამურტარი — ტეუტა 3:0, აპოლონია — შკუმბინი 1:1, ლაჩი — დინამო 2:1, ბილიში — სკენდერბუ 5:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტირანა | 14 | 9 | 2 | 3 | 26:12 | 29 |
| ბილიში | 14 | 9 | 2 | 3 | 23:9 | 29 |
| ლუშნია | 14 | 9 | 1 | 4 | 32:15 | 28 |
| ვლაჟნია | 14 | 7 | 3 | 4 | 21:10 | 24 |
| პარტიზანი | 14 | 6 | 5 | 3 | 18:17 | 23 |
| დინამო | 14 | 6 | 4 | 4 | 22:20 | 22 |
| ტომორი | 14 | 5 | 4 | 5 | 12:11 | 19 |
| შკუმბინი | 14 | 6 | 1 | 7 | 13:18 | 19 |
| ელბასანი | 14 | 5 | 3 | 6 | 11:11 | 18 |
| ლაჩი | 14 | 5 | 3 | 6 | 17:20 | 18 |
| აპოლონია | 14 | 4 | 4 | 6 | 15:21 | 16 |
| ბესა | 14 | 5 | 1 | 8 | 14:23 | 16 |
| სკენდერბუ | 14 | 5 | 0 | 9 | 23:29 | 15 |
| ფლამურტარი | 14 | 3 | 5 | 6 | 15:20 | 14 |
| ბურელი | 14 | 4 | 1 | 9 | 22:26 | 13 |
| ტეუტა | 14 | 4 | 1 | 9 | 11:33 | 13 |

## ამნისტია

ევროთასების საშემოდგომო შეხვედრებში მიღებული ყვითელი ბარათები, უეფას განკარგულებით, უქმდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის, უეფასა და თასების თასების, მეოთხედფინალურ შეხვედრებს დაუბრკოლებლად ჩაატარებენ ის ფეხბურთელები, რომლებიც სხვადასხვა მატჩებში მიღებული გაფრთხილებების გამო, წესით, გაზაფხულის პირველ კალენდარულ დღეს ტრიბუნაზე უნდა ისხდნენ.

თითოყვითლიანებიც სუფთა ფურცლით შეხვდებიან ახალ წელიწადს.

ამნისტია არ ეხებათ იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ორი ყვითელი ბარათი ერთ შეხვედრაში მიიღეს. ცხადია, დისკვალიფიკაცია არ მოეხსნებათ მათაც, ვინც ამა თუ იმ დანაშაულისთვის პირდაპირ წითელი ბარათი მიიღო.

# მოსალოდნელი მოულოდნელობა
## მარჩელო ლიპი „იუვენტუსიდან" მიდის


სარბიელის არქივიდან
მარჩელო ლიპი

მარჩელო ლიპიმ შაბათს საქვეყნოდ განაცხადა ის, რასაც მისგან მთელი საფეხბურთო იტალია და იქნებ მსოფლიოც ელოდა — „მე მივდივარ".

— „იუვენტუსის" დირექტორატს გასულ ზაფხულს განვუცხადე, რომ სეზონის დამთავრების მერე თანამდებობიდან გადავდგები. ხუთი წელიწადი გავიდა და ვგრძნობ სიახლე მჭირდება. არ გამოვრიცხავ, რომ ერთი წელიწადი სულაც დავისვენო. დამალობანას თამაში არ მსურს. ყველამ კარგად იცის, რომ ულალატო კაცი გახლავართ, მაგრამ სულ იმას კითხულობენ, ვაპირებ თუ არა ტურინული კლუბის დატოვებას. ვადასტურებ, რომ ვაპირებ — განუცხადა ლიპიმ ჟურნალისტებს.

მაშ ასე, „იუვენტუსის" შეფებს, ლუჩანო მოჯის, ანტონიო გირაუდოსა და რობერტო ბეტეგას კარგა ხანია სცოდნიათ, რომ ლიპი სეზონის დამთავრების შემდეგ მათთან კონტრაქტს აღარ გააფორმებს. თურმე ზაფხულზე, ზღვისპირა ქალაქ ფორტე დი მარმიში ყველაფერი ცხადად თქმულა. მდიდრულ რესტორანში სადილობის დროს, კაცს, რომელმაც მათ გუნდს ბოლო წლების განმავლობაში უამრავი ჯილდო მოაპოვებინა, გულისნადები გაუნდია.

ახლა შობა ახლოვდება. მოჯის, გირაუდოსა და ბეტეგასთვის დღესასწაული ფიქრიანი იქნება. ვინ შეცვლის ლიპის? ეს გახლავთ კითხვა, რომელსაც ამიერიდან ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაუსვამენ დირექტორთა სამეულს. ეს ის კითხვაა, რომელზეც მათ აუცილებლად უნდა გასცენ პასუხი, თან გონივრული.

პასუხის რამდენიმე ვარიანტი უკვე არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ლიპის შემცვლელად კარლო ანჩელოტის ასახელებენ, ნიჭიერ და უცნაურ ადამიანს, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონს.

ანჩელოტი არიგო საკის დროინდელ „მილანში" თამაშობდა, 1989 და 1990 წლებში ჩემპიონთა თასი მოიპოვა. საკი იმდენად მოხიბლული იყო ანჩელოტის ინტელექტით, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ცხოვრებაში ვინც კი ფეხბურთელი მყოლია, მათგან მწვრთნელობას სულ ოთხი შეძლებს, ანჩელოტი, ტასოტი, ვან ბასტენი და გულიტიო. როდესაც საკი იტალიის ნაკრებს ჩაუყენეს სათავეში, მან ანჩელოტი უმალ ასისტენტად მიიწვია და სამი წლის განმავლობაში თავის მეთოდებს ასწავლიდა.

მასწავლებელთან განშორების შემდეგ ანჩელოტიმ დამოუკიდებელ კარიერას მოჰკიდა ხელი. მისი პირველივე სეზონი წარმატებული გამოდგა: „რეჯინა" სერია B-დან სერია A-ში აიყვანა. ეფექტურმა დასაწყისმა შედეგიც დაუყოვნებლივ გამოიღო — ანჩელოტი „პარმამ" დაიქირავა.

თავიდან ცუდად წავიდა საქმე, „პარმა" გასავარდნთა შორის ტრიალებდა, მაგრამ გონიერმა მწვრთნელმა გამოსავალს მიაგნო, შექმნა გუნდი, რომელიც 1:0-ებს იგებდა და რომელმაც მეორე ადგილზე ჩაამთავრა — ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.

შემდეგი სეზონი კი მთლად კარგი აღარ გამოდგა. ანჩელოტის ბიჭებმა ვერც შინაურ სარბიელზე დაიკვეხნეს და ვერც ლიგაში. საკის საყვარელი მოსწავლე ალბერტო მალესანით შეცვალეს.

ზევით ვახსენეთ, რომ 39 წლის ანჩელოტი უცნაური კაცია. აბა სხვა რა უნდა ითქვას ადამიანზე, რომელმაც 1997 წელს თვით რობერტო ბაჯოს ყიდვაზე განაცხადა უარი, ჩემთან რა ესაქმება, გუნდში ენრიკო კიეზა და ერნან კრესპო მყავანო. გარდა ამისა, ანჩელოტიმ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაყიდა ფილიპო ინძაგი.

„იუვენტუსში" მუშაობის დაწყება ანჩელოტისთვის დიდი გამოწვევაა, როგორც ამბობენ ამბიციური მწვრთნელი მასზე უარს არ იტყვის.

ანჩელოტის გარდა ლიპის სავარაუდო შემცვლელებად ასახელებენ კლაუდიო პრანდელის, რომელიც დღეს სერია B-ში, „ვერონას" უდგას სათავეში, ჯამპიერო ვენტურას, „კალიარის" მწვრთნელს, „ვიჩენცას" თავკაცს ფრანკო კოლომბას და „უდინეზეს" ხელმძღვანელს ფრანჩესკო გუიდოლინს.

თუმცა, „იუვენტუსის" მომავალი მწვრთნელის სახელს ვერავინ დაასახელებს კლუბის პატრონისა და საპატიო პრეზიდენტის, ფირმა „ფიატის" მფლობელის ჯოვანი ანიელის ნებართვის გარეშე. ანიელის კი გულში ჯოვანი ტრაპატონის დაბრუნება ჰქონდა ამოჭრილი.

ჯოვანი ტრაპატონიმ 1947-86 წლებში „იუვენტუსს" ექვსჯერ მოაპოვებინა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, უკლებლივ ყველა საერთაშორისო საკლუბო თასი და მართალია 90-იანების დასაწყისში, გუნდში ხელახლა მისვლის შემდეგ ცაში ვარსკვლავებს ველარ შეეთამაშა, დღემდე „ბებერი ქალბატონის" ყველაზე დიდ მწვრთნელადაა მიჩნეული.

მაგრამ რატომ დატოვებს დონ ტრაპი თავის ახლანდელ გუნდს, „ფიორენტინას"? იგი ხომ სერია A-ს ლიდერია და სრულიად შესაძლებელია ჩემპიონიც გახდეს.

ლიპი „იუვენტუსიდან" მიდის... ხუთი წლის მანძილზე მისი ხელმძღვანელობით ტურინელებმა სამჯერ მოიგეს იტალიის პირველობა, ზედიზედ სამჯერ გავიდნენ ჩემპიონთა თასის ფინალში (ერთხელ ჯილდო მოიპოვეს), დაეუფლენ უეფას თასს, ევროპის სუპერთასსა და საკონტინენტთაშორისო თასს, მოიპოვეს იტალიის თასიც...

— ცნობა ლიპის „იუვენტუსიდან" წასვლის შესახებ დიდი მოულოდნელობაა. შემდეგი სეზონიდან იგი ჩვენთან იმუშავებს — თქვა მილანის „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

ესე იგი მორატისთვის მოულოდნელი იყო ლიპის ტურინიდან წასვლა, მაგრამ იცოდა, რომ მაესტრო „ინტერს" ჩაუდგება სათავეში. ან ერთია ტყუილი ან მეორე. ტყუილს უფრო პირველი ჰგავს.

მოხდენილად თქვა ერთმა ჟურნალისტმა, ლიპის „იუვენტუსიდან" წასვლა იტალიის ისტორიაში ყველაზე ცუდად შენახული საიდუმლო იყოო.

ცნობილია ისიც, რომ მაესტროს უცხოური კლუბები, დორტმუნდის „ბორუსია" და მადრიდის „რეალი" ეპატიჟებიან.

რას ფიქრობს ყველაფერზე „ინტერის" დღევანდელი მწვრთნელი, რუმინელი მირჩა ლუჩესკუ? ლუჩესკუმ იმთავითვე კარგად იცოდა, რომ მას მომავალი სეზონიდან შეცვლიან. კონტრაქტიც ასე ჰქონდა გაფორმებული — ივნისამდე. პრესკონფერენციაზე მან ისიც თქვა, ჩემს მერე ლიპი მოვაო, მაგრამ თუ აქამდე ცნობილი გახლდათ, რომ ივნისიდან ლუჩესკუ „ინტერის" ახალგაზრდულ გუნდს ჩაუდგება სათავეში, შაბათს რუმინელმა სხვანაირად ილაპარაკა:

— ზაფხულზე სამშობლოში დავბრუნდები. „ინტერში" მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ აქ ჩამოსასვლელად ბუქარესტის „რაპიდთან" გავწყვიტე კონტრაქტი, ამიტომაც, მომავალი სეზონიდან ისევ „რაპიდს" მივაშურებ. ასე რომ არ მოვიქცე, ამოცანად დამრჩება, რა უნდა ვაკეთო მომავალში, ეს კი, დამეთანხმებით, სარისკოა.

**მიხეილ სურგულაძე**

# ვოუტერსი ოლსენის ნაცვლად

— ოლსენი გუნდიდან არ გაგვიშვია, მას „აიაქსთან" კონტრაქტი 1999 წლის 1 ივლისს უმთავრდება. მანამდე კლუბში დარჩება და ხელფასსაც მიიღებს. უბრალოდ, მწვრთნელი ვეღარ იქნება — განაცხადა ამსტერდამული კლუბის პრეს-ატაშე ერიკ ვან ლუვენმა.

ერთი სიტყვით, „აიაქსმა" მწვრთნელი გამოცვალა — იან ვოუტერსი, რომელიც აქამდე მორტენ ოლსენის თანაშემწე იყო, გუნდს უხელმძღვანელებს.

ევროპის ჩემპიონთა ლიგიდან გამოთიშვამ, ბოლო მატჩში „პორტუსთან" 0:3 განადგურებამ, ჩემპიონატში უსახურმა თამაშებმა, კონკურენტებთან დათმობილმა პოზიციებმა უკვალოდ არ ჩაიარა — მწვრთნელი გადააყენეს. თავად „აიაქსის" ხელმძღვანელობა რომ არ მოქცეულიყო ასე, დანიელ თავკაცს იქნებ თანამდებობის დატოვება არც ეფიქრა.


REUTERS ამსტერდამიდან
მორტენ ოლსენი (მარჯვნივ) პრესკონფერენციაზე


სარბიელის არქივიდან
იან ვოუტერსი

— ოლსენს კლუბში დიდ პატივს სცემენ, მაგრამ ცხოვრებში ხანდახან დგება მომენტი, როცა მეგობრები ერთ საქმეს ვერ გააგრძელებენ. მიუხედავად ჩვენი გადაწყვეტილებისა, „აიაქსის" და მორტენ ოლსენის მეგობრობა კვლავ გაგრძელდება — ამსტერდამული კლუბის პრეზიდენტი მიჰაელ ვან პრააგი პრესკონფერენციას ესწრებოდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მორტენ ოლსენის გუნდიდან წასვლის მიზეზი მხოლოდ ცუდი შედეგები არ ყოფილა. ახალი სეზონის განმავლობაში კლუბის ხელმძღვანელობა ამჩნევდა, რომ მწვრთნელსა და რამდენიმე მოთამაშეს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ცნობისთვის: ძმები დე ბურები, რომელთაც „აიაქსის" დატოვება სურდათ, სეზონის წინ ოლსენს ძალიან აკრიტიკებდნენ.

ასე რომ, მორტენ ოლსენი, კაცი, რომელსაც დანიის ნაკრებში 102-ჯერ უთამაშია, კაცი, რომელსაც „ბრონდბიუ" ქვეყნის ჩემპიონი გაუხდია და უეფას თასის ნახევარფინალში გაუყვანია, კაცი, რომელსაც ბუნდესლიგაში „კიოლნისთვის" უმწვრთნელია, კაცი, რომელსაც „აიაქსი" ჰოლანდიის ჩემპიონი და თასის მფლობელი გაუხდია, ამსტერდამელთა გუნდის მწვრთნელი აღარაა.

მოვიდა იან ვოუტერსი, ევროპის 1988 წლის ჩემპიონი, „აიაქსის" ყოფილი ფეხბურთელი.

— როცა ვოუტერსი კლუბში მეორე მწვრთნელად მოვიწვიეთ, მაშინ არც მის „აიაქსის" მთავარ მწვრთნელობას გამოვრიცხავდით. მოლოდინი გაგვიმართლდა — ეს იმავე ერიკ ვან ლუვენის სიტყვებია.

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.** გამოტოვებული მატჩები | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| ჰერტა — ფრაიბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 16 დეკემბერი | | | |
| დუისბურგი — კაიზერსლაუტერნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| მიონხენგლადბახი — ბაიერნი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| **გერმანიის ჩემპიონატი.** მეორე ბუნდესლიგა გამოტოვებული მატჩები | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| ურდინგენი — ობერჰაუზენი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| კარლსრუე — ჰანოვერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| არმინია — უნტერჰახინგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 16 დეკემბერი | | | |
| ბერლინი — ზანქტ პაული | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.** გამოტოვებული მატჩი | | | |
| 16 დეკემბერი | | | |
| მანჩესტერი — ჩელსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.** გამოტოვებული მატჩი | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| სანდერლენდი — კრისტალ პალასი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| **ინგლისის თასი.** გადათამაშება | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| მანჩესტერ სიტი — დარლინგტონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 16 დეკემბერი | | | |
| ბრენტფორდი — ოლდემი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ბრისტოლ როვერსი — ექსიტერი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| პლიმუტი — უიკომბი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| როტერჰემი — როჩდეილი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვიგანი — ნოთს ქაუნთი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი.** XIX ტური | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| ოსერი — ბორდო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| მეცი — ბასტია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 16 დეკემბერი | | | |
| ნანტი — ნანსი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| მონაკო — ტულუზი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლანსი — სოშო | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლიონი — ლორიანი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ლე ავრი — რენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მონპელიე — მარსელი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| პსჟ — სტრასბური | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| **ესპანეთის თასი.** პირველი მატჩები | | | |
| 16 დეკემბერი | | | |
| დეპორტივო — სპორტინგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ვილიარეალი — სევილია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| რასინგი — ოსასუნა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ვალიადოლიდი — ბადახოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლას პალმასი — ლევანტე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ტენერიფე — ბენიდორმი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი.** გამოტოვებული მატჩები | | | |
| 16 დეკემბერი | | | |
| ნაიმეგენი — ვალვაიკი | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| ბრედა — კამბური | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| როდა — ტვენტე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| **ჰოლანდიის თასი** | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| ექსელსიორი — ეინდჰოვენი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| **თურქეთის ჩემპიონატი.** გამოტოვებული მატჩი | | | |
| 16 დეკემბერი | | | |
| გალათასარაი — ბეშიქთაში | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| **შოტლანდიის ჩემპიონატი.** გამოტევებული მატჩი | | | |
| 16 დეკემბერი | | | |
| მოზერველი — დანდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| **ჰოკეი. NHL** | | | |
| 15 დეკემბერი | | | |
| პიტსბურგი — ტამპა ბეი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| კაროლინა — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — სენტ ლუისი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სან ხოსე — აილენდერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| 16 დეკემბერი | | | |
| ტორონტო — ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ნიუ ჯერსი — რეინჯერსი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ფლორიდა — პიტსბურგი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| დეტროიტი — ბოსტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ანაჰაიმი — ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 17 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — ოტავა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ფილადელფია — კალგარი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ჩიკაგო — ვაშინგტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სენტ ლუისი — ფინიქსი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ვანკუვერი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — აილენდერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სან ხოსე — ნეშვილი | 1,9 | 4,4 | 2,1 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ტყუილად არ ყოფილან თავდაჯერებულნი

12 დეკემბერი
თბილისი
ვერის ბაღი

8 ტური

**აზოტი 90:87 შევარდენი**

I ტაიმი 45:41

აზოტი: ქლენტი (14), გოგობერიშვილი (19), ბაბიაშვილი (11), ბერუაშვილი (18), ჯაფარიძე (24); გოგოლაძე (2), კოჭლამაზაშვილი, ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი

შევარდენი: კაზანჯიანი (15), გაგნიძე (18), აკოლაშვილი (26), ცაგარეიშვილი (4), ნუცუბიძე (24); არსიაშვილი

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

რა შეიძლება დაიწეროს მატჩზე, რომელსაც სულ რაღაც ორმოცდაათამდე კაცი თუ ესწრებოდა. ისიც მონაწილეთა მეგობარ-ნათესავი, ანდა სხვა გუნდებში მოთამაშე სპორტსმენები. ვილას უნდა შენი კალათბურთი — ვისაც რიგიანი ბურთაობა შეუძლია, უცხოეთს მიაშურა, ან წასვლას აპირებს. ექვსგზის ჩემპიონი „ვითა" დაიშალა, დარბაზში ორი-სამი საცოდავი ნათურალა ბჟუტავს, გათბობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. წერე და იკითხე, რამდენიც გინდა, ყურს არავინ იბერტყავს, ჩემპიონატი კი ჩემპიონატს მართლაც აღარ გავს. დარჩენილი რვა გუნდიდან, ნახევარი მეტად გაჭირვებულია. რამდენიმე თვე ჯამაგირი არ მიუღიათ, დებულებასაც სახარბიელო არ ეთქმის. ნოემბერში ერთთვიანი შესვენება გამოცხადდა, ახლა კი დეკემბერში მოთამაშეები მატჩის წინ გასახურებელ მალამოებს ხმარობენ, ფორმის შიგნით კი დამატებითი, გრძელსახელოებიანი მაისური აცვიათ, რათა სიცივეში თავი აარიდონ ტრავმას.

ახლა კი მატჩზე. რუსთაველები გამარჯვების მოლოდინში მოედანზე თავდაჯერებულნი გამოვიდნენ. „შევარდენს" კი, მოგეხსენებათ, წლევანდელ ჩემპიონატში იოლად არავისთვის დაუთმია მოგება და არც ეს შეხვედრა გამოდგა გამონაკლისი.

სადაო ბურთი ჯაფარიძემ მოიგო, მაგრამ ბაბიაშვილმა ზონის წესი დაარღვია, ბურთი „შევარდენს" გადაეცა და პირველივე წუთზე გია კაზანჯიანის სამქულიანით ანგარიში გაიხსნა. უმალ რამაზ გოგობერიშვილმა ჩვეული, ფარისკენ სროლის იმიტაცია შექმნა და „შევარდენიც" დაჯარიმდა. რამაზმა სამი საჯარიმოდან მხოლოდ ერთი გამოიყენა. შეტევა კვლავ „შევარდენმა" წამოიწყო და კაზანჯიანის პასით აკოლაშვილმა მე-3 წუთზე თავისი გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა 5:1. შემდეგ „აზოტი" გამოცოცხლდა და ბერუაშვილის მშვენიერ შესვლას ჯაფარიძის სამქულიანიც მოჰყვა, ჩემპიონატის ლიდერიც მე-5 წუთზე დაწინაურდა. „შევარდენი" ჩვეულებისამებრ განაგრძობდა ბრძოლას. მათ შორის საუკეთესო კვლავ დავით აკოლაშვილი იყო. მე-7 წუთზე სწორედ მისი ულამაზესი გარღვევის შემდეგ ანგარიში 14:13 გახდა „შევარდენის" სასარგებლოდ. რუსთაველები მართლაც თავდაჯერებულნი ჩანდნენ, თანაც, ჩემპიონატში შესვენებას „ვითასთან" ჩაშლილი მატჩიც დაემატა და ფაქტობრივად თვენახევრის მანძილზე ეს მათი პირველი შეხვედრა იყო. ყოველივე ამან, ბუნებრივია, „აზოტის" თამაშის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა.

მე-9 წუთზე კაზანჯიანმა კვლავ იმარჯვა და „შევარდენი" ოთხი ქულით დააწინაურა, თუმცა გოგობერიშვილმა აღარ დააყოვნა და მე-12 წუთზე სხვაობა ორი ქულით შეამცირა — 18:16. ამას ისევ აკოლაშვილის სამიანი მოჰყვა და „შევარდენი" წინ გაფრინდა — 21:16. სიტუაცია დაიძაბა. „აზოტი" არ ელოდა ასეთ წინააღმდეგობას და მოედანზე მშვენიერი ბრძოლა გაიმართა. „აზოტის" ერთ-ერთი შეტევის დროს, შეხვედრის არბიტრმა ზურაბ აბაშიძემ შევარდენელი გია კაზანჯიანი მეტად საეჭვოდ დააჯარიმა, რამაც მოთამაშის გაკვირვება გამოიწვია, იგი მსაჯს შეეკამათა და ტექნიკური შენიშვნაც დაიმსახურა. საჯარიმოები ზუსტად გამოიყენა ბერუაშვილმა და სხვაობა შეამცირა. შემდეგ არჩილ ქლენტმა სამქულიანიც ჩააგდო და მე-14 წუთზე ანგარიში გათანაბრდა.

რუსთაველებმა ტემპს უმატეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ორწუთნახევრიანი მონაკვეთი აზოტის სასარგებლოდ დასრულდა — 6:0. ამის შემდეგ მატჩის სადავეები მთლიანად „აზოტმა" იგდო ხელთ, თუმცა „შევარდენი" ფეხდაფეხ მისდევდა მეტოქეს. მე-17 წუთზე ანგარიში რუსთაველთა სასარგებლოდაა — 45:38 შეტევაზე „შევარდენია" და ფარქვეშ იმარჯვა, ახალგაზრდა ნუცუბიძემ, მას უმალ ეროვნული ნაკრების ცენტრმა ირაკლი ჯაფარიძემ უპასუხა და ისევ დავით აკოლაშვილის მე-19 წუთზე ჩაგდებული სამქულიანით ანგარიში 45:41 გახდა და პირველი ტაიმიც დასრულდა.

მატჩის მეორე ნახევარში ყველა „აზოტის" გააქტიურებას ელოდა, მაგრამ თამაშის იშტაზე მოსული გუნდის შეჩერება არც ისე ადვილია. რუსთაველები კი, როგორც შეხვედრის დასაწყისში, თავდაჯერებულად და მშვიდად გამოიყურებოდნენ.

მეორე ტაიმის პირველ ნახევარში რუსთაველებმა რამდენიმე გააზრებული შეტევა განახორციელეს, ასევე უადვილდებოდათ გვერდითი ხაზიდან შემოტანილი ბურთის შედეგიანი გათამაშება და ანგარიშსაც მალე დაეტყო. პირველი ტაიმის ოთხქულიანი უპირატესობა უმალ თოთხმეტად იქცა და კვლავ გაიბრძოლა „შევარდენმა". ამჯერად მათი ცენტრი, ნუცუბიძე ირჯებოდა კარგად. ნუცუბიძემ ორჯერ მოათავსა ბურთი კალათში და ანგარიშიც 10 ქულამდე შემცირდა. ათი ქულა კი კალათბურთში, მოგეხსენებათ, არაფერია და ამის მომსწრენი არაერთხელ ვყოფილვართ. კვლავ გააქტიურდა შევარდნელი აკოლაშვილი. მას მხარი აუბრეს გაგნიძემ და კაზანჯიანმა და რუსთაველთა 10-ქულიანი უპირატესობაც უმალ გაქრა. „შევარდენის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მთელი შეხვედრა ფაქტობრივად ხუთი მოთამაშით ჩაატარეს, ეს კი პირველი შემთხვევა ნამდვილად არ არის.

მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გაგნიძემ სამქულიანით ანგარიშში სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. 79:76, წინ „აზოტია". რუსთაველებმა უშედეგოდ უპასუხეს და აკოლაშვილმა ანგარიში გაათანაბრა. რუსთაველთა მორიგი შეტევა რამაზ გოგობერიშვილმა მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ დააგვირგვინა — 81:79 და უმალ კაზანჯიანის სამი ქულა. „შევარდენი" მეორე ნახევარში პირველად დაწინაურდა, მატჩის დამთავრებამდე 5 წუთითა და 49 წამით ადრე, მაგრამ ოც წამში ჯაფრიძემ „აზოტი" ისევ წინ გაიყვანა. 83:82. ნუცუბიძესთან ორთაბრძოლაში ჯარიმდებიან რუსთაველები და მატჩის დამთავრებამდე ოთხწუთნახევრით ადრე ანგარიში 83:83-ია. დარჩა სამი წუთი, ბერუაშვილმა ორი ქულა შესძინა გუნდს, რასაც ნუცუბიძემ ეროი ზუსტი საჯარიმო სროლით უპასუხა 85:84. შემდეგ ბაბიაშვილმა მოიწადინა და „აზოტი" სამი ქულით დაწინაურდა — 87:84.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმის მეორე ნახევარი ქულა-ქულაზე წარიმართა, შეიძლება ითქვას, რუსთაველთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, თუმცა „შევარდენმა" იბრძოლა და ღირსეულად დამარცხდა.

ზურაბ გონაშვილი



ზურაბ ლომჯანაშვილის ფოტო

აზოტი — შევარდენი. რუსთაველი რამაზ გოგობერიშვილი (13) თუ გაფრინდა, ვერც შევარდნები დაეწევიან

# რაღა ახლა დაბრუნდა თორთლაძე...

13 დეკემბერი
თბილისი
ვერის ბაღი

8 ტური

**სდასუ 86:83 მაკაბი**

I ტაიმი 37:45

სდასუ: ორჯონიკიძე, უძილაური (24), თორთლაძე (32), ქევხიშვილი, მაჭარაძე (4); ხარაძე (5), გიგაშვილი (7), აბულაძე (2), გიგაური (12)

მაკაბი: დ. ბერიშვილი (14), პაპასკირი (2), ტალაბაძე (22), ანდღულაძე (11), ფერიაშვილი (20);- ი. ბერიშვილი (14)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, როლანდ გელოვანი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

წინა ტურიდან ჩემპიონატში „ახალი" მსაჯები გამოჩნდნენ. ახალი პირობითად ვთქვი, თორემ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი რომ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია და მისთვის არც ჩვენი „ეროვნულია" უცხო, ყველასთვის ცნობილია. ამ მატჩში მასთან ერთად საპატიო მსაჯი როლანდ გელოვანიც გამოჩნდა. სეხნია არბიტრები უნაკლოდ მოქმედებდნენ. ერთი ეგაა, გაყინულ დარბაზში უნიფორმით გარჯას თბილად ჩაცმა (სპორტულ ფორმაში) არჩიეს. ესეც მხოლოდ იმიტომ ვახსენეთ, რომ ამ დამსახურებულ ადამიანებს კარგად ახსოვთ ძველი, საკავშირო წლები (გაჩირაღდნებულ-გამთბარი დარბაზებით) ახლა კი წარსულის ნოსტალგია მოსძალებიათ.

ისე, იგივე ჩვენი კალათბურთის ქომაგებზეც ითქმის. თუმცა სჯობს, მატჩს დავუბრუნდეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მსაჯებზე თბილად ჩაცმულ მაყურებელს ვერის ბაღში მისვლა არ უნანია. სდასუ — „მაკაბის" პაექრობას არც სიმძაფრე დაჰკლებია და არც ლამაზი ბურთაობა. გულშემატკივრებიც მეტოქეთა თავგამოდებას ხშირად ოვაციებითა თუ შეძახილებით აჯილდოებდნენ.

მოედანზე მართლაც შესაშური ბრძოლა გაჩაღდა. მოლოდინი გამართლდა, მოგებას დანატრებულთა დაპირისპირებაში გამარჯვებული მატჩის ბოლო წამებზე გაირკვა. ერთნაირად დახარჯული გუნდები მშვიდად ტოვებდნენ სარბიელს, ოღონდ ერთი გამარჯვებას ზეიმობდა, მეორე კი...

„მაკაბი" ისევ დამარცხდა, არადა რა ახლოს იყო პირველი სიხარული. ყველაფერს ბედი უნდა, უძილაური ხომ ამ კლუბიდან წავიდა გერმანულ ლიგაში, ახლა კი სტუდენტთა ამქარშია და ყოფილ თანაგუნდელებს ეპაექრება. ან თუნდაც თორთლაძე — რაღა ახლა დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს, თანაც სდასუ გააძლიერა...

მაკაბელებს ბედი პირველივე ნახევარში შემოსწყრათ. სამი წუთი ისე მიილია, მათ ვერც ერთი ქულის აღება ვერ შეძლეს. სტუდენტები კი უფრო ყოჩაღობდნენ, თუმც მეტოქის უშედეგო გარჯამ ნელ-ნელა მათზეც იმოქმედა — ახალშემატებულთ ზუსტი სამიანები არ წაუვიდათ. ამას ფარზე ცუდი თამაშიც დაემატა და მაკაბელების გამოცოცხლებაც, რასაც ანდღულაძემ დაუდო სათავე. მის ორქულიანს პაპასკირმა თავისიც დაურთო და „მაკაბი" მოწინააღმდეგეს წამოეწია. სდასუ-ს ხელმძღვანელობამ წუთშესვენება ითხოვა, თუმცა ამით „მაკაბიმ" უფრო იხეირა — სტუდენტებს ინდივიდუალური დაცვითი ტაქტიკა შესთავაზა და კარგადაც გამოუვიდა. მართალია, შარშანდელ პრიზიორებს ბურთის მეორე მხარეს გადმოტანა დიდად არ უჭირდათ, მაგრამ შეტევის დაგვირგვინებისას ხშირად სცოდავდნენ, ფარიდან ასხლეტილ ბურთს კი „მაკაბის" ცენტრი ფერიაშვილი ეუფლებოდა.

ტაიმის შუაწელში სდასუ გარდაიქმნა და ეს ახალწვეულთა დამსახურება იყო. თუ აქამდე ზუსტი სამიანები არ გამოსდიოდათ, ჯერ უძილაურმა გატეხა ნავსი, მერე მას თორთლაძემაც მიბაძა. მაკაბელებმა შორიდან სროლებში ჩამორჩენა იუხერხულეს და ამას ტალაბაძემ საკადრისი პასუხი გასცა. აქედან მოყოლებული ორივე გუნდმა სამიანებით დასეტყვა ერთმანეთის კალათი (მატჩში სულ 27 შორეული სროლა შესრულდა) სნაიპერთა დუელში სდასუ დაწინაურდა, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა პირველი ტაიმი „მაკაბიმ" მოიგო.

პირველის დარად მაკაბელებმა მეორე ნახევარიც დუნედ დაიწყეს. ეს სამ წუთს გაგრძელდა, სტუდენტური გუნდი კი დაცვაშიც გამოკეთდა და შეტევებსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. ამიტომაც ეს მონაკვეთი სდასუ-მ 10:0 მოიგო. პირველი გონს ფერიაშვილი მოეგო და „მაკაბიმ" შედეგიანობას უმატა. მეტოქეებმა ისევ ერთმანეთის შორიდან დარბევას მიჰყვეს ხელი და სამიანებიც წაუვიდათ.

ორივე გუნდი შორეულ სროლებზე დაყრდნობით განაგრძობდა ქულათა შემატებას. განსაკუთრებით ახალწვეულნი გამოირჩეოდნენ. სტუდენტ თორთლაძე-უძილაურს ამ საქმეში არც მაკაბელი ტყუპები, ბერიშვილები ჩამორჩნენ. და მაინც უფრო სდასუელებმა ივარგეს. საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ სნაიპერთა დავაში — 14-ჯერ იხეირეს, თუმცა მეტოქემაც 13 სამიანი მიითვალა.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ შორიდან სროლებში გაჩაღებულ დუელზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ ორივე გუნდი, ასე ცდილობდა გამარჯვების მოპოვებას და 2-ქულიანი შეტევების სიმცირეც ამით აიხსნება. ბრძოლამ მატჩის დასასრულამდე გასტანა, დაძაბულობამაც იმატა და ნერვიულობის გამო შეცდომებიც ორივე მხრიდან გახშირდა. მეტოქეები ხშირად ჯარიმდებოდნენ საკუთარ ნახევარზე და შეტევებში, ჯარიმების გარდასახვა კი „მაკაბის" უფრო უჭირდა და თითქმის შეუცვლელად მოთამაშე გუნდს (მოედანზე სულ 6 მაკაბელი ვიხილეთ) დაღლაც დაეტყო. „მაკაბი" არაფერს იმჩნევდა და თავგამოდებით იბრძოდა. ბოლოს ტყუპ ბერიშვილთაგან ლიდერობა ირაკლიმ იტვირთა და ... სამიანები აამოქმედა. მისმა გარჯამ შედეგი მოიტანა და თანაგუნდელებმაც გამოილეს ხელი, რის შედეგადაც მატჩის ბოლო წუთისათვის სხვაობა ქულამდე შემცირდა 81:80.

შეხვედრამ კულმინაციას დამთავრებამდე 12 წამით ადრე მიაღწია, როცა თორთლაძის სამიანს კვლავ ირაკლი ბერიშვილმა უპასუხა. მაკაბელები გამიზნულად ჯარიმდებიან. უძილაური 2 საჯარიმოდან ერთს ათავსებს, თუმც სხვაობა 2 ქულამდე მაინც იზრდება. „მაკაბის" აქაც უმუხთლა ბედმა — გუნდი შეტევაში არასწორი გადაცემით კარგავს ბურთს გამიზნული ჯარიმის „აკიდებაც" ზედმეტი გამოდგა (თორთლაძემ 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა), რადგან დარჩენილი სამი წამი ანდღულაძეს მოედნის ცენტრიდან სასროლად კი ეყო, მაგრამ ბურთი კალათმა აისხლიტა და ამ დრამატულ ჭიდილში სდასუ-მ იმარჯვა.

მამუკა ტუღუში



ვაჟა ქვლივიძის ფოტო

სდასუ — მაკაბი. სდასუელმა დავით თორთლაძემ (7) ამ მატჩში შვიდი სამქულიანი ჩააგდო

## კალათბურთი

# ცქიტიშვილი განძია, წოწელია — დამსჯელი

13 დეკემბერი
თბილისი
ვერის ბაღი
8 ტური

**დინამო 90:97 თსუ**

I ტაიმი 46:51
დინამო: ნიკოლაძე (14), ხეცურიანი (10), შანიძე (28), მეჭურჭლიშვილი (12), ნინიაშვილი (14), ნიკლაური (7), მანველიშვილი (2), ჭყონია (3)
თსუ: ვეფხვაძე (6), წოწელია (24), მარკოიშვილი (9), ცქიტიშვილი (25), ხელაშვილი (14); არსიაშვილი (2), დიმიტრიადი (12), მგალობლიშვილი (4), მშვილდაძე (1)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი
დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

**მატჩის** დამთავრებამდე 6 წუთიღა რჩებოდა, როდესაც ჩვენში მოძალებულმა ენერგოკრიზისმა ისევ თავი შეგვახსენა და საინტერესო სანახაობებს დანატრებულებს ამ მხრივ გამორჩეული „დინამო" — თსუ-ს ჩაშლის საფრთხე დაგვემუქრა.

საბედნიეროდ, ვერის ბაღი მალევე განათდა, რითაც კიდევ ერთი იმედგაცრუება თავიდან ავიცილეთ და მეტოქეებსაც საშუალება მიეცათ, კონკრეტულ შეხვედრაში (და არა გადათამაშებულში) დაემტკიცებინათ თავიანთი სიძლიერე.

სამწუხაროა, რომ საკალათბურთო შეხვედრაზე საუბარს მავანი ენერგომუშაკის (ანაც მუშაკების) ხუშტურებით ვიწყებთ, რომელსაც მტკიცედ უპყრია ხელთ მატჩის ბედი...

საკუთრივ თამაში თვალსასეირო გამოდგა. სწორედ ისეთი, კალათბურთის ქომაგთ რომ ახალისებს და ვერის ბაღისკენ უბიძგებს. თითქოსდა არც ღირს ამაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ მსგავსი შეხვედრები წლევანდელ გათამაშებაში თითებზე ჩამოგვეთვლება და როცა შიგადაშიგ ასეთებიც გამოერევა, გული იმედით გვევსება...

ჩემპიონატში გამოცხადებული შესვენების შემდეგ, „დინამოსგან" განსხვავებით, თსუ საქმეშიც ვიხილეთ. ეს წინა ტურში „შევარდენთან" შეხვედრისას მოხდა, სადაც სტუდენტებისგან გაცილებით მეტს მოველოდით. მართალია, ქორქიას შეგირდებმა ის მატჩიც მოიგეს, მაგრამ ასეთი თამაშით „დინამოს" ვერას დააკლებდნენ და აკი გუნდის მესვეურთა მალისხმევას, თავიანთი ბერკეტების ბოლომდე ასამოქმედებლად, უკვალოდ არ ჩაუვლია.

რადგან სიტყვა ბერკეტებსა და თსუ-ს პოტენციაზე ჩამოვარდა, აქვე იმასაც დავძენთ, რომ 17 წლის ნიკა ცქიტიშვილის სახით მათ ხელთ ისეთი საგანძური უპყრიათ, რომელსაც დღითიდღე ფასი ემატება და სულ უფრო და უფრო თვალისმომჭრელი ხდება. ეს გუნდის თავკაცობასაც კარგად ესმის და, ბუნებრივია, მისგან მაქსიმალურ სარგებელს ითხოვს, რაც ისევ და ისევ ცქიტიშვილის უნარიანობასა და მის ფართო დიაპაზონზე მეტყველებს.

წარმოუდგენლად ბევრი იყო დამოკიდებული ცქიტიშვილის მეურვე თორნიკე ნინიაშვილზე, რომელიც ასევე პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ნიკამ აშკარად დაჯაბნა ახალგაზრდულ ნაკრებში თავისი პარტნიორი და ამაში მნიშვნელოვანწილად გამოცდილმა არჩილ ხელაშვილმაც შეუწყო ხელი, ხელაშვილი — ცქიტიშვილის ტანდემი ორივე ფარზე გაბატონდა, რამაც დიდი როლი ითამაშა სტუდენტთა საბოლოო გამარჯვებაში, ხოლო „დინამოს" შემადგენლობაში კილაძე-ბეჟანიშვილის სრულფასოვანი შემცვლელის არყოლა კიდევ უფრო გაცხადდა.

ანგარიში დავით შანიძის სწრაფი გარღვევის შემდეგ გაიხსნა, რომელიც უდავოდ საუკეთესოა დღევანდელ „დინამოში" და მას შემდეგ, რაც გუნდი ირაკლი მაისურაძემაც დატოვა, მისი როლიც ერთიორად გაიზარდა. წუთის შემდეგ, როცა ხელაშვილის ზუსტ პერსონალურს, მარკოიშვილი 3-იანითაც შეეწია, ახლა თსუ იგებდა 4:2.

სტუდენტებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ მცდელობა და ნელ-ნელა უპირატესობას მთლიანად დაეუფლნენ, რაც ძირითადად მჭიდრო ზონური დაცვით შეძლეს. მათი უკანახაზელები, ვეფხვაძე-წოწელია, დაცვაში შეთანხმებულად მოქმედებდნენ და თავდასხმაშიც ხელაშვილი-ცქიტიშვილის პასებით მომარაგებაზე ზრუნავდნენ. მოსეშვილმა წუთშესვენება ითხოვა და მოედანზე დაბრუნებულმა დინამოელებმა ახლა პრესინგი შესთავაზეს მეტოქეს. ამან შედეგი გამოიღო და ტაიმის შუაწელისთვის თამაში გათანაბრდა, მაგრამ ახლა ცქიტიშვილმა აიწყვიტა და ზედიზედ ორჯერ დაამატა თავისიანთა არაზუსტ ნასროლს — 18:10. ადრეული პრესინგის შედეგად დინამოელებს დაღლა დაეტყოთ და მოსეშვილმაც ტაქტიკური ცვლილებების აუცილებლობა დაინახა — გუნდი ზონურ დაცვაზე გადააწყო. ამას წიკლაურის გამოჩენაც დაერთო და შანიძის 3-იანის შემდეგ ანგარიში თანაბარია 32:32.

დინამოელ კოლეგას ქორქიამაც უპასუხა, მოედანზე ძირითადის დასვენებული კალათბურთელები — ვეფხვაძე და ცქიტიშვილი დააბრუნა. სხნიების გამოჩენამ გუნდს ახალი ძალები შთაბერა და ტაიმიც თსუ-ს სასარგებლოდ დასრულდა 5t46.

მეორე ნახევარიც იგივე სცენარით წარიმართა და მაღალტემპიანი, მწვრთნელთა ნაზრევით მდიდარი შეხვედრა უფრო ლაზათიანი გახდა. შედარებით გააქტიურდა თორნიკე ნინიაშვილი, ვინც მეჭურჭლიშვილთან ერთად რამდენჯერმე მწარედ უხელიტა მეტოქეს. შანიძემ სულაც წინ გაიყვანა დინამო 62:60. ეს დაახლოებით მეორე ტაიმის მეათე წუთისთვის მოხდა და სავარაუდო იყო, რომ „დინამო" კიდევ უფრო განიმტკიცებდა უპირატესობას, მაგრამ უკვე ოთხი პერსონალურით მოთამაშე გოჩა წოწელია სხვანაირად ფიქრობდა. იგი გადამწყვეტ მომენტში ჩინებულად ათამაშდა და წინ წაუძღვა თავისიანებს. სწორედ წოწელიას და ოდისეი დიმიტრიადის უშუალო მეცადინეობით თსუ-მ უპირატესობა დაიბრუნა და მდევრის როლში კვლავ „დინამოა" 82:78. თუმცა სტუდენტებმა ჯარიმებს უმატეს და მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მეჭურჭლიშვილმა, ზუსტი პერსონალურებით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ ეს იყო და ეს. წოწელიამ მეტოქეს წუთიერი უყურადღებობა არ შეარჩინა და ამაზე გაგულისებულმა საბოლოოდ დაამწუხრა „დინამო".

**გიორგი ბიძაშვილი**



დინამო — თსუ. დინამოელები მანველიშვილი (13) და მეჭურჭლიშვილი (4) მეტოქე ხელაშვილისთვის ბურთის წართმევას ცდილობენ

## რაგბი

**ერთი** თვის წინ იყო, უელსურ „ებველთან" დამარცხების შემდეგ, „ტულუზის" პრეზიდენტი რენე ბუსკატელი რომ იმუქრებოდა, სადაც ჯერ არს, იქ ვიჩივლებ და დამნაშავეებსაც საკადრისად დავასჯევინებო. პრეზიდენტი მაშინ უელსელებთან მატჩში სქოტი მსაჯის საქციელმა გამოიწვია — ედ მიურეიმ ჯერ სტუმარი ვანშერი გაუყენა გასახდელის გზას, მერე კი ფრანგებს სამი გატანილი ლელო დაუწუნა და არ ჩაუთვლია. რაღა გასაკვირია, ფრანგებს ეს მატჩი 11:19 წაეგოთ, მაგრამ ეს მარცხი ძალიან მოულოდნელი იყო იმ გუნდისგან, რომელმაც უელსელებს შინ 108:16 აჯობა. საბოლოოდ ამ სენსაციურმა წაგებამ „ტულუზი" ჯგუფში მეორე ადგილს დააჯერა, პირველზე კი ირლანდიური „ოლსტერი" „გაძერა".

ერთი სიტყვით, შეიტანა ბუსკატელმა საჩივარი ირბ-ში, მაგრამ იქ იმისთანა უპასუხეს, საჩივრის შეტენის დღე აწყევლინეს. უელსელებმა წინა კვირას ლონდონში გამართულ ირბ-ის სადისციპლინო კომისიის სხდომაზე წარადგინეს მატჩის ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ალბეჭდილია სტუმართა იმგვარი უწესობა, მაყურებელი ძალიან რომ აღუშფოთებია. რო? არა პოლიცია, საქმე შეიძლება სერიოზულად გართულებულიყო. ჰოდა, ამ საქმეში მსოფლიოს რაგბის მამებს მართლად მასპინძლები უცვნიათ და მომჩივანი სტუმრები აქეთ დაუსჯიათ. გუ-

# ტულუზმა ამაოდ იჩივლა

ნდის წევრთა მიერ მსგავსის ჩადენისას ირბ „ტულუზს" ევროთასებიდან მოკვეთს, ვანშერი კი ერთთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებამ ერთობ გაანაწყენა „ტულუზის" პრეზიდენტი, რომელმაც ინგლისური გაზეთებისთვის ჩამორიგებულ ინტერვიუებში საერთოდ საეჭვოდ მიიჩნია ევროპის თასის გამართვის მიზანშეწონილობა და ალბიონელებს საქციელი [illegible] ყოფილხართ, ამ ტურნირს ბოიკოტი რომ გამოუცხადეთო.

ასე იყო თუ ისე, „ოლსტერის" მიერ ჯგუფში ნაჩვენები უკეთესი შედეგის გამო „ტულუზს" ირლანდიელებთან დაპირისპირება სტუმრად მოუხდა და...

პირველი ტაიმი მასპინძლებმა 9:0 მოიგეს. მეორეში ფრანგებმა გამოიღეს ხელი, ერთი ხანობა ანგარიშიც კი გაათანაბრეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს და 13:15 წააგეს.

ეს იყო ერთადერთი შეხვედრა ევროპის თასის მეოთხედფინალებში, რომელშიც ფრანგები დამარცხდნენ. დანარჩენ სამ წყვილში ფრანგულმა კლუბებმა დამაჯერებლად იმარჯვეს.

**სტად ფრანსე — პონტიპრიდი 71:14**
**პერპინიანი — ლიანელი 34:17**
**კოლომიე — მანსტერი 23:9**

გუშინ კი ლონდონში გამართულმა წილისყრამ გაარკვია, რომ ნახევარფინალში „კოლომიე" „პერპინიანს" დაუპირისპირდება, „ოლსტერი" — „სტად ფრანსეს". ნახევარფინალები 9 და 10 იანვარს გაიმართება.

**ბაატა თოთაძე**

# სტრაუსი კენგურუებში

**დრო** იყო, სამხრეთ აფრიკელი ტიან სტრაუსი სამშობლოს უპირველეს გუნდში ბურთაობდა და თანაგუნდელ ქურციკებსაც კაპიტნობდა. წინა კვირას კი ავსტრალიელი „ვოლაბების" მწვთრთნელმა როდ მაკქვინმა სამშობლო და მოქალაქეობაშეც-ვლილი აფრიკელი იმ 35 მობურთალს შორის დაასახელა, რომლებიც შობის შემდგომ დაიწყებენ მზადებას საგაისო მსოფლიოს თასისთვის.

სტრაუსი, რომელიც დღესდღეობით ახალ სამხრეთ უელსში თამაშობს, ამ დღეებში შეუერთდა ახალ თანაგუნდელებს ქვინზლენდში. „ვოლაბების" მწვრთნელის განცხადებით, მან ნაკრებში ისინი მიიწვია, ვინც სეზონის განმავლობაში მასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და სხვებსაც ექნებათ შანსი, პრეტენზია განაცხადონ ამ უდიდეს ტურნირში მონაწილეობაზე. ეს, ალბათ, იმ მოთამაშეთა გასაგონად არის ნათქვამი, რომლებიც ცოტა ხნის წინ ინგლისთან შეხვედრაში არცთუ კარგად გაისარჯნენ და ახლა ნაკრებს მიღმა აღმოჩნდნენ.

**ბაატა თოთაძე**

## ჰოკეი

# ისევ დაბრუნდა ფილადელფიაში

გასულ უქმეებზე კვლავ გაგვაოცეს მეკარეებმა. თავად განსაჯეთ — 20 მატჩში 7 შათაუტი, ანაჰაიმელი გი ებერის ორი „მშრალი" თამაში, ფინიქსელი ნიკოლაი ხაბიბულინის 42 მოგერიებული დარტყმა ოტავასთან ორთაბრძოლაში. აღარაფერს ვამბობთ დომინიკ ჰაშეკზე, რომელიც ბოლო ხანს მატჩში შაიბაზე მეტს აღარ უშვებს. მეკარეების ოსტატობამ 4 გოლამდე (3,95) დააქვეითა საშუალო შედეგიანობა ერთ თამაშში. ყოველივე ამის ფონზე განსაკუთრებით გამოიკვეთა ნიუ ჯერსის შემტევი ყინი. ამ ბოლო მატჩებში „ეშმაკებმა" ტრადიციად აქციეს არანაკლებ 5 შაიბის გატანა. ჩემპიონატის მთავარი გოლეადორები ტონი ამონტე (21 გოლი) და ჯონ ლეკლერი (20) საბრძოლოდ შემართულმა მეკარეებმაც ვერ შეაჩერეს და მათ მაინც გაზარდეს საგოლე მარაგი. ამ დღეების უმთავრესი მოვლენა მიქაელ რენბერგის ფილადელფიაში დაბრუნება გახდა. „საბედისწერო ლეგიონის" წარმომადგენელი 1997 წელს ტამპაში გადასვლის შემდეგ ვერც „ელვებს" გამოადგა და ვეღარც „მფრინავებმა" გამოუძებნეს პარტნიორი ერიკ ლინდროსსა და ჯონ ლეკლერს. და აი, მრისხანე სამეული მაინც აღდგა და კვირას პირველი მატჩიც გამართა

11 დეკემბერი

**ბუფალო — რეინჯერსი 2:0**
0:0 0:0 2:0
1:0 პეკა 57'59(6); 2:0 ვარადა 59'44(2)
სეზონში მეხუთე შათაუტის მისაღწევად „დომინატორს" სულ 16 დარტყმის მოგერიება მოუხდა.

**დალასი — მონრეალი 3:2**
2:0 0:2 1:0
1:0 რეიდი 2'29(2); 2:0 მარშალი 13'18(6); 2:1 ბრიუნე 34'09(6); 2:2 პოგლუნდი 34'25(4); 3:2 ლანგებრუნერი 57'11(5)

**ტამპა — კალგარი 1:2**
0:2 0:0 1:0
0:1 კესელსი 9'29(9); 0:2 სტილმანი 15'56(9); 1:2 სელივანოვი 45'53(3)

**ჩიკაგო — ტორონტო 2:3**
1:2 1:1 0:0
1:0 უორინერი 11'4(2); 1:1 ვილმორი 14'00(3); 1:2 მაკოლი 18'08(5); 1:3 სუნდინი 21'27(9); 2:3 კლირი 31'12(3)

**ანაჰაიმი — ვაშინგტონი 1:0**
1:0 0:0 0:0
1:0 მაკინსი 3'46(9)

**დეტროიტი — ედმონტონი 3:2**
1:0 1:1 1:1
1:0 აიზერმანი 12'37(12); 1:1 კოვალენკო 21'29(11); 2:1 ფიოდოროვი 39'49(8); 3:1 კოზლოვი 53'17(4); 3:2 კოვალენკო 56'20(12)
ჩემპიონატის ყველაზე შედეგიან გუნდებზეც იმოქმედა უქმეების ტენდენციამ და მათ მთლიანობაში მხოლოდ 5 შაიბა მიითვალეს.

12 დეკემბერი

**კაროლინა — დეტროიტი 3:0**
1:0 1:0 1:0
1:0 პრიმო 5'46(14); 2:0 მანდერვილი 28'50(3); 3:0 შეპარდი 50'01(13)
კაროლინელმა არტურას ირბემ (35 მოგერიება) შეძლო დეტროიტელების შეჩერება (+8=1-1 10 მატჩში).

**ოტავა — ფინიქსი 0:2**
0:0 0:1 0:1
0:1 ლუმე 22'10(3); 0:2 ნუმინენი 59'12(4)

**ნეშვილი — მონრეალი 2:2**
0:0 2:2 0:0 0:0
0:1 ბრიუნე 27'28(7); 1:1 ბრიუნეტი 29'25(6); 2:1 უოლკერი 33'19(3); 2:2 პოგლუნდი 38'02(5)

**ფლორიდა — კალგარი 2:4**
1:2 1:1 0:1
1:0 კოზლოვი 6'29(6); 1:1 დუბინსკი 11'08(3); 1:2 უორდი 13'48(3); 1:3 ფლერი 34'48(15); 2:3 სისარელი 35'53(3); 2:4 იგინლა 51'28(11)

**ტორონტო — ფილადელფია 0:3**
0:2 0:0 0:1
0:1 ზელეპუკინი 1'38(2); 0:2 ლინდროსი 18'42(17); 0:3 ლეკლერი 40'53 (20)

**აილენდერსი — ტამპა 1:2**
0:0 1:1 0:0 0:1
0:1 დაიპიუსი 20'43(1); 1:1 ლინდენი 37'14(10); 1:2 ჰოგი 64'12(2)

**ბოსტონი — ბუფალო 1:4**
0:3 0:1 1:0
0:1 ჰოლცინგერი 4'09(9); 0:2 პეკა 19'09(7); 0:3 შატანი 19'55(5); 0:4 შატანი 33'07(6); 1:4 აქსელსონი 47'50(3)
ერთადერთი გოლი ჰაშეკის კარში შემთხვევით, რიკოშეტის შემდეგ გავიდა.

**ნიუ ჯერსი — კოლორადო 5:3**
1:1 0:1 4:1
1:0 პედერსონი 1'26(5); 1:1 მატე 17'52(1); 1:2 ოჟერსი 30'09(2); 2:2 ჰოლიკი 44'49(9); 2:3 კორბე 46'58(4); 3:3 როლსტონი 52'12(6); 4:3 ჰოლიკი 53'16(10); 5:3 მაკეი 59'31(7)
ხუთი ტრავმირებული მცველისა და ჯო საკიკის არყოფნის მიუხედავად, სტუმრებმა ბოლომდე შეუნარჩუნეს მატჩს ინტრიგა.

**ლოს ანჯელესი — ვანკუვერი 3:0**
1:0 1:0 1:0
1:0 რობიტაილი 3'00(14); 2:0 კ. ჯონსონი 4'37(3); 3:0 პერო 59'45(6)

**სენტ ლუისი — პიტსბურგი 3:4**
2:4 0:0 1:0
1:0 ტარჯონი 0'57(11); 1:1 კოვალიოვი 9'05(4); 2:1 იაგრი 9'32(9); 3:1 ბარნსი 10'14(13); 4:1 კოვალიოვი 10'44(5); 4:2 დემიტრა 14'03(14); 4:3 იეიკი 47'46(1)

**სან ხოსე — ვაშინგტონი 2:1**
0:1 2:0 0:0
0:1 გონჩარი 16'04(1); 1:1 ფრიზენი 29'14(8); 2:1 ფრიზენი 33'33(9)

13 დეკემბერი

**ჩიკაგო — დალასი 2:2**
1:1 0:0 1:1 0:0
1:0 ამონტე 16'25(21); 1:1 პეჩერი 18'42(6); 2:1 კილგერი 50'14(5); 2:2 ვერბიკი 52'39(5)

**ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 3:0**
0:0 2:0 1:0
1:0 სელიანე 30'13(8); 2:0 სელიანე 36'37(9); 3:0 კარია 52'23(14)

**ფილადელფია — ედმონტონი 2:2**
0:0 1:0 1:2 0:0
1:0 ბიურო 31'29(1); 1:1 მაკსორდი 54'34(1); 2:1 დეჟარდენი 59'36(3); 2:2 მირონოვი 59'53(5)
აღდგენის შემდეგ, „საბედისწერო ლეგიონმა" პირველი მატჩი ჩაატარა და ნაკლებად აქტიურობდა. ჩემპიონატის პირველმა და მეორე ბომბარდირებმა ლინდროსმა და ლეკლერმა თითო-თითო პასი მიითვალეს.

**სამველ ღარიბიანი**

EK'98

ჰოლანდიაში მიმდინარე ხელბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატზე გუნდებმა მეორე და მესამე ტურის მატჩები გამართეს.

| A ჯგუფი | | | B ჯგუფი | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13 დეკემბერი | | | 13 დეკემბერი | | |
| ჰოლანდია | 19:28 | უნგრეთი | მაკედონია | 23:27 | ნორვეგია |
| გერმანია | 28:27 | უკრაინა | ესპანეთი | 23:26 | დანია |
| რუმინეთი | 24:25 | ავსტრია | რუსეთი | 21:25 | პოლონეთი |
| 14 დეკემბერი | | | 14 დეკემბერი | | |
| უკრაინა | 32:24 | რუმინეთი | მაკედონია | 27:22 | ესპანეთი |
| უნგრეთი | 21:26 | ავსტრია | პოლონეთი | 19:30 | ნორვეგია |
| ჰოლანდია | 18:19 | გერმანია | რუსეთი | 22:27 | დანია |

სატურნირო ვითარება

| A ჯგუფი | | | | | | | B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 3 | 0 | 0 | 72:69 | 6 | დანია | 3 | 3 | 0 | 0 | 90:66 | 6 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 82:68 | 4 | ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 82:62 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 77:69 | 4 | პოლონეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 64:66 | 4 |
| ავსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 76:70 | 4 | მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 71:86 | 2 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 72:86 | 0 | ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 60:73 | 0 |
| ჰოლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 53:70 | 0 | რუსეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 63:77 | 0 |



REUTERS ამსტერდამიდან

მაკედონია — ესპანეთი. მაკედონიელმა ანჟელა პლატონმა მაინც სტყორცნა, ესპანელი ლიდია სანჩეს-ალიასი ხელის შეშლას ამაოდ ეცადა

## რეკორდები პანტა-პუნტით

შეფილდში ამ უქმეებზე დასრულებულ მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატზე 25-მეტრიან აუზში ევროპისა თუ მსოფლიოს რეკორდები პანტა-პუნტით დამყარდა.

მსოფლიოს რეკორდები 25-მეტრიანი აუზებისთვის

**ქალები. გულაღმა. 50 მეტრი.**
სანდრა ფოლკერი (ინგლისი) — 27,27 წამი (ძველი რეკორდი — 27,64 წამი ჩინელ ბაი სიუიუს ეკუთვნოდა)

**კაცები. თავისუფალი სტილი. 50 მეტრი.**
მარკ ფოსტერი (გერმანია) — 21,48 (21,50 ალექსანდრ პოპოვი)

**ესტაფეტა 4X50 თავისუფალი სტილი. კაცები.**
ჰოლანდია (მარკ ვეენსი, იოჰან კენშიუსი, სტეფან აარტსენი, პიტერ ვან ჰოგენბანდი) — 1:26,99 (1:27,62, შვედეთი)

**ქალები. კომპლექსური. 100 მეტრი.**
მარტინა მორავკოვა (სლოვაკეთი) — 1:0,43 (1:01,05, ჰუ სიაოენი)

**კაცები. ბატერფლაი. 50 მეტრი.**
მილოშ მილოშკევიჩი (ხორვატია) — 23,30 (23,35 დენის პანკრატოვი)

ევროპის რეკორდები 25-მეტრიანი აუზებისთვის

**ქალები. თავისუფალი სტილი. 50 მეტრი.**
ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) — 24,38 (24,62, სანდრა ფოლკერი)

**ქალები. ბატერფლაი. 100 მეტრი.**
მარტინა მორავკოვა (სლოვაკეთი) — 57,72 (57,93 ინგე დე ბრუინი)

**ქალები. ბატერფლაი. 50 მეტრი.**
ინგე დე ბრუინი (ჰოლანდია) — 26,09 (26,54, თავისივე)

**ქალები. თავისუფალი სტილი. 200 მეტრი.**
მარტინა მორავკოვა (სლოვაკეთი) — 1:55,12 (1:55,84, ფრანსისკა ვან ალმსტიკი)



REUTERS ვალდიზერიდან

## ლასემ ავსტრიელებს ჩამქროლა

*სამთომთოხილამურე ქალების ასპარეზობის მერე საფრანგეთის მთიანეთის კურორტ ვალდიზერს კაცები ეწვივნენ და ერთმანეთს სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში გაეჯიბრნენ. სწრაფდაშვებაში 1.43.20 წუთით ყველას ნორვეგიელმა ლასე კიუსმა (ფოტოზე) აჯობა. ავსტრიელები სტეფან ებერჰარტერი და ჰერმან მაიერი შესაბამისად 23-ე და 36-ე ადგილებზე გავიდნენ. სწრაფდაშვების საერთო ჩათვლაში 290 ქულით ავსტრიელი კრისტიან მაიერი ლიდერობს, ვალდიზერში გამარჯვებით ლასე კიუსმა მესამეზე გადაინაცვლა.*

*სუპერგიგანტში ბადალი არ ჰყავდა ნაგანოს ოლიმპიადის ჩემპიონს, ჰერმინატორად წოდებულ ჰერმან მაიერს, თუმცა სუპერგიგანტის საერთო ჩათვლაში იგი 280 ქულით მეოთხეა და პირველ ადგილზე დამკვიდრებულ სტეფან ებერჰარტერს (368) გვარიანად ჩამორჩება.*

# ფორმულა ჩინეთს ჯერ ვერ მოერგო

ფორმულა 1-ის ყველაზე წითელი და ხალხმრავალ ქვეყანაში გადაბარგება დროებით გადაიდო — ეტყობა, 1999-ის მარტისთვის დაგეგმილი ეტაპი ქალაქ ჟუნაიში მხოლოდ 2000 წელს გაიმართება.

„ჩინეთის გრან პრის ორგანიზებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მსოფლიოს ავტოსპორტის საბჭომ გადაწყვიტა, ეტაპი დადგენილი ვადისთვის არ ჩაატაროს. 1999 წლის კალენდარში იგი სათადარიგოდ დარჩება სეზონის ბოლოსთვის" — ნათქვამია საბჭოს განცხადებაში.

ჟუნაის 4,3-კილომეტრიანი ტრასა ჰონკონგისა და მაკაოს მახლობლად, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მდებარეობს, 16 მოსახვევისა და 900-მეტრიანი სწორისგან შედგება და ბევრი სპეციალისტის (მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონის ჟაკ ვილნევის) კარგი შეფასებაც დაუმსახურებია. ოღონდ ეგ არის, ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობამ ჩინელებს დამატებითი შენობა-მოწყობილობები დაუწუნა.

მასპინძლებს გუნდებისთვის ოთხი ავტოფარეხის დამატება, საკონტროლო კოშკურის გადაადგილება და მასმედიისთვის პირობების გაუმჯობესება მოსთხოვეს. ამას ჩინელების მხრიდან უკმაყოფილება არ მოჰყოლია — ადგილობრივმა მმართველობამ სასწრაფოდ გამოჰყო თანხები და ფორმულა 1-ის ადმინიტრაციას ეტაპის გადავადებისთვის მადლობაც კი უთხრა.

„ეს მოსამზადებლად გაცილებით მეტ დროს მოგვცემს. ჩვენ რბოლის ჩატარებას მარტში კი არა, წლის ბოლოსთვის ვიმედოვნებდით" — განაცხადა რბოლის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ჯო ლიმმა.

ჩინეთის გრან პრი 2000 წელს ფორმულა 1-ის კალენდარში ნამდვილად მოხვდება, თუმცა სავსებით შესაძლებელია, ჟუნაიმ პლენეტის ყველაზე პოპულარულ რბოლას გაისადვე უმასპინძლოს — ამისთვის იქაურებმა ყველა სამუშაო დროულად უნდა დაასრულონ, ფორმულა 1-ის ადმინისტრაციამ კი გუნდები დამატებითი ეტაპის ჩატარებაზე დაიყოლიოს. ამ შემთხვევაში იგი დაახლოებით მალაიზიის გრან პრის წინ, სავარაუდოდ, ოქტომბერში გაიმართება.

1999 წლის კალენდარში კი ჯერჯერობით ერთი ცვლილება რჩება — არგენტინის გრან პრის ნაცვლად, რომელიც ტრადიციულად ბუენოს აირესში იმართებოდა, ზემოხსენებულ მალაიზიის გრან პრის კუალა ლუმპური უმასპინძლებს (17 ოქტომბერს)

მოგვარდა პრობლემები უნგრულ ეტაპთან დაკავშირებითაც, რომელიც მაყურებლების უსაქციელობის გამო იყო შერისხული. რბოლის ორგანიზატორებმა საგაისოდ მსგავსი რამის თავიდან აცილების დაწვრილებითი გეგმა წარადგინეს და საბჭოსგან ცოდვათა შენდობაც მიიღეს.

სხდომაზე თამბაქოს კომპანიების სპონსორობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზეც ისაუბრეს და განაცხადეს, მზად ვართ, 2006 წლის 1 ოქტომბრისთვის მათ ყოველგვარ რეკლამაზე უარი ვუთხრათო. თუმცა მილიარდების ასე იოლად ხელიდან გაშვება ვის გაუხარდება და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაც (FIA) ყველა ღონეს ხმარობს, რათა ეს თავიდან აიცილოს.

ამჯერად FIA-მ ნებისმიერ მსურველს მიმართა თხოვნით, მიეწოდებინა იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ მეთამბაქოეთა სპონსორობა მართლაც აგულიანებს მწეველებს. მსგავს ინფორმაციას განსახილველად თურმე დამოუკიდებელ იურიდიულ ორგანოს გადასცემენ და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დროსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ.



პარასკევს ღამით, მილიონერთა ქალაქ მონტე კარლოში ფორმულა 1-ის ელიტამ მოიყარა თავი. აქ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ჯილდოების გადაცემა გაიმართა და თავის გამოჩენა-გამომზეურების იშვიათი შესაძლებლობა თითქმის არცერთი პილოტის ცოლს არ გაუშვია ხელიდან. მიხაელ შუმახერს გვერდს მეუღლე კორინა უმშვენებდა, მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონ მიკა ჰაკინენს კი FIA-ს პრეზიდენტ მაქს მოსლისთან ერთად წლეულს შერთული ერიაც მოჰყვა.


REUTERS მონტე კარლოდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი,
ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29